# ყვავირვავინთ
# მეფენი

## მოქმედი პირნი.

გიორგი სააკაძე
გიორგის დედა
გიორგის მეუღლე მარიამ
გიორგის შვილი პაატა
გიორგის და თეკლე

| | |
|---|---|
| ქაიხოსრო ხერხეულიძე<br>მათე თუხარელი<br>პაპუნა ჩივაძე<br>დათო ქავთარაძე | გიორგის მეგობრები |

ქადარა სიმონი
მოხრობელი
თომა ქარსიძე (მეარა)
ლუარსაბ მეფე
შადიმან ბარათაშვილი
ამილახვარი
ასლან ციციშვილი
მუხრანბატონი
ზაზა მაჩაბელი
შაჰ-აბას
ალი-უსეინ
მინბაშ თათოშხან
ყარჩი-ხან
ორი დარაჯი
სოვდაგარი (თურქი)
გურჯასპი
მარქარი
ოსტატი (სპარსელი)
ჯანიძე გოგია
თავადები, გლეხები, სეფე-ქალი, დარაჯები და სხვები.



# ნაწილი პირველი

## მოქმედება პირველი

ცხირეთის სასახლის სადგომი მეფე ლუარსაბისა

(შადიმანი, ასლან ციციშვილი, ამილახვარი, მუხრანბატონი, ზაზა მაჩაბელი).

შ ა დ ი მ ა ნ ი — (ვრცელი ულვაშებით. აქვს გამომეტყველება სატრფო, თან მოღიმარი და ცბიერული. მსხვილი წარბები. დაბალი შუბლი. არწივისებური ცხვირი. ჰხარბეჭიანი და ოქროს წვლით მოქარგული ხელში კვერთხი უჭირავს. ლაპარაკი მისი მუდამ ცინიკური და ირონიულია).

განა ამ ქართლის ნიადაგზე ვეცხოვრებდით?
იქნებ გგონიათ გულდამწყვარი თუ ულაპარაკობ.
ამას მე შური, ან მისდამი პირადი მტრობა,
ანუ სხვა ცუდი განზრახვა რომ მაიძულებდეს?!
ღმერთმა ხომ უწყის და მოწმედ მყავს ჩემი სინდისი,
მალაპარაკებს საქართველოს კეთილდღეობა
და მეფისადმი ერთგულება — ეს არის მხოლოდ!
ვიღაც უბრალო გლეხის შვილი თავს წამოგვაჯდა,
ვაი ჩვენს ყოფნას! ვაი ასეთს ღმერთო მოსწრებას!
ჩვენი ადათი, ჩვენი წესი, ზნე, ჩვეულება
ვიღაც მდაბიომ შებღალა და გაგვითახსირა.
ხომ ხედავთ, იგი რაგვარ კაცებს აწინაურებს: —
ჩვენი მონები გაგვიხადა ჩვენსავ ბატონად!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ეს შებღალვაა ჩვენი სამეფოს წმინდათა
წმინდის.

შ ა დ ი მ ა ნ ი — მერე, განა მარტო შებღალვაა?
ეს დამხობაა მთლად სამეფოს წესწყობილების!
ეს იმ ჩვეულების მოსპობაა, რაც ჩვენს წინაპრებს
გადმოუცვიათ — ეს მამულის ღალატი არის!!
იგი რომ მდაბალ წოდებისას აწინაურებს
და ამით იგი თითქოს ყველგან ხალხის გულს იგებს,
მან რომ ჩვენს მონებს გზა გაუხსნა, მამული მისცა,
განა ძალგვიძს ვთქვათ: იმას კეთილ განზრახვით სჩადის

და სულ სხვა აზრი ბოროტ გულში არ უტრიალებს?
ვინ იცის, იგი იმას ელტვის, რაც ჩვენ სულ ყველას
მარტო ოცნებით წარმოდგენაც ზარს დაგვატეხდა!

(დაბეჯითებით, თითქოს სურდეს ჩაგონება).

მისი ესრეთი მუშაობა გულჩახურული,
თავისის ნებით გამგებლობა სახელმწიფოში,
მისდამი ნდობა მეფისაგან — ვინ იცის, რა გვარს
საფრთხეს უმზადებს სახელმწიფოს ტახტსა და გვირგვინს!
ასლანი — შორსმჭვრეტელია თვალი შენი. — მაგრამ, — თავადო!
შადიმანი — განა ეჭვიც კი გებადება? ჰო, რატომ არა?!
ეჭვი ნათელყოფს ბოროტ საქმეს, მაგრამ, თავადო,
ეს ხომ ცხადია, რომ ძალა დღეს მის ხელშია არის
და რა სჭირდება, რომ ეშმაკმა ხელი ჰკრას მხოლოდ
და მეფის ტახტი, გვირგვინი და სამეფო სკიპტრა...
ასლანი — (ბრაზმორეული). უწინ ეს ხმალი გადატყდება მის გულში
სამჯერ!
შადიმანი — (ცივად, გულმოსაკლავად). და თუ მანამდის, მეგობარო,
საქმე მიაღწევს,
მაშინ შენს თავს რომ გაუფრთხილდე — ემჯობინება!
ჯერ ახლა რა ხარ მის წინაშე, მაშინ რა იყო?
განა ჩვენის რჩევას მეფე ჩვენი გულდასმით ისმენს?
დღეს მეფის გულსა ჯერაც ბატონობს — ჩვენ გვსპობს სულ
ყველას.

და სპობს აგრეთვე საქართველოს საფუძვლიანად!
წელანდელ რჩევას ერთსულოვნად თუ დავადგებით,
იცოდეთ, ჩვენი დიდება კვლავ დაგვიბრუნდება —
სამეფოს საქმეც მოგვარდება, ვიდრე დღეს არის!
არც ჩვენ ვიქნებით ნასუფრალის ამკრეფნი მხოლოდ!
ამილახვარი — თავადო, განა ჩემი ზიზღი ნაკლები არის,
მაგრამ ჯერ ვდუმვარ!..
მუხრანბატონი — არ მინდა ჩემი ღრმა იარა ნათელს
ვუჩვენო, გულში კვლავ მოდმას...
ასლანი — ვფიცავ, პირველმა ამ მარჯვენით მოვუღო ბოლო.
შადიმანი — თამამი სიტყვა მომწონს, მომწონს! მაგრამ
მისმინეთ:
ჩვენ რისთვის უნდა გავერიოთ ნაფევარ საქმეში,
როდესაც ძალგვიძს მღვრიე წყალში თევზს ბადე ვტყორ-
ცნოთ,



მშრალზე კი ვიდგეთ ნაღავით მომაგრებულნი?
განა სხვის ხელით ნარს ვერ მოვგლეჯთ? — მაშ გამიგონეთ!
მრავალი გეგმა მიტრიალებს ჭაღარა თავში
და ერთიც არის, გასჭრის წუწკის დასაღუპავად!
მუხრანბატონი — მაგრამ ერთი რამ არ დაივიწყო უყურად-
ღებოდ,

რომ დღეს მთელს ქართლში, არა! თითქმის
საქართველოში —

იგი ითვლება პირველ კაცად, გავლენიანად.
სიმამრი მისი, ერისთავი, ნუგზარ ბატონი
მისი მარჯვენა ხელი არის, შაჰი მას სწყალობს,
ყმაწვილი მეფე ერთიანად მოაჯადოვა,
ხალხიც აღმერთებს.
შადიმანი — და ეგ არის, მე რომ გულს მიკლავს
და ჩემსა ბოღმას ჯოჯოხეთის ალსა ამსგავსებს.
ვის აღმერთებენ? ტახტის მძებნელს, უჯიშოს შვილსა!
მუხრანბატონი — ვაი თუ ჩვენი გატყორცნილი ბასრი ისარი
ისევ ჩვენს მკერდსა დაუბრუნდეს?
შადიმანი — მუხრანბატონო! მაშ შადიმანს
კვლავ შადიმანად ღირსაც უნდა იწოდებოდეს!!
ტყუილუბრალოდ სროლა არ მიყვარს
და თუ ნიშანში ამოვიღე, — ჩემს მტერს ნასროლი!
რა ვუყოთ მეფე თუ მას სწყალობს, შაჰი პატივს სცემს,
ხალხი ეძახის საქართველოს ამშენებელად,
განა ეს ენა რისთვის დაგვყვა? ან მოქარგული
სიტყვა რას აქნევს, თუ მის ღვაწლსა ჩრდილს არ მოაფენს
და იმავ მეფეს მოსისხლე მტრად არ გადაკიდებს?
ეს ჩვენ ხომ ვიცით: მეფეს იგი რა მიზეზს უდებს
და რომ დავჩუმდეთ, არ იქნება დანაშაული?
ზაზა — მართალს მეტყველებს შენი ბაგე!
ჩახედული ხარ საქმეში კარგად.
შადიმანი — ამ ჭაღარას არც კი შეეკადრება?
რად მიმძლია ამ ამდენი გამოცდილება,
თუკი მუხანათს ვერ ჩავწვდები სულის სიღრმეში?
ენა გაულესოთ ჯერჯერობით მოხერხებულად
და იგი უფრო მკვეთრად გასჭრის, ვიდრე მახვილი!
მეფე [illegible] მოსულია. იმ დღეს შესრულდა
ოცდაათისა და ხომ იცი, თუ ახალგაზრდი
სისხლი ამ ხანად რა მჩქეფარე დუღილს განიცდის! (იცინის).

გიორგის და ყავს და უნდა გსთქვათ, მეტად ლამაზიც!
აი, აქ ხედავს ჩემი თვალი ერთ ღრმა უფსკრულსა,
სად ის გლეხუკა მოურავი ჩაიჩეხება
და ჩვენ დაგვრჩება კვალად ბურთი და მოედანი!
ა ს ლ ა ნ ი — მიხვედრილი ვარ მცირედ შენს აზრს!
შ ა დ ი მ ა ნ ი — მეფეს იმ ქალის მშვენიერება რომ ავუწეროთ
და სხვა მთავართა ქალნი დავგმოთ, დავგმოთ ასული
დადიანისაც, — გულში იგი ჩაუვარდება
და თუ შემთხვევა მიეცა და ის ქალიც ნახა,
ვფიცავ გამჩენსა, იმის ბადეს ვერსად წაუვა.

(ტონს იცვლის).

მაგრამ ეს საქმე იმნაირად უნდა მოვაწყოთ,
რომ თვით არ ვჩანდეთ! და თუ მეფე ჩვენც დაგვეკითხა,
ვთქვათ: გაგვიგია, ანდა, სხვები ასე ამბობენ!
ასე რომ მეფემ ჩვენი სიტყვა, ვინიცობაა
საქმე გამწვავდა — საბუთად არ გამოიყენოს!
ა ს ლ ა ნ ი — ჩინებულია! საუცხოო ფანდია სწორედ!
შ ა დ ი მ ა ნ ი — ნებას მივუშვებთ, გაეთამაშოს,
ახალგაზრდობის ჟინი მოიკლას.
ა ს ლ ა ნ ი — ვაი თუ მერე ცოლად შეირთოს?
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მდაბიოს ქალი ქართლის ტახტზე?
შ ა დ ი მ ა ნ ი — ეგ უარესი საკადრისთვის.
მეფისგან მისი ცოლად შერთვა არ შეიძლება,
ნებას არ მისცემს არც კანონი, არცა ზნე ჩვენი!
ხასად დაისვამს? არ მოითმენს ამას გიორგი,
დედოფლად გახდის? თავადობა იუკადრისებს...
და თუ ვიცოცხლეთ, ამ დროს გულხელს არ დავიკრეფავთ.
თქვენ როგორ ფიქრობთ? იქნებ მეფეს ეს გულშიც ჰქონდეს.
მაგრამ ვერავის უმჟღავნებდეს — და თუ არ იცის,
ვინმე ჩვენგანი რომ ამცნობდეს ამ ძვირფას ამბავს,
გარწმუნებთ, იგი თვის წყალობას მასზე მოიღებს!
ძნელად თუ პოვებს ცხოვრებაში კაცი საუნჯეს,
და თუ საუნჯის პოვნა ვინმემ გაუადვილა...

(ლუარსაბ მეფე და გიორგი ლაპარაკით გამოდიან. მოსდევთ კახაბერი).

გ ი ო რ გ ი — მაგრამ, მეფეო, საშიშია მათი დუმილი!
ოსმალოს ხვანთქარს ეშინიან სპარსთა შაჰისა,



ხოლო შაჰს — ხვანთქრის! — და ამგვარად ვეღარ ბედავენ
გამოლაშქრებას.
შ ა დ ი მ ა ნ ი — მოურავო, ვერც გაბედავენ,
თუკი ცოცხალი გვეყოლება მთავარსარდალი!
მ ე ფ ე — მართალსა ბრძანებს შადიმანი!
გ ი ო რ გ ი — (შადიმანს). მაგრამ, თავადო,
საკმარისია შინაური საქმე მოაწყონ,
რომ მოაგონდეთ ძველი შური! ოსმალო იმას
არ დაივიწყებს, რაიც ერთხელ ჩვენგან იწვნიეს, (მეფეს)
როცა ჯერ კიდევ მამაშენი ცოცხალი იყო.
აი, ამიტომ
მუდამ მზად უნდა იყოლიოთ თქვენ თქვენი ჯარი.
ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჰაი, ჰაი, რომ მუდამ მზად გვყავს!
კ ა ხ ა ბ ე რ ი — მაგრამ, სარდალო,
ეს ასიოდე ჯარისკაცი, რაიც ამ ჟამად
კარს გვიყენია, რას გახდება, თუ მართლა მოხდა...
შ ა დ ი მ ა ნ ი — ჰე, კახაბერ! ასიოდე ჯარისკაცით!
თითქოს რიცხვს ჰქონდეს მნიშვნელობა, შენ ისე მსჯელობ!
საქმე კაცია, მეთაური! მადლობა ღმერთსა,
ასეთი კაცი საქართველოს მოეპოება!
მართალი არის, რიცხვსაც დიდი მნიშვნელობა აქვს,
მაგრამ პირველი, თავი არის! განა არ გახსოვთ,
სამასმა თუშმა სამი ათას ოსმალოს ჯარსა
როგორ კუდით ქვა ასროლინა?
იმ სამას თუშსა თავი ება — მთავარსარდალი!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — გამჩენსა ვფიცავ, მართალს ბრძანებ!
ა ს ლ ა ნ ი — გიორგი გვყავდეს
და თუნდა ერთი მიმისიე ურიცხვ მტრის ლაშქარს!
შ ა დ ი მ ა ნ ი — ასე სჯულს უდგამ ყველა ქართველს, დიდო სარდალო,

შენგან არიან მოხუცნიც კი გულმოცემულნი,
შენის იმედით ახალგაზრდობას წინ ვინ დაუდგეს?
კურთხეულ იყოს იგი ძუძუ, რომელმაც გზარდა.
გ ი ო რ გ ი — დარბაისელნო, მე მაგ ქების არა ვარ ღირსი
მ ე ფ ე — რა ამაყი ხარ!
შ ა დ ი მ ა ნ ი — გოროზი გული!
კ ა რ ი ს დ ა რ ა ჯ ი — (შემოდის). კაცნი გეახლნენ, შადიმანო!
შ ა დ ი მ ა ნ ი — მიხედე! მოვალთ!
ხარკის ამკრეფნი იქნებიან!

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — აბა, მივხედოთ, რას იტყვიან! (გადის).
გ ი ო რ გ ი — მეც უნდა მალე გავეშურო, დიდო მეფეო!
მრავალი საქმე ჩვენ წინ გვიდევს გასაკეთებლად.
მ ე ფ ე — წეღან რაღაცას საგულისხმოს მეუბნებოდი
და როს აქ მყოფნი დაინახე...
გ ი ო რ გ ი — არ დავათავე,
რადგან, მეფეო, საიდუმლოს იგი შეადგენს!
მ ე ფ ე — ნეტა ვიცოდე, მეგობარო რას განმიმზადებს
მასზე უკეთესს რაც კი დღემდე მას უზრუნვია?
გ ი ო რ გ ი — ჩემი მთავარი ზრუნვა სწორედ იგი ერთია!
ჩემს ყოველ საქმეს, მოქმედებას იქით მივყავართ!
რა არის მასთან შედარებით ის მცირე საქმე,
რომელიც შენთვის მიზრუნვია დღევანდელ დღემდე.
მ ე ფ ე — შენგნით ისედაც დიდათა ვარ დავალებული!
ქართლი ჩემია!
გ ი ო რ გ ი — არა! იგი შენი იქნება!!!
დღეს კი, მეფეო, ეს სამეფო კვლავ საფრთხეშია.
ორი სამეფო ერთმანეთსა კვლავ ეცილება,
თუ რომელს დარჩეს საქართველოს მდიდარი კუთხე,
ორი ძლიერი სახელმწიფო შემთხვევას ეძებს,
რათა აღგავოს მიწის პირით ქართველი ხალხი!
ირანის ლომსა ამის მიზეზს კახთა ბატონი
თეიმურაზი კიდევ აძლევს, რა კი არ იშლის
რუსთ ხელმწიფესთან დაუცხრომელ მოციქულობას...
შაჰს ეშინიან, თუ რუსეთი კარსა გაიხსნის
დარიალისას და ხელთ იგდებს ივერთა ქვეყნებს!
მ ე ფ ე — ჰო, შაჰიც გზავნის თავის ელჩებს, გზავნის რუსეთიც.
რუსეთი ითხოვს ჩემს დას ელენეს.
და აგერ აითქოს მეხი დაგვეცეს,
შაჰიც ითხოვს... როგორ მოვიქცეთ?
გ ი ო რ გ ი — ვერ გაწყენინებთ ჩვენ ვერც რუსეთს და ვერცა ირანს!
მ ე ფ ე — მაგრამ ეგ როგორ?
გ ი ო რ გ ი — რუსის ელჩები უნდა სამჯერ მოვიდნენ ჩვენთან,
სამჯერ ითხოვონ ქალიშვილი და შესაძლოა,
მესამე თხოვნა შევიწყნაროთ...
ასეთი არის ჩვენი წესი ქალის თხოვნისა.
მისვლა-მოსვლაში გაირბენენ წელიწადები...
ხოლო შაჰ-აბასს უნდა ელენე მივათხოვოთ აუცილებლად,
თუ რუსის ელჩებს მოაყოლა შაჰმაც ელჩები



და ის მოგვთხოვა, რასაც ითხოვს რუსთა ხელმწიფე,
ეს იმას ნიშნავს, რომ სურს ამით ჩვენი გამოცდა.
გვწონის და გვზომავს, ვის მხარეზე გადავიხრებით
და შემდეგ ხელი გახსნილი აქვს მას სამოქმედოდ!
თუ უარს ვეტყვით, იგი მიხვდება, რომ რუსეთს ვიწვევთ.
არვის ეგონოს წინააღმდეგ ვიყო რუსეთის.
არც ის იფიქრო შაჰს თაყვანს ვცემდე,
მისგან ველოდე რამ სიკეთეს ჩვენის ქვეყნისთვის.
იგი მტერია გამჭრიახი, დაუნდობელი!
სწორედ ის გახლავს ჩვენი დიდი უბედურება,
რომ ირანია ჩვენს მეზობლად, არა რუსეთი!
დიდი ცბიერი პიროვნება გვეპატრონება!
იგი არც ქართლსა და არც კახეთს ნებას არ მისცემს,
გაუხსნას რუსეთს რკინის კარი დარიალისა.
და თუ ეს მოხდა — ორ კვირაში ის თბილისს დაჰქრავს!
ჩვენ დავმარცხდებით, უარესი დღე დაგვადგება!
მტრის წინააღმდეგ ვიდრე მახვილს ჩვენ აღვმართავდეთ,
უნდა შემოწმდეს ჩვენი ძალაც, მოკავშირისაც
და თუ დავრწმუნდით, რომ მზად არ ვართ, არც ძალა შეგვწევს,
და მოკავშირის დაპირებაც მხოლოდ კეთილი
სურვილებია, თანაგრძნობა — სხვა არაფერი! —
რა უფლება გვაქვს ჩვენი ხალხი მივცეთ განსაცდელს,
უძლიერესი მეზობელი ჩვენზე ავმაღლოთ?
რა უფლება გვაქვს სისხლი ვღვაროთ მთლად უნაყოფოდ,
მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ასე სურთ ზოგიერთებს,
რომელთ ან ჟინი ამოქმედებთ მათი პირადული,
ან ასულდგმულებთ შორეული დაპირებანი,
ანდა არ ესმით ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა?
დღეს რა ძალა გვაქვს, რომ მტერს მყისვე პასუხი გავცეს?
დაქსაქსულია ჩვენი გლეხობა, გახიზნული, ლატაკად ქმნილი,
და ის გლეხობაც, ვინც ხელთ შეგვრჩა, წელში გამწყდარი,
მშიერ-მწყურვალი, უნიათო, დარბეულია!
მ ე ფ ე — მაშ რა ვიღონოთ? როგორ მოვიქცეთ?
გ ი ო რ გ ი — ვიდრე, მეფეო, მე ჩემს პასუხს მოგახსენებდე,
უნდა ვიცოდეთ, რა მიზეზით ჩვენკენ ილტვიან,
რომ ერთსაც უნდა საქართველო და მეორესაც?
ვიცი, ზოგიერთს გონია, თუ რუსთა ხელმწიფე
ხელს მიტომ გვიწვდის, რომ დაიცვას ქრისტიანობა,
ხოლო შაჰს სურდეს მოგვაქციოს მაჰმადის რჯულზე.

ხამლეული განზრახვას ერთიც ფარავს, დიახ, მეორეც!
რუსთა ხელმწიფეს გზა სჭირდება მზის ქვეყნებისაკენ,
რომ სოვდაგრებმა თავისუფლად აქ გაიარონ!
ხოლო შაჰს უნდა ამ მოქიშპეს გზა ჩაუკეტოს
და ჩვენ კი ვცდილობთ ის გზა გავხსნათ შიშველის ხელით!
და განა გახსნა შეგვიძლიან შიშველის ხელით?
ჩვენი ვალია ის ვამჯობინოთ,
რაც ღმერთს მოგვიტანს მეტ სარგებლობას!
ჩვენ ვისარგებლოთ იმ ხელსაყრელ ვითარებითაც,
რომ რუსთა მეფეც ჩვენკენ მოდის, ჩვენ ამ შემთხვევით
შაჰს ვაიძულებთ დაგვეთანხმოს ჩვენს მოთხოვნაზე:
დაგვეთანხმება, მით უმეტეს, თუ გულს მოვუგებთ,
და მოვთხოვთ მას ელენეს, სიძედ გაიხდი.
ჩვენ კი შაჰს მოვუთხოვთ მეტ უფლებას და მეტ შეღავათს!
მაშინ, მეფევ!
ერთის სკიპტრის ქვეშ საქართველო შევკრათ, შევაერთოთ,
როგორც ეს იყო შეკავშირებული თამარ მეფის დროს.
აი, ჩვენც ისე გაძლიერდეთ, წელში გავსწორდეთ
და ამის შემდეგ თანაბარი შევკრათ კავშირი.
ვისთანაც უფრო ჩვენი ხალხი ამჯობინებს,
ხოლო ახლა კი ვისთანაც მიხვალ
და ხელს გაუწვდი, მათხოვრად ჩაგთვლის
და არაოდეს თანატოლად ის არ მიგიღებს!
მ ე ფ ე — კარგი აზრია!
შენი ძლიერი ლაპარაკი სულს მიფრთოვანებს!
გ ი ო რ გ ი — კადნიერებად ნუ ჩამითვლი და ერთსაც გეტყვი:
ვიდრე ერთმმართველს ქვეშევრდომნი არ მორჩილებენ,
თავის ნებაზე ყველა მთავრობენ და ბატონობენ,
მანამდე ქართლიც კნინი არის და საქართველოც.
მ ე ფ ე — მანამდე მეფეც კნინი არის და მისი ტახტიც.
გ ი ო რ გ ი — მაშასადამე, ამის უნდა ბოლო მოეღოს.
ჯერ, მრავალი დაბრკოლება გადმეღობება
და, ისიც ვიცი, თავადობა არ მომიწონებს,
რომ ეს წვრილ-წვრილი სამთავროები
შენ დაგიმორჩილოთ, მეფეთა მეფევ.
მ ე ფ ე — მაგრამ ყოველი ბარადული უნდა შევეწიროთ
ჩვენს მამულს მსხვერპლად, დიდკაცობა
თუკი გვსურს მისი.
გ ი ო რ გ ი — შენი სამეფო უნდა იქნეს სამაგალითო,


ჯანსაღი ხალხით და ჯანსაღი წესწყობილებით,
როგორც ბუნება შენი ქვეყნის ჯანსაღი არის.
შენგან მოვითხოვ, მბრძანებელო, მე იმის დასტურს,
რომ აღვადგინო საქართველო სრულად, მთლიანად
და მისი სკიპტრი შენ გადმოგცე, მეფეთა მეფევ.
მ ე ფ ე — აჰა, ბეჭედი სახელმწიფოსი.
გ ი ო რ გ ი — არა, მეფევ, ეგ არ მჭირდება!
მაგით მხოლოდ მე შურს აღვძრავ!
მე მჭირდება შენი სიმტკიცე,
რომ ზოგთა ენამ არ მოგხიბლოს, მტრად არ გაგხადოს...
მ ე ფ ე — შენც გინდა კარიერისტულად...
გ ი ო რ გ ი — მე არც ეს მინდა.
ვიმეორებ, მინდა მხოლოდ შენი სიმტკიცე! (ჩოქდება).
მ ე ფ ე — გაფიცავ, შენს რჩევას არ გადავუხვევ!
მოდი ჩემს გულთან!
გ ი ო რ გ ი — ნება მომეც გამოგეთხოვო.
წავალ, მივხედავ ჩემს ერთგულთა და ჩემსა საქმეს!
შ ა დ ი მ ა ნ ი — (შემოდის). შენგან დაპყრობილ ქვეყნებიდან ეს არის ახლა
კაცნი მოვიდნენ და მოართვეს ხარკი მეფესა!
გ ი ო რ გ ი — ეგ მეფეს უნდა მოახსენო. (გადის).
შ ა დ ი მ ა ნ ი — გოროზი გული! როგორ ქედმაღლობს,
ლაპარაკსაც არა კადრულობს.
მაგრამ ეს მეფე ასე რატომ რამ ჩაიფიქრა?
ამ გაზაფხულის მშვენიერ დღეს, როს ყველა ხარობს,
მეფე მოწყენით რად შეჰყურებს თავის გაზაფხულს?
მ ე ფ ე — ჩემო შადიმან, რა ხელი აქვს ჩემთან მოწყენას,
როცა ეს გული აღვსილია დიადი ლტოლვით
და მიისწრაფვის იქ დიდებულ...
შ ა დ ი მ ა ნ ი — ბოდიშს ვიხდი...
მე კი მეგონა, მბრძანებელო, წინაღმდეგი!
მეფის გული შეუპყრია იმ ძლიერ ტალღას,
რაც ჩქერდება ახალგაზრდა მხურვალე სისხლის.
და თუ მეგონა, პატიებას მოვითხოვ შენგან,
რადგან ხანდახან კაცი სცდება და სცდება მისთვის,
რომ თვითონ ასეთ ხანა ერთხელ გამოუცდია
და ფიქრობს, ეგებ სხვაც იმ დღეში იმყოფებოდეს.
მ ე ფ ე — ჩემო შადიმან!
შ ა დ ი მ ა ნ ი — რით შემიძლია გემსახურო?

მ ე ფ ე — ყური დამიგდე
და რჩევა მომეც, ვით ერთგულმა კართუხუცესმა.
შ ა დ ი მ ა ნ ი — ნეტამც მომეცეს შემთხვევა და მეფეს ვაამო,
ან ჩემის რჩევით, ან მარჯვენის ერთგულებითა.
მ ე ფ ე — ხომ შეიძლება, რომ შეერთდეს ერთის სკიპტრის ქვეშ
მთლად საქართველო დაყოფილი სამთავროებად?
შ ა დ ი მ ა ნ ი — ეს უნდა იყოს მოურავის შთაგონებული!
მ ე ფ ე — ამას გიმჟღავნებ საიდუმლოდ.
შ ა დ ი მ ა ნ ი — და საიდუმლოდ
დარჩება ისე, ვით ღვთაება მთელ სამყაროში!
თუ მეფეთ მეფე მოისურვებს, სჩანს შეიძლება.
მ ე ფ ე — მაშ ესეც მითხარ:
მშვენიერია გიორგის და?
შ ა დ ი მ ა ნ ი — შენ გაიხარე, მბრძანებელო! — მშვენიერია
იგი, თუ არა, უნახავს ჩემს მოხუც თვალებს.
მაგრამ მე როგორც გამიგია სხვისგან ნათქვამი,
აუწერიათ საარაკო მშვენიერება,
მასზე შაირნი უმღერიათ და ასე უთქვამთ:
ამგვარ ასულსა ქართლი ჯერ არ მოსწრებიაო.
ის სწორედ მეფის ღირსიაო და სხვა მრავალი!
მე კი არ ვგონებ, მართლა აგრე ლამაზი იყოს,
მაგრამ თუ ხალხი ლაპარაკობს — სჩანს მართალია!
მ ე ფ ე — შადიმან, დღეს საუცხოო ხასიათზე ვარ.
მე გიორგის და უნდა ვნახო, უნდა გავიცნო.
შ ა დ ი მ ა ნ ი — ადვილია, შვილო ჩემო, ერთხელ ოდესმე,
ვითომ შემთხვევით ვეწვიოთ სტუმრად.
ჯ ა რ ი ს კ ა ც ი — მეფეო, უბედურება, უბედურება!
გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ. (შემოდიან თავადები).
მ ე ფ ე — შადიმან! რა ამბავია? რამ შეგაშფოთათ?
კ ა ხ ა ბ ე რ ი — მთხრობელი! მთხრობელი!
შ ა დ ი მ ა ნ ი — არ უნდა იყოს კარგი ამბავი!
(კახაბერს შემოჰყავს დაჭრილი მთხრობელი).
მ ე ფ ე — ძლივს დგება ფეხზე, ხელი მიეცით!
მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი — სოფელ კვალთიდან წამოგვეწყდა ოსმალთა ჯარი.
ფევდორემ მითხრა ჩუმად ყურში: თავს უშველეო,
მე თათრების ჯარს ამ ტყე-ღრეში გზას ავურევო,
მითხრა და უცბად გამოვუსხლტდი თათრების ჯარსა
და იქვე ხევში გადავეშვი, ტყეს შევეფარე.



როდის მესროლეს, არ გამიგია.
ჯარი ფევდორემ გაიტყუა, თქვენს თავს უშველეთ!
ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.
მ ე ფ ე — დაჭრილს მოუარეთ...

(მხლებლები მთხრობელს გაიყვანენ).

მართალს ამბობდა წეღან გიორგი,
მტერი საცაა თავს დაგვესხმება.
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ბიჭოს, ერიჰაა! წავიდეთ.
სახლკარს მივხედოთ, ცოლშვილს მივხედოთ.
თ ა ვ ა დ ე ბ ი — წავიდეთ! წავიდეთ!
მ ე ფ ე — შადიმან! მტოვებ?
შ ა დ ი მ ა ნ ი — უცაბედი ელდა დაგვატყდა!
მე შენთან ვრჩები, თუ ორივეს თავის გაწირვა
მოიტანს რამე სარგებლობას — მაგრამ მე ვეჭვობ!
ზოგიერთებმა რად დაგვტოვეს, მეფეო ჩემო?
აქ რად არ სჩანან, რომ სიცოცხლე განსაცდელში გვაქვს?
შემინდე, მეფევ, თუ რომ ეჭვი გულს მეპარება!
მკერდს ვერ გადასჭრი და კაცის გულს ვერ გამოაჩენ,
თუ რა ზრახვასა ატრიალებს, გზას საით იკვლევს!
მოულოდნელად ასე თავზე მტრისა დაცემა,
რომ არა გვქონდეს გამოცდილი, პირად ნახული,
ან მამიშენის ამბავი რომ თვალწინ არ გვედგას,
თუ ზოგიერთი მოღალატე ვით მუხანათობს,
რომ თვისი მეფე ჩამოაგდოს და თვით გამეფდეს,
არც ვიეჭვებდი, რომ თავდასხმა ანაზდეული
მოწყობილია ვინმე ბოროტ მოკეთისაგან!
მ ე ფ ე — რას ნიშნავს შენი ლაპარაკი გულჩათხრობილი?
შ ა დ ი მ ა ნ ი — თუ სინამდვილე გამოაჩენს რაც მოგახსენე,
ჩემს ნათქვამს აღარც დასჭირდება კვლავ განმარტება!
აწ რა ვიღონოთ? რა ვარჩიოთ?
მ ე ფ ე — მაგას მე მკითხავ?
რა უყავ შენი სიბრძნე, მითხარ, ბარათაშვილო?
შ ა დ ი მ ა ნ ი — დიდო მეფეო, ჩემი სიბრძნე, დიახ, თან მახლავს
და გეტყვი: ძალა აღმართისა მართლაც მხვნელია!
რა დაგვრჩენია, თუ არა ის, რომ გავეხიზნოთ?
მ ე ფ ე — ვეღარ მოვასწრებთ!
შ ა დ ი მ ა ნ ი — თვითეულმა თვის თავს უშველოს!

მ ე ფ ე — მტერს დავუტოვოთ წვრილშვილი და ჩვენი სასლკარი?
ეგ არ იქნება!
შ ა დ ი მ ა ნ ი — აბა, მტერს როგორ გავუმკლავდებით?
ჯარი არა გვყავს შეყრილი და ვიდრე მას შევყრით,
კარზე მომდგარი მტერი თავებს წაგვაყრევინებს!
ერთი გზა კიდევ დაგვრჩენია, რომ შემოსეულთ
ვაახლოთ ჩვენი მოციქულნი და შევუთვალოთ:
რაცა სურთ ჩვენგან, ის მიიღონ — აბა სხვა რა ვქნათ?
გ ი ო რ გ ი ს ხ მ ა — აბა აჩქარდით!
ჯარი იყარეთ და მტერს მიყევით!
ვიდრე ჩვენ ბრძოლა არ ავუტეხოთ,
არ დასცალოთ არც ერთი თოფი!

(შემოდის გიორგი უკვე შეიარაღებული).

შენ, დათო ჩემო, ჩქარა ნოსტეში! ქსნის ხეობაში შეყარეთ ჯარი
და როგორც რისხვა, ისე დაეშვით!
მეფეო ჩემო,
როს გაგვიჭირდეს, მაშინ უნდა მეტი მხნეობა!
მ ე ფ ე — (გამხნევებული). ოდეს შენთან ვარ, შიში ჩემი შორს
არის ჩემგან!
გ ი ო რ გ ი — მე კი ვაფრინე უკვე კაცი ჰუგხარ ბატონთან,
ქსნის ერისთავთან, ციციშვილთან, შამშადილ-ხანთან,
ხვალ უკვე დილით საქართველოს ჯარი შესდგება!

(ვარეთ მხედრული სიმღერა და დოლის ხმა).

შენ აქ დარჩები კარის ჯარით! როს იგულისხმო,
რომ ოსმალთ ჯარსა ჩემის ჯარით პირში ვუდგევარ
გამოსწი ჩემკენ! მანამდის კი მხნედ იყავ, მეფევ!
ხანი მადროვე, მე ვუჩვენებ იმათ თამაშას!

(გიორგი მსწრაფლ გადის).

შ ა დ ი მ ა ნ ი — (დიდხანს დგას ჩუმად გაშტერებული).
ახ, როდის იქნეს, ჩემი ბოლმა გადმოვანთხიო,
უჯიშოს შვილო!!!

## მოქმედება მეორე

ქუხს და გრიგალი ღმუის. სიბნელეში ისმის გაყიდული ყმა-მონების სიმღერა: „ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა". სიმღერა იკარგება. თანდათან იდარებს და გამოჩნდება სიღრმეში ციხე-კოშკი, წინ მისი კარმიდამო.

პ ა პ უ ნ ა — რაშიგან ხარ?.. რას გვაბრუნებ?..
დ ა თ ო — ჰეი, გააღეთ ჭიშკარი!
პ ა პ უ ნ ა — ვინ ხარ?
დ ა თ ო — ხმაზე როგორ ვერ მიცნობ, შე გამოყრუებულო?
პ ა პ უ ნ ა — ოჰო, დათო, ჩვენო დათუნა?
მოდი, მოშავდი! სად ხარ აქამდე?
დ ა თ ო — ქორწილში საცერით ღვინოს ვსვამდი.
პ ა პ უ ნ ა — გიორგი შენზე ძალიან მწყრალად არის!
დ ა თ ო — კაცო! განა ფრთები მასხია, მივფრინდე-მოვფრინდე?
იმ ჩალა-ცხენსაც ფეხი მოსტყდა!
პ ა პ უ ნ ა — ჩემის აზრით, ტყუილუბრალოდ ვეწევით დავიდარაბას.
ჩვენ ომს ვეღარავინ გაგვიბედავს!
დ ა თ ო — შეჰკარ ეგ შენი აზრი და ჯიბეში ჩაიდე!
პ ა პ უ ნ ა — ჰო, გიორგიმ მითხრა, აღარ გვეომებიანო.
დ ა თ ო — ცოტა მოშორებით რომ არ იყო, გავადრებდი მაგ ნოტვლებილ თავში! გიორგიმ გითხრა: დაჯექ და ნაცარი ქექეო?
პ ა პ უ ნ ა — მიზეზს ჩვენ გაძლევდით,. მიზეზს, შე გადარეულო!
დ ა თ ო — შენ ჭკუის პატრონი არასოდეს ყოფილხარ და რაც გქონდა, ისიც დაგიკარგავს, თუ ყველაფერში მიზეზი მიგაჩნია მთავარ მიზეზად, მაშ მითხარ, რა მიზეზით ჰკლავენ ინდაურს?
პ ა პ უ ნ ა — რა ეშმაკმა გაგახსენა ახლა ინდაური?
დ ა თ ო — შენ რომ გიცქერ, სხვა რა გამახსენდეს? ჰო, რა მიზეზით ჰკლავენ ინდაურს? იქნებ იმ მიზეზით, რომ ვერ დასდო ოქროს კვერცხი?! ჰკვიანი! პატრონს კუჭი აწუხებდა, დაჰკლა საბრალო ინდაური, გაიძღო მშიერი კუჭი და ოქროს კვერცხს დაიბრალა! ჩვენც ასე გვედავებიან: მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო, და ჩემი პაპუნა „ყლაპ", აღარ არის! ხომ არ გეწყინა, ინდაურს რომ შეგადარე? ჩემმა მზემ, შენ ინდაური ხარ და არა სირაქლემა, თორემ შენ სხვას გადაყლაპავდი და ყველაფერსაც მოინელებდი!
პ ა ა ტ ა — (შემორბის თოფით ხელში). ძია დათო, შენი ხმა შემომესმა!

გუშინაც გელოდებოდი! ძია, ერთი უცქირე, რა თოფია! აი, ტარზე სადაფი... აი, ლულაზე თითბრის ნაჭახები... აქ კი წარწერაა: „პაატას"..., უთუოდ სანადიროდ უნდა წავიდეთ, თუ შენ არ წამიყვან, მე თვითონ წავალ, როგორც ამას წინათ შევიკრიბენით ხუთნი... მეთაურად მწყემსი ტიმოთე ავირჩიეთ. წავედით შორს... შორს... აგერ, იმ მთას იქით, კიდევ სხვა მთები გადავიარეთ. მაშინ მონადირემ გვითხრა: აი ეს დიოფის ქედიაო! მე სახუნდარში დამტოვეს, თვითონ სარეკელში წავიდნენ. ალყას არტყამდნენ. ველოდე, ველოდე და ბოლოს... მესმის, ტყეში ტოტები იმტვრევა... გული ამიძგერდა... თითქმის სუნთქვა შემეკრა.

დათო — ხომ არ შეგეშინდა?

პაატა — არა! ვფიქრობდი, ერთი მალე გამოჩნდეს, რომ ნიშანში ავიღო-მეთქი. მე დათვის იმედი მქონდა... მაგრამ, მოდის უშველებელი ტახი... ეშვები ვეებერთელა ჰქონდა! გავარდა ჩემი თოფი და დაგრიალდა. კიდევ დაგრიალდა... შემდეგ ისევ ჩემკენ გამოქანდა... უცბად ავძვერი ხეზე...

დათო — ყოჩაღ, რომ მოასწარი.

პაატა — ეს ხე პაპუნასაგან მქონდა გაგონილი! ტახმა ხეს უტრიალა, უტრიალა და შემდეგ წავიდა. მოცვივდნენ ჩვენებიც. გეფიცები, უშველებელი ტახი იყო, ოთხმა ძლივს გამოვათრიეთ.

დათო — ყოჩაღად მოქცეულხარ... მხეცი უნდა მოიკლას.

პაპუნა — ეგეც არის! მხეცი უნდა მოიშინაურო, მოათვინიერო.

დათო — ჰეჰ შენისთანა მწყემსზე არ ვლაპარაკობთ! მერე, პაატა, მერე?

პაატა — მერე, დავანთეთ ცეცხლი და მწვადები ავაშიშხინეთ.

დათო — იმ! იმ! იმ!

პაატა — სამი დღე არის, შენ გელოდები... ამ თოფით იქ გავენადირეთ, სადაც... შენ რომ ამბობდი, ვეფხვები არიანო, იმ მთებზე გადაღმა, უფრო შორს... მინდა ვეფხვს შევხვდე, როგორც ტარიელს შეხვდა! მინდა მეც ხელში ავიტაცო, ჩავაგლო ჩანგებში და შუა გავგლიჯო. როდის წავიდეთ? გინდა ახლავ? აბა, წავიდეთ!

დათო — პაატა, მოიცა, გენაცვალე! მოიცა! მე ისე დაღლილი ვარ, რომ ფეხებს ძლივს დავათრევ... მშიან კიდეც.

პაპუნა — ფეხებს შენ კი არ დაათრევ, ეგ ფეხები შენ დაგათრევენ, თორემ გორში ასულის ამდენხანს მოუნდებოდი?

დათო — მეგონა, სანამ გორიდან დავბრუნდებოდი შენი ენა ლოღნას გადაეჩვეოდა და ბულბულის გალობას ისწავლიდა.



გიორგის ხმა — პაპუნა!

დათო — მოიცა, მგონი გიორგი იძახის.

პაპუნა — შენ ხომ დაღლილი იყავ, კარგა გამოცოცხლდი? შენ პირდაპირ ცხრათავიანი დევი ხარ! ხვალს კიდევ შეიძლებ გორში ასვლას.

დათო — შემოქე! შემოქე! გოშია იყეფს და ბოლოს მგელს შეეჭამოს!

გიორგი — პაპუნა, სად დაიკარგე?

პაატა — აქ ვართ, მასწავლო.

გიორგი — ოჰ, ჩემო დათო! გამარჯვება! სად ხარ აქამდე?

პაპუნა — სიმამრის ოჯახი და ლეკური გადაქცა.

დათო — გავჩერდებოდი, მაგრამ ცხენს ფეხი მოსტყდა... ქართლში ურდოები დადიოდნენ... ორჯერ იმდენი სპარსი გაგვეწყვიტეს, რომ არა თუ მეწინავეს და ოსტატებს. მოსახლეებსაც თავზე საყრდენი ექნებათ.

გიორგი — დღეს ორხის ოსტატი უნდა მოსულიყო.

პაპუნა — აქ არის. აგერ, უსტა ოსმან-ალი! (შემოდის ოსმანი)

ოსმანი — დღეგრძელი იყოს ჩვენი გიორგი!

გიორგი — სალამი, ოსმან! ჩემი ისრიდლებიდან დაუკითხავად მუშები სახლში წასულან.

ოსტატი — დაუკითხავად არ წასულან. იარაღი არ გვქონდა. იმათ კი თავიანთი არ ჰქონდათ. მე თვითონ გავუშვი. შინ თავის საქმეს სწადებოდნენ და ვერც რამეს იქ აკეთებდნენ. ჩვენ გვინდა წერაქვები და თოფის წამალი.

გიორგი — მართლა ეგ არის დაბრკოლება?

ოსტატი — ხვალ უნდა ის მაღალი სალი კლდე ავაფეთქო და ბალე დავამთავრო.

გიორგი — აფეთქე! ვიცე წინდა ბალე დამთავრდეს!
ტაშის კარიდან, ციდრე მცხეთამდე,
მტკვრის ნაპირზე არხებს გავიყვანთ!
და ქართლის მინდვრებს ახვავებს და გვალვა ვერას დააკლებს,
აყვავდებიან და დოვლათით აივსებიან.
მაშინ შენ, ოსმან, შენს წონას ოქროს მიიღებ!
ახლა წადი და მიიღე რაც კი გჭირდება...

(ოსტატი გადის. გიორგი სახლში შესვლას აპირებს, დათო შეაჩერებს).

კიდევ რამე სათქმელი გაქვს?

დათო — მაქვს! ზოგიერთი თავადი ქართლში კიდევ ურჩობს!

ნოდარ მაჩაბელს ყრმა ბავშვები, ქალიშვილები ნოღურებით და სტამბოლელ ვაჭარზე გაუყიდია.
გიორგი — ნოდარ მაჩაბელს, თუ ასლან ციციშვილს?
დათო — ორივეს ამბობენ! მგონი შენ მთელ თუხარელი დაგი-ლევენშია.
გიორგი — კიდევ ერთხელ აცნობე ყველას:
თუ კიდევ ვინმე თავადთაგანი გაყიდის მონას,
პასუხს აგებს თავის სიცოცხლით.
ასე უთხარ რომ:
სასტიკად კრძალავს მეფე ჩვენი, ყმებით ვაჭრობას!
და იგი ვაჭარიც დააპატიმრეთ,
ჩვენს ხაზინას გადაეცით მისი ქონება!
შენ კი დღესვე უნდა გაბრუნდე უკან.
დათო — დღესვე?
პაპუნა — თუ საჩქაროა, მითხარ, ნუ გითავებ!
დათო — როგორ თუ შენ ითავებ? განა მე დამბლა დამეცა? მიბრძანე, შენი ჭირიმე!
გიორგი — უნდა აწვიდე ქსნის ხეობაში და ერისთავს
გამოუცხადო,
დაუყოვნებლივ ქუდზე კაცი გამოიყვანოს
და ჩაიყენოს ოსმალეთ საზღვარზე!
ხოლო რომლებიც ომების დროს გახიზნული იყვნენ,
გამოუცხადე, რომ დასახლდნენ ნიჩბისის ახლოს,
მათ მეფე ჩვენი ხარჯისაგან ათავისუფლებს...
შემდეგ აირბენ გორში ამქრებთან
და ყოველგვარი იარაღი თუ ტანსაცმელი აქ გადმოზიდე.

(მომდგარ სიმონს დაინახავს და მიეგებება.)

ო, სიმონ! სიმონ!
დათო — ერთი ალთას არის, მეორე ბალთას!
პაპუნა — ჩაგრჩა რამე თავში?
დათო — მაშ შენსავით ძირგავარდნილი კასრი ხომ არ მაბია, ჩაგყარო და დაიფანტოს.
გიორგი — სიმონ ჩემო! ხომ არ დაიღალე?
სიმონ — მუხლი მგლისა მაქვს! დაღლას რა ხელი აქვს, როცა შენგან პასუხს ელოდებიან. მინდა გახარო: დღეს ქვათა-ხევის სასწავლებელში ასორმოცი მოსწავლეა არის.
გიორგი — შენ ეს მითხარ, უცხო ენებს ხომ ადვილად ითვისებენ?



სიმონ — ისე ადვილად სწავლობენ თურქულს, ირანულს და არაბულს, რომ ყველანი განცვიფრებაში მოვდივართ.
გიორგი — მე იმიტომ დაგიბარე, სიმონ, რომ ერთი ამბითაც გაგახარო: ფრანგთა სწავლული ვნახე თბილისში. ის თანახმაა უფროს ბავშვებს შეასწავლოს უცხო ენები. ამრიგად შენი თაოსნობა მოგვარებულია და, ახლა შენ იცი, ჩვენს ქვეყანას როგორ სწავლულებს აღუზრდი. უცხო ენების მცოდნე ხალხი დიდად გვჭირდება და იმას უბეჯითე. ამის გარდა გორის ციხიდან მიიღებ ხუთ ურემ ფქვილს. სხვა შენ იცოდე.
სიმონ — სწორედ დროზედ არის.
მათეს ხმა — ჰეი, ჰეი, გააღეთ კარი, გაგვიშვით გიორგისთან.

(შემოიყვანენ გლეხებს, წინ მოჰყავთ სოვდაგარი და იასაული.)

გიორგი — თუხარელო, რა ამბავია?
ტყვეები — გიორგი, ჩვენო მხსნელო, იყავ დღეგრძელო!
მათე — აჰა, შევასრულე შენი დავალება! გუშინ ქუხდა და გრიგალი ხეებს ამტვრევდა, ბნელოდა კიდეც. ამ დროს წამოვეწიენ: ეს სოვდაგარი და, აი, ეს ციციშვილის იასაული. ამათ დაარღვიეს სახელმწიფო კანონი. ეს ხალხი ერთმა გაყიდა, მეორემ იყიდა. ახლა შენ იცი.
დათო — გიორგი, შენი ჭირიმე, აიღე და იმ ურჩ თავადებს დას-ჭერ თავები, შენც მოისვენებ, მეც, მათეც და პაპუნაც! მაშინ არც ღალატი იქნება და არც მონებით ვაჭრობა.
გიორგი — რა დაგმართიათ, ოჯახიშვილებო?
მოხუცი — დიდო პატრონო, დიდო მოურავო. შენზე ამბობენ, რომ ხარ მოწყალე, ხალხის შემბრალე, ჭირისუფალი გლეხი კაცისა. იგრეთვე შენი მარჯვენა გაიხარებს. დაგვიფარე ბატონებისაგან, მიხედე ქრისტიან ხალხს, ნუ გაგვხდი ურჯულოს კერძად. შვილო, სული ამოგვხადეს. გაჭირვება აღარ არის. აი, მე თვითონ... ჩემი მარჯვენა იმათ სამსახურს შევალიე და მაინც არ დამინდეს! გაყიდეს ჩემი ბებერი ძვლები. ყური ათხოვე ჩვენს გაჭირვებას, ჩვენს ცრემლს და ჩვენს მოდარას, ნულარ დაგვაბრუნებ იმ წყეულებთან. შენთან გვამყოფე, შენ გვიმსახურე.
ხალხი — შენთან გვამყოფე, დიდო მოურავო. ჩვენ შენთან გვინდა.
მოხუცი — ჩვენ შენთან გვინდა!
გიორგი — რად გაგიტეხიათ გული, ოჯახიშვილებო?
ისე არ გაქრება მადლი ჩვენი ხალხისა.

მტერს შეარჩინოს უსამართლობა

([illegible]).

ესენი ჩარიცხეთ მეომრებად.

ტ ყ ვ ე ე ბ ი — დღეგრძელი იყოს ჩვენი გიორგი!

გ ი ო რ გ ი — ხელი ეგ ორნი..

დ ა თ ო — ხეზე დავკიდო?

გ ი ო რ გ ი — არა! გორიდან სურამამდე ნაკვალევი გზა გაგვყავს... აქ ჩვენ ქვისმტვრევი ხალხი გვჭირდება.. დახსენით და ქვა ამტვრევინეთ.

ტ ყ ვ ე ე ბ ი — დიდხანს იცოცხლე და გვიმსახურე!

დ ა თ ო — კარგია! ესენი ლეშს დაჰყრიან და ჩვენ კი შარაგზა გვექნება. ძალიან კარგია! აბა, ჰაიდა.

ი ა ს ა უ ლ ი — ჩე ინანური ვარ!

დ ა თ ო — წადი, გიარე! ინანური! გაიარე!

გ ი ო რ გ ი — კიდევ ვინ მიდის?

პ ა პ უ ნ ა — აი, ეს ჩვენიანები! გორჯასპი! მარქარ!

გ ი ო რ გ ი — გორჯასპი? მარქარ! გამარჯობათ. აბა, რა ქენით?

გ ო რ ჯ ა ს პ ი — უნდა შეგატყობინო, რომ შენ რაც დაგვავალე და რაც დაგვიქვეთ ხანჯალი დაღესტნური, ხმალი და დამბაჩა ყირიმული. ხმალი, რა ხმალი, ბეწვის გამჭრელი.

მ ა რ ქ ა რ — წული და ჩუქმა? ბაბამ ჩაიცვას, შვილმა ატაროს, შვილიშვილმა ვერ გაცვითოს!

გ ო რ ჯ ა ს პ ი — ახლა ლაგამი და უნაგირი? ვერცხლის ზარნიშით. ისე ლაპლაპებენ, როგორც ანთებული კელაპტრები.

მ ა რ ქ ა რ — ახლა ნაბდები? ტყავის ქურქები? ტყვია ვერ გაიტანს, წვიმა რას დააკლებს? ერთი სიტყვით, ყველაფერი მზად არის!

გ ო რ ჯ ა ს პ ი — და ყველაფერი თავზე საყრელია. გორჯასპი მოგიკვდეს, ტოლ-ამხანაგებში გამიწყრეთ, თუ შენ რაც დაგვავალე, არ შევასრულეთ. მერე გიორგიმ დაგვავალოს და არ შევასრულოთ?

გ ი ო რ გ ი — თქვენი იმედი მე მუდამ მქონდა. იყოს დღეგრძელი თქვენი მარჯვენა, მაგრამ მეტ ხანს შეგაჩერებთ. პაპუნა! სად არის თბილისელი ჯანიძე გორგა? აქ დაიძახე...

პ ა პ უ ნ ა — ჯანიძე გორგა! წადი!

ჯ ა ნ ი ძ ე — ჩემი სალამი და გამარჯვება. ჩვენისთანა კაცი ბედნიე-



რია, როცა გიორგი ჩვენი მწყალობელია.

გ ი ო რ გ ი — ხომ იცი, რისთვისაც დაგიბარე?

ჯ ა ნ ი ძ ე — შენი ხმალი, ჩემი კალამი.

გ ი ო რ გ ი — აი, აქ, შენ ვისაც ხედავ, ყველას იცნობ. თვითეულმა მათგანმა თავის მოვალეობა სისხლით, სამშობლო ქვეყანას სარგებლობა მოუტანეს. გამონაკლისი მხოლოდ შენ ხარ. თბილისის ქარვასლები შენ გადმოგეცა. სამი წელიწადია სდუღს და გადმოდის მოსულ სოვდაგრებისაგან ვაჭრობა. ჩვენი პირობით წელიწადში ექვსასი მარჩილი უნდა გადაგეხადა.

ჯ ა ნ ი ძ ე — ჩემს შვილებს გეფიცები, ჩემს ხატს, აი, ამ პირჯვრის მადლმა, ჯერ მე ასეთი ზარალი არ მინახავს. ცოლშვილი ლამის შიმშილით ამომიწყდეს.

დ ა თ ო — ვაი, შე საბრალო! პაპუნა, თითო უზალთუნი გაქნება. აჩუქე ამ მათხოვარს.

კ ა ხ ა ბ ე რ ი — გიორგი! გიორგი!

გ ი ო რ გ ი — კახაბერ, საიდან? რა ამბავია?

კ ა ხ ა ბ ე რ ი — ლუარსაბ მეფემ დამავალა მეცნობებინა, რომ დღეს იგი თავის ამალით შენი სტუმარია!

გ ი ო რ გ ი — აბა ყოჩაღად, აბა აჩქარდით!
პაპუნა, მზარეულს უთხარ არ შემარცხვინოს!
ბატკარ-ბატარა ქოლოლები სუფრაზე დადგას!
შენ, ლათუნავ, დარბაზს მიხედე, მარჯვედ იყვნენ
და, როს მობრძანდეს ლუარსაბ მეფე,
ზარბზნის რეკვით მოგვეცეს ნიშანი.
მერე, შენ ცოლშვილი შიმშილით გეხოცება?

გ ო რ გ ა — შენმა მზემ, ჩემმა მზემ.

გ ი ო რ გ ი — შენმა მზემ, ჩემმა მზემ. მე კაცი არ ვიყო, თუ მაგ დღეში გამყოფო. შენი ქარვასლები ჩაითვალოს ჩამორთმეულად. ისეთ კაცს გადავცემ, რომელიც მოვალეობას და ზარალსაც არ ჰპატიობს. გორჯასპ, ქარვასლებს ხვალიდან შენ ჩაიბარებ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დღეგრძელი იყოს ჩვენი გიორგი.

გ ი ო რ გ ი — აბა, მოემზადეთ მეფის დასახვედრად.

დ ა თ ო — მობრძანდეს მეფე. ჩვენც მზადა ვართ მის დასახვედრად.

გ ი ო რ გ ი — პაპუნა, წადი, მეფის მოსვლა შეატყობინე. ჩემი სახლობა და ოჯახი წინ მიეგებოს.

კ ა ხ ა ბ ე რ ი — მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრა, ჩემო გიორგი.
ვნახე, ეზოში ნოეყარით დადებული თავი.
შუაში იდგა შადრევანი, გამგე მეფისა.
მას შენზე ჰქონდა საუბარი, ყური დავუგდე,

თითქოს გაქებდა, მაგრამ შურით და ღვარძლს ანთხევდა
და დიდებულთა აქეზებდა რაღაც საქმისთვის!
რომ დამინახა, მომაჩერა უცბად თვალები,
მან თითქოს იგრძნო, რომ შენი ვარ მარად ერთგული,
მოხერხებულად ლაპარაკის კილო შესცვალა.

გ ი ო რ გ ი — აბა, კახაბერ, რა დროს მაგაზე ლაპარაკია?

კ ა ხ ა ბ ე რ ი — წინათაც გითხარ, მაგრამ არ გჯერა.

გ ი ო რ გ ი — რამდენია ქვეყნად ბოროტი
ენის პატრონი და იმათ რომ ყური დავუგდოთ,
თვით ჩვენი თავი შეგვძულდება.

კ ა ხ ა ბ ე რ ი — ბოროტი ენა თუკი საზღვარს გადააცილებს
და ქვეყნის ერთგულ მამულიშვილს ორმოს გაუთხრის,
ენის პატრონი უნდა მაშინ ან აილაგმოს,
ანდა მოესპოს მას სახსარი მოქმედებისა.

(მოისმა ზარების რეკა).

გ ი ო რ გ ი — აგერ, მოდიან.

კ ა ხ ა ბ ე რ ი — მობრძანდებიან.

(საზეიმო დახვედრა. შემოდის მეფე თავის ამალით).

გ ი ო რ გ ი — მეფეო, ჩემი სახლის ჭერი იმხიარულებს
და თვით კედლებიც სტუმრებისთვის იხალვათებენ.

მ ე ფ ე — კარგმა სტუმარმა მოსვლა იცის ანაზდეულად.

გ ი ო რ გ ი — თქვენზე უკეთესს ჩემი თვალი სხვას ვის იხილავს?

მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი — შენი დახვედრა განთქმული არის.

გ ი ო რ გ ი — მეფის ყმისათვის ასეთი დღე იშვიათია.
დედიჩემი...

დ ე დ ა — დაგლოცოს, შვილო, ზეციურმა
და შენი მოსვლა კეთილი იყოს.
ჭაღარა დედა მეფის კალთებს ეამბორება.

გ ი ო რ გ ი — ჩემი მეუღლე.

მ ა რ ი ა მ ი — მოხარულია ჩვენი სახლი
დიდებულ მეფის აქ მობრძანებით!

გ ი ო რ გ ი — ჩემი და თეკლე.

მ ე ფ ე — შენა ხარ თეკლე?

თ ე კ ლ ე — დროშა ნაქარგი ჩემის ხელით
მიიღე კრძალვით
და მტერზე მუდამ
გამარჯვებულს წინ მოგიძღოდეს.

მ ე ფ ე — საუცხოვოა, ფასდაუდები.



გმადლობ, ასულო!
ვფიცავ, რომ იგი მზეა და არა მართებს მზესა მზეობა.

გ ი ო რ გ ი ს მ ხ ლ ე ბ ე ლ ი — ჩვენი სალამი უმდაბლესი დიდებულ მეფეს.

გ ი ო რ გ ი — მრავალ ბრძოლაში გამოცდილნო დარბაისელნო,
თქვენ დიდებულნო, კარისკაცნო, მეფის სარდალნო,
ჩვენი სამშობლო შინაურ თუ გარეშე მტრისგან
უზრუნველყავით და აწ გვმართებს შვება და ლხენა!

შ ა დ ი მ ა ნ ი — ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი.

სურათი

(ფარდის წინ გიორგი და თეკლე. ისმის ზეიმისა და ლხინის გრიამული).

გ ი ო რ გ ი — თეკლე, ვინ მოგცა შენ ეს ბეჭედი?

თ ე კ ლ ე — მე... ეს ბეჭედი?

გ ი ო რ გ ი — ჰო, ეს ბეჭედი ვინ მოგცა-მეთქი?

თ ე კ ლ ე — მე ეს ბეჭედი... თვითონ იმან შემომთავაზა!

გ ი ო რ გ ი — მაშ მეფემ? შერცხვა გიორგი,
შერცხვა ოჯახი! როგორ მაკადრა მე ეს მეფემ?
რატომ მაკადრა?

თ ე კ ლ ე — ტყუილად ჯავრობ. შენ დას ერწმუნე.
სხვა არაფერი მომხდარა ჩემს და მას შორის.

გ ი ო რ გ ი — ოხ, ღმერთო ჩემო, სად იმსხვრევა ჩემი მიზანი.
რატომ გაჩენის დღეს არ მოვკვდი.

თ ე კ ლ ე — მე სრულებითაც ცუდს არ ველოდი,
არც ახლა ვიცი, დამნაშავე რაში ვარ განა?
ცაცხვისქვეშ ვიდექ, ჩვენს წყაროსთან,
მეფე მობრძანდა,
როს დამინახა, უმალ ჩემსკენ გამოეშურა.
მან არ გამიშვა, მესაუბრა დიდხანს მარტოკა,
მან ჩემი ხელი ხელში იპყრო, თავი დავხარე...
მსურდა გაქცევა, მაგრამ გული იქვე მრჩებოდა...
თანახმა ვიყავ, რასაც იგი გრძნობით ამბობდა...
ბოლოს მან თვითვე გამიკეთა ბეჭედი თითზე
და მითხრა, ამან განგვიმტკიცოს ჩვენ კავშირიო.
ვეღარაფერი მოვახერხე, უარი მეთქვა!
თანახმა ვიყავ, რასაც იგი გულით ამბობდა.
თანახმა ვიყავ და შემდეგ... ჰო, მეც სიტყვა მივეც!

გ ი ო რ გ ი — ახ, თეკლე, თეკლე, შენ დამღუპე და დამაქციე.
აღარ გაცოცხლებ.

თ ე კ ლ ე — მაშინ შენ იყავ მიზეზი, თუ ჩემი სიცოცხლე...
გ ი ო რ გ ი — თეკლე, აქ მოდი! მოდი ჩემთან!
აბა დაფიქრდი, ჩემო დაო, კარგად დაფიქრდი!
შენს დედოფლობას თავადობა არ მოისურვებს.
ქართლში ატყდება აღრევა და დავიდარაბა!
არეულ საქმით ისარგებლებს გარეშე მტერიც!
მე რაც კი დღემდე მოვაგვარე სამშობლოსათვის,
ყველაფერს შენი დედოფლობა მტვრად გადააქცევს.
დაო, შენს გვირგვინს ცეცხლი მოაქვს ჩვენი ქვეყნისთვის.
შენი პირადი სიკეთე და ბედნიერება
ჩაიკალ გულში და სამშობლო აბედნიერე.
მითხარ, რას არჩევ: ჩვენს დამხობას,
თუ შენს პირად ბედნიერებას?
მითხარ, ძვირფასო ჩემო თეკლე, ცქრიალა დაო.
ლუარსაბ მეფე თამამი და ახალგაზრდაა,
ალბათ ხელისზედ იქნებოდა, გაგეთამაშა,
შენს თავსა ვფიცავ, დროებითი ამბავი არის.
თ ე კ ლ ე — ძმაო, მაცალე, გონს ვერ მოვსულვარ.
აი, მე ვდგავარ შენს წინაშე და ასე ვგონებ.
თითქოს ანთებულ თონეში ვიჯდე.
ჩემი ქვეყნისთვის თუ ცეცხლი მომაქვს,
ეს მე არ ვიცი,
რაკი შენ ამბობ, სჩანს მართალია!
გემორჩილები, გადაეცი ბეჭედი მეფეს.
მე კი მაცალე, თავი ჩემი გამოვიტირო.

(შემოდიან შადიმანი, დედა, მარიამი და კახაბერი).

შ ა დ ი მ ა ნ ი — საით, ასულო! მოითმინე!
მოციქულად ვარ მეფისაგან შენთან, გიორგი!
პატიოსანი აზნაურიც გამომაყოლა
ჩვენი კახაბერ ხერხეულიძე!
და ჩემის მხრითაც დასტური ვთხოვე შენს ნათელ ოჯახს.
გ ი ო რ გ ი — ვიცი, თავადო, რასაც მეტყვი.
მეფეს მიართვი ეს ბეჭედი და მოახსენე:
ახლავე სჯობს ჩამომეხსნას, ბოლოს ჭირში ჩაგდებისა!
შ ა დ ი მ ა ნ ი — ბარემ დასწერე ჩვენი სიკვდილის განაჩენი, ისე გამგზავნე.
გ ი ო რ გ ი — ვიცი, შადიმან, რაც მოყვება ამ ქორწინებას
და სჯობს ახლავე ავიცილო უბედურება.



შ ა დ ი მ ა ნ ი — მეფეს შენი და სურს მეუღლედ,
ქართლის დედოფლად.
გ ი ო რ გ ი — მეფეს სურს, მაგრამ ჩემს დას არა სურს.
შ ა დ ი მ ა ნ ი — ეგ არა მჯერა, თეკლეს უყვარს...
გ ი ო რ გ ი — თვით მაგას ჰკითხე.
შ ა დ ი მ ა ნ ი — ასულო ჩვენო, ძმა ცილს გწამებს...
ვერ დავიჯერებ.
სთქვი გულახდილად!
შესაძლოა ფიცი გასტეხოს
ტურფა ნესტანმა ტარიელისა?
თ ე კ ლ ე — მსურს მოგახსენო.
შ ა დ ი მ ა ნ ი — ეგ ხმა ამჟღავნებს, უარს არ იტყვი.
თ ე კ ლ ე — ვიტყვი, თავადო...
შ ა დ ი მ ა ნ ი — რათ? აბა ხმალი, აქვე მომკალით.
თ ე კ ლ ე — ჩვენს გვირგვინოსანს მოახსენე:
მის მოცემულ ბეჭედს ვუბრუნებ!
გ ი ო რ გ ი — თეკლე წავა ქრისტეს მსახურად,
ხოლო მეფესთან ქორწინებას ის არ ისურვებს!
მეფეს რომელი მთავარი, ან დიდი თავადი
თავისს ქალს დაუჭერს და სიამით არ მიათხოვებს?
შ ა დ ი მ ა ნ ი — რა მოვახსენო მაშ ჩვენს მეფეს?
გ ი ო რ გ ი — რაც მოისმინე.
შ ა დ ი მ ა ნ ი — ო, ნუ იწვევ ჩემს დაღუპვას, დიდო სარდალო.
პატივი ეცი ჩემს ჭაღარას, ჩემს ქუდს, ჩემს სახელს.
მეფე ლუარსაბ მე აღვზარდე, ჩემი შვილია.
შვილი იქნება შენი და თეკლეც!
რა პირობასაც მოისურვებ, თანახმანი ვართ!
თვით ჩვენი მეფე სიტყვას მოგცემს და ფიცის ქაღალდს.
დ ა თ ო — გიორგი, მეფე მობრძანდება... დიდებულები...
შ ა დ ი მ ა ნ ი — მობრძანდეს მეფე — იგი სიძე.

(მეფე დიდებულებით).

მ ე ფ ე — ვარდსა ჰკითხეს, ეგზომ ტურფა
რამან შეგქმნა ტანად, პირად?
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — აი, თურმე, ვარდი სად ყოფილა!
მ ე ფ ე — როდის იქნეს იგი ჩემი...
ა ს ლ ა ნ — როცა ისურვებ!
გეფიცები, არც მე მეგონა,
თუ ასე ტურფა იქნებოდა შიოშის ქალი!

მ ე ფ ე — ლხინი მსურს... ცეკვა...
ყ ვ ე ლ ა ნ ი — მეფეს სურს... ცეკვა...
მ ე ფ ე — ღირსი ვინ არის? მე ვინ ვაცეკვო?
თეკლე! ვის მირჩევ?
თ ე კ ლ ე — ვინც თქვენ გენებოთ!
მ ე ფ ე — ვინც ვარდის კონა წელან მკრა გულსა
და დამიწყლულა.
თ ე კ ლ ე — არა, მეფევ!
მ ე ფ ე — სწორედ, თეკლევ!

(საცეკვაო, თეკლე თამამობს. მეფეც, მისი თამამით გატაცებული, ყველაფერი დაავიწყდება, მხოლოდ თეკლეს უცქერის).

შ ა ლ ი მ ა ნ ი — იგი შენია, შენ მისი, არ უნდა ამას ცილობა!
მ ე ფ ე — მე მინდა ჩემებრ ბედნიერი დღეს იყოს ყველა,
ყველა ხარობდეს, როგორც მე ვხარობ!
აი, თქვენ ყველას, ყველას გეტყობათ, რომ გიხარიათ!
მაგრამ გიორგი? ჩემი გიორგი რაღაც ზრუნვას შეუპყრია!
გ ი ო რ გ ი — მეფეთ მეფევ, ჩემი ზრუნვა რა უნდა იყოს
თუ არა მეფის კეთილდღეობა?
მ ე ფ ე — კიდეც ეგ არის, რომ ტახტის ერთგულს
შევეკვრები ნათესაური წმინდა კავშირით
და ამ ჩემს სურვილს ზეცაც დალოცავს!
მაქვს მტკიცე სურვილი, აღსრულდეს რაც უანგარო
და წრფელმა გულმა გადასწყვიტა.
ვისწრაფვი, რათა მე და შიოშის ასულმა თეკლემ
ხალხისა და ღვთის წინაშე შევკრათ
ცოლქმრობის წმინდა კავშირი.
ყ ვ ე ლ ა ნ ი — დღეგრძელი იყოს მეფე ლუარსაბ.
გ ი ო რ გ ი — დიდო მეფევ, მომიტევე კადნიერება!
აი, მუხლს ვიყრი, გემუდარები
ნუ ინებებ შენ ისეთ სურვილს,
რაც გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის არევ-დარევას!
ჩემი და თეკლე ღირსი არ არის,
რომ საქართველოს ტახტზე ივიდეს შენს თანასწორად!
ქართლის რჩეული თავადობა იუკადრისებს,
ამას მოყვება შინაური არეულობა,
გარეშე მტერიც ისარგებლებს მდგომარეობით
და ხელს შეუშლის საქართველოს კეთილდღეობას.
მ ე ფ ე — თავადობა იუკადრისებს? ვინ, რომელი?
კართუხუცესი!



შ ა ლ ი მ ა ნ ი — ვფიცავ სამგზის ზეციერსა და ყველა წმინდანს,
ჩვენთვის წმინდაა მეფის სურვილი.
ყ ვ ე ლ ა — ვფიცავთ სამგზის ზეციერსა და ყველა წმინდანს,
ჩვენთვის წმინდაა მეფის სურვილი!
მ ე ფ ე — მე მსურს დედოფლად შენი და თეკლე და სხვა არავინ!
კმარა! ისწრაფე ჩემთან თეკლე და მომეც ხელი!

(თეკლე ხან მეფეს შეჰყურებს და ხან გიორგის).

გ ი ო რ გ ი — აღსრულდეს ნება ქართლის მბრძანებლისა!
ყ ვ ე ლ ა ნ ი — დღეგრძელი იყოს მეფე ლუარსაბ.

(იწყება წინა ფარდა და მუსიკის ხმაზე მეფე, თეკლე და დიდებულები ალაყაფის კარებისაკენ მიეშურებიან).

გ ი ო რ გ ი — იხარე, თეკლე, ვიდრე დრო გაქვს, ბედიც გიღიმის!
რომ არ დამეთმო, მეფეს ჩემზე აღიმხედრებდი
და ჩემს დაწყობილ საქმეს გულში ლახვარს ჩასცემდნენ!
აი, დავუთმე,
მაგრამ მე ვიცი, მტრისთვის ესეც ხელსაყრელია
და, შესაძლოა, უარესიც ჩემს წინააღმდეგ!
თითქოს ცხოვრებამ შემაჩერა ჯვარედინ გზაზე,
სადაც სწერია: წახვალ ინანებ, არ წახვალ და მაინც ინანებ,
მაგრამ წასვლა კი საჭიროა, აუცილებლად!
და ისიც ვიცი, არ მოხდება უკან დახევა!

## მოქმედება მესამე

**მეფის სასახლე. ზეიმი.**

I სურათი

მეფე — კართუხუცესო, მინდა გიორგი ღირსეულად დავა-
ჯილდოვო,
რომ მომავლისთვის დარჩეს მარად მოსაგონებლად.
შადიმანი — მეფეთ მეფეო, სხვას უკეთესს რას ისურვებს
შენი ერთგული?
მეფე — ეს დიდი ჯილდო შენ იფიქრე, რა უნდა იყოს.
შადიმანი — ფრიად მეფური, შესაფერი მოურავისთვის.
გიორგი — მეფეო ჩემო, მე ისედაც დაჯილდოებულ ვარ!
შადიმანი — მეფის სურვილი შესრულდება ჩვენგან
პირნათლად.
გიორგი — დიდო მეფეო, ბედნიერებად ჩემთვის ის კმარა,
რომ შენ დღეს ხარობ, იხარე მეფევ
და შეგესწროს მეტ გამარჯვებას.
ქახაბერი — (შემოდის). დიდო მეფეო, საამო ამბავს
გვატყობინებენ.
მეფე — როცა კი დღეს ხდება, ყველაფერი საამო არის.
ქახაბერი — შაჰ-აბაზს ფრიად გახარებია,
რომ გაიმარჯვე ოსმალთა ჯარზე და მოსალოცად
მას [illegible] უახლებია.
მეფე — შაჰ-აბაზს? ჩემთან მოსალოცად?
მერე სად არის იგი [illegible]?
ქახაბერი — ის ჩამორჩენილ ქარავანს ელის
დიდის ალაფით და საჩუქრებით!
მეფე — თვითონ სად არის?
ქახაბერი — სწრაფი მგზავრობით ფრიად დაღლილმა
გიორგის სახლში [illegible] ბინა და იქ ისვენებს!
შადიმანი — გიორგისთან ბინა დაიდვა?
მეფე — მოვიდეს ჩემთან, გიორგი, ჩქარა! მოვიდეს ჩემთან!
გიორგი — მეფეო, ალბათ შენთან ელება მას სურს ზეიმით,
როგორც ავალებს ჩვეულება, მათი წესრიგი.
სპარსელებს უყვართ გამოჩენა, [illegible]!
მეფე — არა! მოვიდეს! აქ დაისვენებს!



მე მოუთმენლად გული მიწევს ნახვას.
წადი, გიორგი! (გიორგი გადის).
შადიმანი — საკვირველი ამბები ხდება!
მეფე — დიახ, დიახ!
შადიმანი — საკვირველი!
შენი ცოლისძმა ერთმმართველზე ძალიან ზრუნავს,
ასეთი ზრუნვა გულს ახარებს — თუ შეეხება
მართლა ერთმმართველს, ვინც ღვთისაგან მოვლინებულა!

(სიცილით).

მაგრამ საწყალი ერთს ეკუთვნის, სხვას კი — სახრავი.
აბა, ვინ იყო ერთმმართველი, თუნდაც ამ ომში?
ჩვენ არაფერი არ ვიცოდით — ეს ძლიერ ცუდი, —
მით უფრო მეფემ არ იცოდა, სად მიდგა ჯარი,
უცბად გამოჩნდა მმართველი და ომიც მოიგო.
ფრიად საქვეყნო, სასახელო საქმე გაკეთდა!
ეს ალბათ შაჰსაც მოახსენეს და დაარწმუნეს,
რომ ჩვენ გიორგის ბრძანებით გვხვდა გამარჯვება!
და ამიტომაც შაჰის კაციც მასთან ჩამოხდა,
რომ გამოკვეთოს, [illegible] მეფეს!
ირანის შაჰსაც წინდახედულად [illegible]
და პირობასაც ის სდებს მასთან, თვის ის იწუხებს,
ეს უნდა ფრიად ახარებდეს ჩვენს გვირგვინოსანს.
მეფე — შადიმან, გგონიბ, ეგეს არ ფიქრობ!
შადიმანი — მეფევ ჩემო! დამიფაროს იესო ქრისტემ!
არ გამიკიცხავს მე გიორგი, თუმც გასაკიცხი
შემეძლო მეთქვა ყოველ [illegible] დიდზე, მცირეზე,
თვით გიორგიზე, მაგრამ მეფევ რად ვაწყენინებ,
როცა ის მისი ცოლისძმაა და ახლობელი.
ჩვენ მაგისთანა, ღმერთმა ბრძანოს, მრავალი ვყვდეს!
მეფე — არ გაგიკიცხავს... შეგეძლო გეთქვა...
მაინც არ მესმის...
შადიმანი — მე შემიფიცავს მამიშენისთვის,
რომ სიკვდილამდე, როგორც მისთვის, ისე შენთვისაც,
ერთგული ვიყო...
მეფე — მიმალავ რამეს?
შადიმანი — ეჭვიანი ხარ, შვილო ლუარსაბ!
მე თუ შენ რამე დაგიმალო,
მიწამ დამფაროს!

მ ე ფ ე — მჯერა! მჯერა!
ჩემმა სტუმრებმა რაღა მოიწყინეს? (გადის).
ა ს ლ ა ნ ი — სტუმრებს კი არ მოუწყენიათ, თვითონ ეწყინა...
შ ა დ ი მ ა ნ ი — სიფრთხილე, თორემ საქმეს წავაგებთ.
ჩემგან იცოდე, სადაც რა სთქვა, ვითომ სხვამ გითხრა.
ამ ოსტატობით სავსებით ვერა, მაინც მეფე ეჭვში ჩავაგდე.
ესეც იცოდე, ნუხრანბატონს არც ერთი სიტყვა!
იგი ფარული მოკავშირეა სააკაძისა.
რაც მალე წავა ზემოდან, მით უკეთესი.
ასლან ჩემო, რა ჰქენ იმ საქმის?
ა ს ლ ა ნ ი — შენ რომ წერილი დამავალე? უკვე აქა მაქვს,
ისმაილ ხანმა, იმ გაიძვერამ, დიდხანს მაწვალა,
დიდხანს მაწვალა, ვიდრე არ მივეც აზარფეშა საგვარეულო.
აბა უცქირე შაჰის წერილს.
შ ა დ ი მ ა ნ ი — (კითხულობს). ისმაილ ჩემო ლუარსაბ მეფეს მე არ ვენდობი!
მას შეუძლია ხელსაყრელ დროს მიმტყუნოს კიდეც!
ხოლო გიორგი მტკიცე კაცია.
ის მოიბირე, დაიახლოვე...
ის მეგულება ჭკვიან კაცად საქართველოში!
რა მოხარული ვიქნებოდი, სამეფო სკიპტრა მაგას სჭეროდა!
ა ს ლ ა ნ ი — ბოლოს ხელს აწერს.
შ ა დ ი მ ა ნ ი — შენი კეთილის მყოფელი შაჰ-აბაზ.
ა ს ლ ა ნ ი — ხომ ხედავ, შაჰი სად უმიზნებს. არც ახლა გჯერის?
შ ა დ ი მ ა ნ ი — ჩვენია ლელო!

(შემოდიან დიდებულნი: ამილახვარი, მუხრანბატონი, კახაბერი და სხვა).

ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — რას მხიარულობთ, თავადიშვილნო?
შ ა დ ი მ ა ნ ი — ჩვენ დილუპვას, დარბაისელნო.
ჩვენ გარდავწყვიტეთ სამარესთან სიცილით მისვლა
და, თუ თქვენც ამის ხალისი გაქვთ, მაშ გაიცინეთ.
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — რა დროს სიცილია, კართუხუცესო! შენ ის გვითხარი,
ასრულებს მეფე ჩვენს თხოვნას, თუ არა?
შ ა დ ი მ ა ნ ი — მეფე თქვენს სურვილს არ ასრულებს,
არც შეასრულებს, ვიდრე გიორგი ცოცხალი არის.



ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — თავადო, ბრაზით ნუ ამავსებ, თორემ ვფიცავ...
შ ა დ ი მ ა ნ ი — ფიცი ნუ გინდა, ამილახვარო.
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ჩამორთმეული მიწა, ტყე და მინდორ-სოფლები
მაცხოვრებლებით დაუბრუნდეს ისევ ძველ პატრონს,
თორემ ტახტს, გვირგვინს აღარ მივხედავთ...
და მხოლოდ ღმერთთან ვაგებთ პასუხს, ამ პირჯვრის მადლმა!
ხ ა ზ ა — ხალხის ორგული, მუხანათი და მოღალატე
ჩამოაშოროს მმართველობას, მთავარსარდლობას
და ჩვენ გადმოგვცეს განაჩენის გამოსატანად.
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ეგ არა კმარა! მოვითხოვთ მისგან,
განეშოროს გიორგის დასა და იმის ნაცვლად
შეიუღლოს მთავრის ასული.
შ ა დ ი მ ა ნ ი — მართლაც ეს რას გავს, როცა მეფეს, აღარც დიდს თავადს
აღარაფერი ეკითხება და თავის ნებით
ერთი განაგებს სახელმწიფოს, ერთი ბრძანებლობს?
ვინ აგიკრძალათ ბატონობა თქვენ საყმოებზე?
ვინ მოგიყვანათ მეფის ესრეთ მორჩილებაში?
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — (აღელვებული). ზეციერს ვფიცავ, აღარ ძალმიძს მეტის მოთმენა!
ჯერ ერთი გვიან გავჯავრდები და, თუ გავჯავრდი,
ჩემს სასტიკ რისხვას დასასრული აღარ ექნება!
შ ა დ ი მ ა ნ ი — ([illegible]). ცოტა დამშვიდდით, უკეთესად უფრო ვიფიქრებთ!
ხედავთ, ის როგორ გვეღიმება და ისე გვითხრის
დასალუპ ორმოს, — დიახ, იგი აღზრდილი შაჰთან,
მოხერხებულად ატრიალებს ცბიერ იარაღს
და ჩვენც ამგვარის იარაღით უნდა ვებრძოლოთ!
გაჯავრებით კი რას გავხდებით? აურზაური
საქმეს წაახდენს!
ა ს ლ ა ნ ი — წოდებით მაინც თანაბარი რომ იყოს ჩვენი,
დავჩუმდებოდით, მაგრამ ვიღაც უგვარო შვილი,
ერთ ჩვენთაგანის წინაპარის ერთდროს ნაყმევი,
ჩვენზე ბატონობს!
ჩვენ ძალას გვართმევს,
თვით ძლიერდება!
სურს საქართველოს შეერთება ერთი სკიპტრის ქვეშ,

სამთავროების გაუქმება...
მეფეს აქ კისერს ატეხინებს და თვით ძლიერი
გაბატონდება, ჩვენც დაგვიპყრობს.
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — აი, დალახვროს!
ეგ ახლად მესმის! რა განზრახვა ჰქონია, ხედავთ?
ყ ვ ე ლ ა ნ ი — ეგ მეფის აზრი არ იქნება.
შ ა დ ი მ ა ნ ი — თქვენგან არ მიკვირს?
მეფე თვის აღმზრდელთ და თვის ერთგულ მოსამსახურეთ
გულში ხმალს ჩასცემს? განა იგი თავის მტერია?
ა ს ლ ა ნ ი — ამას ბოლო თუ არ მოეღო...
მოვიშხამებით ჩვენ ყველანი და შვილიშვილთაც
პატივს და ნუგეშს დავუკარგავთ.
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ჩემი ქალი რომ უკუ აგდო არად ჩაგდებით,
ის გამცემს პასუხს;
წყეულიმც იყოს ის უმგვანო ეშმაკის კერძი!
შ ა დ ი მ ა ნ ი — პატივცემულნო, ჩვენ რომ ვიყოთ დარწმუნებულნი,
რომ მთავარსარდალს კეთილი სურს ჩვენი მეფისთვის,
მაშინ, ჰო, რომ ჩვენც მის საქმეს ხელს შევუწყობდით,
მაგრამ თუ ვიცით? ბოროტება იქნება ჩვენგან,
რომ დავაყრიფოთ გულხელნი და ანუ დავჩუმდეთ!
და ის ამბავიც,
რომ ვითომც მეფეს განეზრახოს ერთი სკიპტრის ქვეშ
მთლად საქართველოს შეერთება! ამით ის ეძებს
სამეფო გვირგვინს!
ჯარს ის განაგებს, ძლიერდება, ჩვენ გვაუძლურებს,
და ჩვენ უძლურნი რაღა პასუხს გავცემთ ძლიერსა,
თუნდაც დაიწყოს უგუნურმა სკიპტრის პოტინი
და გააუქმოს მან მეფობა ბაგრატიონთა?
თუ ჩემი ეჭვი არ გამართლდა, ბოლოში მოვიხდი
ყველას წინაშე და ჩემს თავსაც მე თვითონ დავსჯი!
ა ს ლ ა ნ ი — არა! ქართველნო დიდებულნო! ეჭვიც მეტია!
ყ ვ ე ლ ა ნ ი — (აღელვებულნი ერთხმად). ეჭვიც მეტია! დიახ! დიახ.
ეჭვიც მეტია!

პასუხი აგოს ჩვენს წინაშე!
აგოს პასუხი!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მტკიცედ მოვითხოვთ, ჩვენი უფლება
აღდგენილ იქნას!
კ ა ხ ა ბ ე რ ი — ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, დარბაისელნო,
თუ კი ის ერთი წარჩინებულთ სამარეს უთხრის,



მაშ რაღა გვიშლის რომ გადავდგათ მტკიცე ნაბიჯი
და ერთის დაკვრით მოვსპოთ იგი?
შ ა დ ი მ ა ნ ი — მაგას გულში ვერ გავივლებდი,
ეს იქნებოდა მეტისმეტად მკაცრი მოპყრობა.
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — და მეტისმეტად სამართლიანი.
როგორ და რა გზით, ეს გადავწყვიტოთ!
კ ა ხ ა ბ ე რ ი — აქ დამსწრეთ ყველამ წილი ვყაროთ
და ვისაც შეხვდეს...
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — არა, არა, აქ წილის ყრა არ გამოდგება,
უნდა იკისროს თავის ნებით, ვინც უფრო მეტად...
კ ა ხ ა ბ ე რ ი — ყველაზე მეტად გიორგის სისხლი მე მწყურიან,
ეს კარგად იცით.
იცის აგრეთვე შადიმანმა... გთხოვთ, მე მარგუნოთ
ესრეთ დიდი, სასახელო ბედნიერება.
შ ა დ ი მ ა ნ ი — ათასი ოქრო მომიძღვნია, ჯილდოდ, თამამო!
კ ა ხ ა ბ ე რ ი — სასყიდელს თქვენგან მე არ მოვითხოვ,
მაგრამ თუ თავადს სურს გულუხვობა,
უარს ვერ ვკადრებ.
შ ა დ ი მ ა ნ ი — აი, სამშობლოს ერთგულებაც ასეთი უნდა!
დარბაისელნო, ჩემთან მიბრძანდით.
ასლან, იცოდე,
როცა იმ გველს თავს გაუსრესავთ,
იმავ წამისად რაზმი მზად იყოს!
მაშინვე ნოსტეს შევესიოთ და ამოვბუგოთ
მისი ცოლ-შვილი, მისი მომხრე მთლად ნაშიერი,
რომ აღარ დარჩეს სააკაძის სახსენებელი!
(წასვლისას ასლანს გაიხმობს და საიდუმლოდ).

სანდო პირები ჩააყენე სადარაჯოზე,
ამ კახაბერს კი დაუძახე და გამოსცადე.

(შადიმანი გადის).

ა ს ლ ა ნ ი — (კახაბერს წინ წამოუვლის). ძმაო კახაბერ!
მინდოდა შენთვის წეღანვე მეთქვა.
მაგრამ მე ამით განსაცდელში თავს ჩავიგდებდი.
კ ა ხ ა ბ ე რ ი — თავადო ასლან, აწ რა გწადიან?
ა ს ლ ა ნ ი — შენც ხომ მისი ერთგული იყავ?
კ ა ხ ა ბ ე რ ი — ვიყავ, აღარ ვარ.
ა ს ლ ა ნ ი — მოიგონე მისი ამაგი.

კახაბერი — მისი ამაგი, მე არ მითქვამს, დამეიწყებოდეს
და მიტომ არის, რომ ცხოქმედით თავგანწირვებით...
ასლანი — კახაბერ ჩემო, დაანებე მაგ საქმეს თავი...
წამო, გავიქცეთ, შევატყობინოთ...
კახაბერი — ჰეი, შადიმან, მეფის კარზე მოღალატეა!
შადიმანი — (შემოდის). ჩუ! რა გაყვირებს!
კახაბერი — მოღალატეა მეფის კარზე...
შადიმანი — მაგ მოღალატეს მე გავცემ პასუხს,
აბა ეს ოქრო, მე თვითონ ყველაფერს
თავის დროზე შევატყობინებ...
ახლა შენ წადი.

სურათი 2. ისევ ხევნა.

თეკლე — ჯერედ ექვსი თვე არ გასულა, ჩემო ძვირფასო,
როცხან ერთმანეთს შევუერთდით წმინდა კავშირით
და უკვე განზრახ თითქო გული ჩემზე შეგეცვლოდეს.
მეფე — აჰ, ჩემო თეკლე, ჩვენს სიყვარულს ვერავინ შეცვლის,
მაგრამ სხვა დარდი, სხვა ნაღველი...
თეკლე — მეც მაგას ვნანობ,
რომ ამ შენ ნაღველს და მაგ შენს დარდს მე არ
მიმჟღავნებ.
მეფე — ვინ იცის იქნებ მართალია, იქნებ სიცრუე,
მაგრამ, თუ ეჭვი გულს ჩაექდო, მისი ამოშლა
ძნელია, ძნელი! საბუთს მოვითხოვ, მაგრამ საბუთი?
თეკლე — ო, რომ მამცნობდე მაგ შენს ეჭვსა, ჩემო მეუღლევ!
მეფე — ასეთი საქმე ჩემს ცოლისძმას არ ეკადრება!
უჩემოდ ყველს ესაუბრობს, და რაც მას სურდეს,
ის გადაწყვიტოს.
თეკლე — შენთვის ბოროტს არ განიზრახავს,
არა! გარწმუნებ, სიცოცხლევ! რატომ არ მეტყვი,
ვინ ამბობს მაგას?
მეფე — რომ ვიცოდე ეს მე ვინ მითხრა,
მაგრამ არ მახსოვს,
შადიმანს ეს ჩემთვის არ უთქვამს,
არცა სხვა ვისმეს კარის მსახურს, მაინც ვინ მითხრა?
არა, არ ვიცი! თითქოს სიზმრად მომეყრას ყური,



და ეს სიზმარი ყოფილიყოს ცხად სინამდვილედ.
თეკლე — ჩემო სიცოცხლევ, შადიმანი, სხვა ვინ გეტყოდა?
მაგრამ გეტყოდა ანკარის მოქნილის ენით,
რომ იმ დროს ეჭვი გულში არც კი აღგეძრებოდა
და მხოლოდ შემდეგ... შენ თავს ვფიცავ, ამაოდ ჰგონებ.
მეფე — მე შენ გიყვარვარ და ამით მაქვს გული მშვიდადარი,
დაე წარმტაცონ გვირგვინი და სამეფო ტახტი,
მხოლოდ შენ, თეკლე, შენ იქნები ჩემი სამეფო!
თეკლე — შენია მარად თეკლეს გული, მთლად
საქართველოც!
ჩემი ძმის ზრუნვა სხვა არ არის, ჩემო სიცოცხლევ!
მეფე — შენი ძმა. დიახ! მაგრამ იგი... მსურს დამიმტკიცონ,
ნუთუ ამ ტახტზე დავრჩენილვარ ობლად ობოლი
და აღარც ერთი მეგობარი მომეპოვება?
თეკლე — განა გიორგის აღარ ჰგონებ ერთგულ მეგობრად?
ნუთუ უჯერებ ბოროტ ენას? არა, მეფევ!
თვითონ გიორგი დაიბარე და გამოკითხე
და დარწმუნდები, რომ მოწყურნე მისი მტერია,
რომელს სწადიან შეძულება ორი მეგობრის.
მეფე — ახლავე დავწერ მასთან წერილს. (გადის).
თეკლე — ღმერთო, რა უნდათ? რა შური ჩვენი? ღმერთო,
დაგვიხსენ.

სეფე-ქალი — ჩემო კეთილო დედოფალო!
ნახე, ჩვენს მეფეს რასა სწერენ თავადთა ცოლნი!
შემთხვევით ენახე მაგიდაზე. (კითხულობს).
„ჩვენ არ ვკადრებთ გლეხის ქალიშვილს ვიახლნეთ და
ხელზე ვემთხვიოთ.

არ ვაღიარებთ ჩვენს დედოფლად.
ჩვენს ქმრებსაც ვურჩევთ
ან გაგვეყარნენ, ან ეგ ქალი შენ მოიშორო!"
თეკლე — აჰ, ჩემო ნანო, უბედური ვარ, უბედური!
ამპარტავანნი და გაიძვერნი შურით კვდებიან.
დავიღუპები, მეფე ჩემი თუ დაითანხმეს.
სეფე-ქალი — მეფე არ იზამს, დედოფალო, დამშვიდდი ჩემო.
თეკლე — ჩემო ლომბილო. მეფის გულში უკვე ეჭვები
ჩაუთესიათ!

ჩემს ძმას მტრობენ გესლით აღვსილნი.
ეს სულ შადიმანს...
სეფე-ქალი — აქეთ მოდის...

თ ე ქ ლ ე — იყოს წყეული!

(შემოდიან შადიმანი და ასლანი).

შ ა დ ი მ ა ნ ი — გუშინ შესრულდა სწორედ ექვსი თვე,
რაცხან მეფემ თეკლე შეირთო...
ა ს ლ ა ნ ი — სუ... თეკლე არის...
შ ა დ ი მ ა ნ ი — ჩვენც ეგ გვინდოდა: აბა, დაიწყე...

(განგებ დიდის ხმით).

თავადო ასლან! არა მჯერა, არა, ჩემმა მზემ...
ა ს ლ ა ნ ი — (აგრეთვე დიდის ხმით). მაგრამ, თავადო, როგორც
სხვები ლაპარაკობენ,
ვითომდა მეფეს — ღმერთმა ბრძანოს ტყუილი იყოს,
მთავრის ასული მეტისმეტად მოსწონებია.
მითხრეს, ვითომდა ლაპარაკი კიდეც ჰქონია
და ახლა მეფე მიზეზს ეძებს, რომ თვის მეუღლეს,
სათნო დედოფალს, გაეყაროს და ეს მიზეზიც
გამოუნახავს, ჩვენს მოურავს ღალატს აბრალებს!
შ ა დ ი მ ა ნ ი — (თეკლეს გასაგონად). თან ზეიმს უხდის, თან მოურავს
ღალატს აბრალებს?
ღალატს, რომ ცოლი მოიშოროს? სწორედ
მანცვიფრებს!
რას ვფიქრობდი, მეფე ამგვარ ხერხს მიმართავდა?
მოურავსა ღალატს აბრალებს, რომ მის დას, თეკლეს,
განეშოროს?
ეგ ტყუილია, მეგობარო! მეფეს მეუღლე ძალიან უყვარს,
ღირსიც არის იგი უყვარდეს.

(ვითომც დაინახავს თეკლეს).

ააა! სალამი შენდა!
როგორ გიკითხოს თქვენმა მონამ,
მეფის მეუღლე როგორ ბრძანდები?
თ ე ქ ლ ე — ჩემს სიცოცხლეს ბოროტი ენა რომ არ სწამლავდეს,
უკეთესად ჩემს თავს ვიგრძნობდი.
შ ა დ ი მ ა ნ ი — რად არ უბრძანებ იმ ბოროტი ენა მოგლიჯონ?
თ ე ქ ლ ე — (მკვეთრად). თვითონ შენ პირველს ეს სასჯელი არ
აგცდებოდა!
რა გინდა ჩვენგან? რისთვის არღვევ ჩვენს მყუდროებას?
შ ა დ ი მ ა ნ ი — უკაცრავად ვარ, დედოფალო! ჩემზე რად ბრძანებ?
ან რად მაკადრებ?



თ ე ქ ლ ე — მეტის ღირსი ხარ გაიძვერა, ბოროტო გველო!
მ ე ფ ე — (შემოდის). რა ამბავია?
შ ა დ ი მ ა ნ ი — რა ვაწყენინეთ, ეს არ ვიცი, დიდო მეფეო!
ეს სხვათა შორის
მეკითხებოდა: იგი ხმები მართალიაო,
მე ვარწმუნებდი: არა-მეთქი! ვერ დავინახეთ.
თ ე ქ ლ ე — სხვა არვინ ამბობს!
შენ ამბობ მაგას, შენვე გასცემ მაგისთვის პასუხს!
ო, საყვარელო, განმაშორე ამ ადამიანს!
შ ა დ ი მ ა ნ ი — მეტისმეტია, დედოფალო! ბრალს მდებ ტყუილად!
თვით კარგად იცის შენმა ძმამ, თუ მას ვით ვერთგულობ.
და თუ ამბავი მოგახსენეთ სხვისგან ნათქვამი,
რა შუაში ვარ თქვენი მონა უმორჩილესი?
აი, მოწმე მყავს, ამას ასე სხვა ლაპარაკობს
და თუ მოითხოვთ, ყველა მათგანს დავასახელებ
და ეგებ იცნოთ, თუ ვინ არის გიორგის მტერი!
თ ე ქ ლ ე — არ ვსაჭიროებ შენგან შხამის კვლავ გადმონთხევას!

(გადის თეკლე, უკან სეფე-ქალი მისდევს).

მ ე ფ ე — არაფერია! ერთ-ერთ მხლებელს აქ დამიძახე!

(ასლანი გადის).

მინდა გიორგი დავიბარო, მინდა დავკითხო...
შ ა დ ი მ ა ნ ი — გინდა დაკითხო?
განა არ იცი, თუ ის მართლა ცუდ რამეს ფიქრობს
არ გაგიმჟღავნებს, ხოლო შენ კი მას გააფრთხილებ,
რაც თვით საქმისათვის არ ივარგებს!
არცა მე მჯერა, იგი თავის ღმერთს გადაუდგეს!
კიდევ მაქვს რწმენა, რომ ქართველი ქართველს არ უმტრობს,
მაგრამ ეს რწმენა ჩემი არის, სხვა ვით მოქმედობს,
ეს მე არ ვიცი! თუ სიმართლის გვსურს ჩვენ გაგება,
აურზაურით ვერ გავიგებთ, მტერს გავაფრთხილებთ.
კარგ მონადირის ჩვეულება ასეთი არის,
რომ იგი ნადირს ეპარება მძიმე ნაბიჯით
და მაშინ დასცლის, როცა ნადირი
უკვე ნიშანში ამოიღო — ეს ჩემი რჩევა
ასეთი არის, მბრძანებელო, და თუ შენ მაინც!
ა ს ლ ა ნ ი — (შემობრუნდება). შორს თვალი მოვკარ, აქეთ მოდის
მთავარსარდალი!

(მეფე აივანზე გადადგება და იცქირება, ასლანი მის გვერდით. შადიმან მაღლობზე უკან მოექცევა და ხელს იქნევს არმოსვლის ნიშნად).

მ ე ფ ე — გამალებული მოდიოდა და რატომ შესდგა?
ა ს ლ ა ნ ი — ის მართლა შესდგა და რაღაცას ფიქრობს, მეფეო!
მ ე ფ ე — (შადიმანს შეხედავს). რატომ არ მოდის სიხარულით?
შ ა დ ი მ ა ნ ი — რა მოგახსენო!
მ ე ფ ე — (იცქირება). აგერ, კვლავ აქეთ გამოემართა!
ა ს ლ ა ნ ი — გვათვალიერებს.

(შადიმანი კვერთხსა და ხელს იქნევს).

მ ე ფ ე — იგი კვლავ შესდგა!
ა ს ლ ა ნ ი — მართლა შესდგა!
შ ა დ ი მ ა ნ ი — საკვირველია!
მ ე ფ ე — აგრე არასდროს მოქცეულა!
შ ა დ ი მ ა ნ ი — არა, ჩემმა მზემ!
ა ს ლ ა ნ ი — იქნებ ავად რამე ეწვია? ან იქნებ რამე მას ჩააგონეს?
შ ა დ ი მ ა ნ ი — ეგ კი ჩემს მეფეს რა მოვახსენო!
მ ე ფ ე — კვლავ გამოსწია!

(შადიმანი უფრო ძლიერად იქნევს კვერთხს და ხელს).

შ ა დ ი მ ა ნ ი — ბარემ მოვიდეს! რად ყოყმანობს? საეჭვო არის!
მ ე ფ ე — შედგა! არ მოდის!
ა ს ლ ა ნ ი — უკან გაბრუნდა!
შ ა დ ი მ ა ნ ი — უკან გაბრუნდა? საკვირველი სანახავია!

(მძიმე-მძიმედ წინ წამოვლენ).

აი, მეფეო! ახლა მჯერა რაც მოგახსენეს!
ბოროტი ედო ალბათ გულში! ან და სინდისი
წმინდა არ ჰქონდა, თორემ, აბა რა დაემართა!
შენ კარგად იცი, მტრობას არ ვგრძნობ გიორგისადმი.
თუმცა ამას თეკლე მაბრალებს მე დაბეჯითებით,
ეს არც შემფერის, ჩემი სული ამ სიბერის დროს
ვითომ ცოდვებით დავიმძიმო, მაგრამ, მეფეო,
ეს საქციელი გიორგისა, ახლა რომ ვნახეთ —
რომ ვერ მოჰბედა შენთან მოსვლა — ცუდს მაგრძნობინებს
და ვფიქრობ, იქნებ სული მართლა ეშმაკს მიჰყიდა.
იქნებ მას ჰსურდა მობარება და ჩვენ რომ აქ გვნახა,
სხვა დრო არჩია?.. ღმერთო, გვიხსენ!.. რა დრო დაგვიდგა?!
ამას მე ეჭვში ჩასაგდებად არ მოგახსენებ...
არა, მეფეო! ღმერთმა გვიხსნას ეშმაკის მახეს!
მე რომ იმდენად ავი ვიყო, ანუ ბოროტი,



ან რომ ამ გულში ღვარძლი მქონდეს და არა ნდობა,
კიდევ შემეძლო რამ მეფიქრა გიორგიზედაც.
მაგრამ ბუნებით დამყოლია კეთილი გული
და თუ მე სხვამ არ დამანახვა ბოროტი საქმე,
ამ ბრმა თვალებით თვითონ მე ვერ შევამჩნევ ხოლმე,
ან თუ შევამჩნევ, მეტად გვიან, ასე რომ საქმეს
ეჭვიანობა, თუ სიფრთხილე ვეღარას შველის!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — (შემოდის). სალამი ჩემი უმდაბლესი. დიდებულ მეფეს!
შ ა დ ი მ ა ნ ი — რაო, თავადო, რას მოგვისმენთ? რას გაურჯიხარ?
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — მოციქულად ვარ მოგზავნილი დიდებულთაგან!
მ ე ფ ე — გისმენ, გვიამბე!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — სააკაძის მომხრეთა შორის
და თავადთა შორის ჩამოვარდა განხეთქილება.
ხალხი გაიყო ორ ბანაკად. უმრავლესობა
მოითხოვს შენგან განეშორო გიორგის დასა,
რადგან იმისი დედოფლობა ქართლის დიდებულ
სამეფო ტახტზე არის ტახტის დამცირებაო
და იმის ნაცვლად მთავრის ქალი შეირთეო!
გალავნის გარეთ დიდებულნი პასუხს ელიან!
შ ა დ ი მ ა ნ ი — (ვითომც გაოცებული). ვით უბედავენ მაგას მეფეს ჩვენს გვირგვინოსანს?
მონა უბრძანებს თავის ბატონს?
მ ე ფ ე — (ამილახვარს). ჰო! მოახსენე
ჩემთა დიდებულთ, რომ მათ სურვილს მე არ ვასრულებ.
ვუბრძანებ ყველას, დაიშალნენ!
შ ა დ ი მ ა ნ ი — მე მოვახსენებ!
აბა, თავადო, მე გამომყე! მე ვიცი მათი!

(შადიმანი და ამილახვარი გადიან).

თ ე კ ლ ე — (კარის წინ წარმოსდგება. ცალი ხელი ფარდაზე უკიდია და თითქოს მიყრდნობილიაო თვალცრემლიანი უმზერის მეფეს)
ჩემო მეფეო! (ტირილი წასკდება).
მ ე ფ ე — (მისკენ გაექანება. გულში ჩაიკრავს).
სასურველო, სულზე უტკბესო!
აბა, რად ტირი!
თ ე კ ლ ე — მოვისმინე თავადის სიტყვა!
მ ე ფ ე — მერე შენ ამან ასე გული რაზე გატკინა?

თ ე კ ლ ე — უნდა გაგშორდე!
მ ე ფ ე — ჩემო თეკლე!
თ ე კ ლ ე — ნურაფერს მეტყვი!
დაე მე ვზიდავ მარტო ტანჯვას, ჩემო სიცოცხლევ!
დაე მე ვიქნე გათელილი შენის გულისთვის,
ეს სიხარულად დამირჩება, ვიდრე აქ დავრჩე,
ჩემის აქ ყოფნით განგიმზადო უბედურებას!
მ ე ფ ე — თეკლე, რას ამბობ! გულს ნუ მიკლავ! ჩემო იმედო!

(ეხვევა)

შენ თავს ვერავინ დამაშორებს!
ჩემი სიცოცხლის მნათობი შენ ხარ!
რა ოხრად მინდა ჯვარისკაცნი, თუ შენ არ მყავხარ!
თ ე კ ლ ე — არასასურველი თუ კი ვარ მე ჩემი ხალხისთვის...
მ ე ფ ე — არა, ხალხს უყვარხარ! მხოლოდ ურჩნი თავადთაგანნი
ამ თავხედობას მიბედავენ — ბოლოს მოვუღებ!
შენ კი, ძვირფასო, განგიმზადებ მყუდრო სავანეს!
თ ე კ ლ ე — თუ კი მე, ჩემის შენთან ყოფნით, საფრთხეს გიმზადებ,
მე თვით დაგტოვებ, ოღონდ შენ კი განიხარებდე.
მე თვით დაგტოვებ. ვგონებ ასე ემჯობინება!
მიბრძანე, ჩემო მბრძანებელო!
მ ე ფ ე — თეკლე! ახ, თეკლე!
ყველაფერს დავთმობ, შენ კი — ვერა! ჩემო სიცოცხლევ!
ნუ ტირი, ჩემო სინათლევ! შენ მოგიცილო,
მე ვიღა დამრჩეს ჩემს ნუგეშად? დამშვიდდი, სულო!
დაე ამხედრდნენ!! შენს სიყვარულს ვერ ჩამიკლავენ!
შ ა დ ი მ ა ნ ი — (შემორბის). ჯვარისკაცნო, ამბოხია, არ შემოუშვათ!
დიდო მეფევ! თავადობა ნეტად მძვინვარებს!
მათ ჩვენსა სიტყვას ყურადღება არ მიაქციეს.
გამომისტუმრეს უკადრისად!

(კარში დიდი აურზაური).

ხ მ ე ბ ი — არ შეიძლება!
ან ის არჩიოს, ან ჩვენი თავი!
მოვითხოვთ სიკვდილით დასჯას!

(მეფე ტახტზე ზის. თეკლე ტახტის გვერდით. დარბაზში შემოდიან თავადნი და აზნაურნი).

თ ე კ ლ ე — თუ თქვენ გწადიათ გაძევება თქვენის დედოფლის!
ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჩვენი არ არის! არა! არა!



თ ე კ ლ ე — რატომ აშლილხართ, დარბაისელნო?
ყ ვ ე ლ ა — არა ხარ ჩვენი დედოფალი.
ჩვენ გვინდა მეფეს ველაპარაკოთ.
თ ე კ ლ ე — მე თვით გეცნაურებით, განვეყრები ჩემსა მბრძანებელს!
სხვა რაღა გინდათ?
ყ ვ ე ლ ა — საქმე არა გვაქვს ჩვენ დიაცთან... არა გვაქვს საქმე!
თ ე კ ლ ე — დიახ, ჩემთან გაქვთ დღეს თქვენ საქმე!
აქ ვარ გიორგის სისხლი და ხორცი...
ყ ვ ე ლ ა ნ ი — მოღალატეა მოურავი, მოღალატეა!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — უფრო უარეს დამცირებას არ შევსწრებივარ!
ყ ვ ე ლ ა ნ ი — ან ჩვენ, ან იგი.
თ ე კ ლ ე — უღირსნო, მეფის ორგულნო!
ვის სისხლს მოითხოვთ? ვინ იღწვოდა და იღწვის დღესაც
ჩვენის ქვეყნისათვის?
რამ დააბრმავა თვალნი თქვენი? შურმა და მტრობამ?
რამ დააჩლუნგა თქვენი გრძნობა? შურმა და მტრობამ?
ვერრომც ამ შურმა თქვენ მოგიგდოთ და დაგამიწოთ,
რომ არ შეხამდეთ ჩემთან მეფეს და მთლად ქვეყანას.
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — სად გაგონილა მეფის ტახტზე ეს ნაძლევხარი?
ყ ვ ე ლ ა ნ ი — არა, არა! ან ჩვენ, ან იგი!
მ ე ფ ე — რა გინდათ ჩემგან?
ყ ვ ე ლ ა ნ ი — გაეყარე ამ გლეხის გოგოს!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — დაიწერე ჩქარა განაჩენი! ის უნდა მოკვდეს.
მ ე ფ ე — მე ტახტის ერთგულს სიკვდილს ვერ მივცემ!
ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი — ვნახოთ, მეფევ, თუ ჩვენს სურვილს არ აასრულებ,
როგორ იმეფებ უჩვენოდ საქართველოში.
ყ ვ ე ლ ა ნ ი — ან ჩვენი თავი ინდომე, ან სააკაძე,
თორემ სხვას მივცემთ ჩვენ თავს სამეფოდ. გადავუდგებით.
ყ ვ ე ლ ა ნ ი — აღარ გემეფებით, არა, არა!
მ ე ფ ე — წადით, გაშორდით! მე თვით არ მსურს თქვენზე მეფობა.
რა დამრჩენია? ცარიელი მხოლოდ გვირგვინი!
ახლა მას მტაცებთ, რაც კი არის ჩემთვის ძვირფასი,
ამ ჩემს მეუღლეს და ცოლისძმასა!
აღარ მსურს ვიყო თქვენი მეფე, თუ კი დედოფლად
შინაში ქალი არ იქნება. აჰა, გვირგვინი.

(გვირგვინს გადაიგდებს. ამ მოულოდნელობით ყველა დაიბნევა).

შ ა დ ი მ ა ნ ი — როგორ უბედავთ მაგას მეფეს? ვაი სირცხვილო!

ეს გაუგია, კაცს არ მისცეთ მოფიქრების დრო?
ჩვენ გვადროვეთ მეფესა და მეც, მისს მრჩეველსა.
ახლა მიბრძანდით და ელოდეთ სასურველ პასუხს.

(გადიან დარბაისელნი).

შენი გვირგვინი მე მიჭირავს, დიდო მეფეო!
ძნელი არ არის, იგი მუდამ ასე მეჭიროს...
იგი სიმძიმეს არ წარმოადგენს,
რომ მაგ თავიდან მოიხადე და გადმოაგდე.
ამას უფრთხილდი, მსუბუქია თავდასადგმელად.
მეფეო, გული დაიმშვიდე.
ამილახვარი არის თავი ამ არევისა..
რა კი, მეფეო, არ შეირთე მისი ასული
მიტომ მოითხოვს გიორგის სისხლს ის დაჟინებით!
მაგრამ, მეფეო, ერთი ეჭვი სხვა მებადება!
ვაი თუ იგი აღშფოთება, აურზაური
განგებ ჩვენსავე მოკეთისგან მოწყობილია...
ბოდიშს მოვიხდი დედოფალთან, მაგრამ მე რა ვქნა,
როცა არა თუ მარტო ეჭვები...
თ ე კ ლ ე — ცილისწამება, საშინელი ცილისწამება.
შ ა დ ი მ ა ნ ი — ცილისწამებას არ ვიტყოდი თქვენს გასაგონად...
მ ე ფ ე — საბუთს მოითხოვ! საბუთს, საბუთს!
შ ა დ ი მ ა ნ ი — საბუთს მოითხოვ? აჰა! აი, საბუთიც.

(წერილს გადასცემს).

რა კი გიორგის ბრალს ვდებ, სჩანს, მაქვს საბუთიც.
ნახეთ, მას შაჰი რას ავალებს!
დიახ, თქვენც ნახეთ, დედოფალო, თქვენც წაიკითხეთ
და მსჯავრიც დამდეთ: იქნებ მართლა მე ცილს ვწამებდე?
ნახეთ, განსაჯეთ, ვზრუნავ თუ არა ჩემის მეფისთვის.
თ ე კ ლ ე — (კითხულობს, შემდეგ თითქოს თავში დაჰკრესო, წაბარბაცდება).

არ შეიძლება, არ შეიძლება!
შ ა დ ი მ ა ნ ი — მე რომ მეფისთვის ცუდი ვიზრახო,
ხომ შენთან ერთად მეც ვიღუპები და თავადობაც?
მ ე ფ ე — ო, ღმერთო, მიხსენ მე ამ ტანჯვისგან!
შ ა დ ი მ ა ნ ი — ღმერთო, უსმინე!
სანამ მაგ წერილს ხელში იგდებდი,
განა საბუთად მე კი მჯეროდა



ის, რომ თავადებს ჩამოართვა ყველა უფლება?
ის, რომ გარშემო ჯარი, ხალხი შემოიკრიბა?
საბუთი გსურდა? მაგ საბუთით შაჰი ავალებს!
იქნებ, მეფეო საბუთებში უფრო დარწმუნდე,
როცა ცოლისძმად მიჩნეული შენს ტახტს დაიჭერს.
მ ე ფ ე — ჩემს ტახტს დაიჭერს, ჩემს ტახტს, გიორგი?
შ ა დ ი მ ა ნ ი — დიახ, დაიჭერს!
აბა მე მაშინ რაღა გიშველო?
მეც თუ არ მომკლა, მაშინ მიბრძანებს
და მაიძულებს ვემსახურო კართუხუცესად.
თ ე კ ლ ე — რაც მოგახსენა შენმა აღმზრდელმა
და ეს საბუთი რასაც ღაღადებს,
თითქოს სწორია — თითქოს ძმა ჩემი
ჩემი მეფისთვის ბოროტს იზრახდეს,
მაგრამ ამ გულში სხვა გრძნობა იბრძვის
და მოგიწოდებს: არ დაუჯერო!
ეს ყველაფერი ცდუნება არის
და მოჩვენება მისი მტრებისგან!
არ დაუჯერო მოჭარბულ ენას,
მას ძალუძს სწორი მრუდედ აჩვენოს;
არ დაუჯერო არცა მის საბუთს,
ვინ იცის, ვისი ხელი მუშაობს.
ამ ჟამად მხოლოდ რწმენას დაეყრდენ,
რომ შენ გიორგი არ გიღალატებს...
ლუარსაბ, ნუთუ შენ პირს მარიდებ?
რწმენა აღარ გაქვს?.. ლუარსაბ მეფევ!
მაშ ყველაფერი ამაო არის...
გულწრფელი თხოვნა თავს მოგაბეზრებს,
და შეგაძულებს კეთილის მსურველს...
და თუ ჩემი ძმა მოღალატეა,
მე მეფის ახლოს რა ადგილი მაქვს?
მე, გამოუცდელს, მეგონა, თითქოს
ია და ვარდით მექნებოდა გზა მოფენილი...
შევცდი... მოვტყუვდი! აი, მიიღე შენი ბეჭედი!
და ნურაოდეს იფიქრებ ჩემზე,
რომ სიყვარულით არ მოგიგონო
თვით უკანასკნელ სიკვდილის ჟამსაც!
გისურვებ მხოლოდ, ნანად არ დაგრჩეს ეს დღე ოდესმე.

(მიდის).

მ ე ფ ე — თეკლე, თეკლე, სასურველო!
შ ა დ ი მ ა ნ ი — (აჩერებს). დამშვიდდი, შვილო!

(ორივენი სტირიან).

ნუთუ ტყუილად მამა-პაპებს უღვრიათ სისხლი,
რათა შეექმნათ ჩვენთვის მტკიცე ფუძე ცხოვრების?
დღეს კი ნოსტელი გვანადგურებს, ვინმე მდაბიო!
მ ე ფ ე — ნუთუ ამდენად ძლიერია ადამიანი?
შ ა დ ი მ ა ნ ი — შვილო, დაფიქრდი, მოიხმარე გონიერება,
პირადი ჯინი აქ არავის ალაპარაკებს,
როცა მთლად ქართლის თავადობა შემოგდგომია,
ქვეყნის სიკეთეს ნუ შესწირავ ერთ ადამიანს
და მერე ისეთს, ვინც მზად არის შენ მტრად გაქცეოს.
და თუ, მეფეო, შენ გიორგი ასე ძირს გითხრის,
რატომ არ გინდა მოიშორო ერთის ბრძანებით?
მ ე ფ ე — შენი მსჯავრისთვის მომიცდევია, შენი მსჯავრისთვის!
შ ა დ ი მ ა ნ ი — ჩემს კისრად იყოს, თუ რამ ზღვევა ზეცამ გვაწვიოს!
მაშ დაისაჯოს?
მ ე ფ ე — როგორ თუ დაისაჯოს?
შ ა დ ი მ ა ნ ი — ღალატისათვის!
რომ შენი ტახტის წართმევა სურდა!
აი, ინებე
განაჩენზე ხელის მოწერა.

(ლუარსაბი ხელს იწერს).

შთამომავლობა წაიკითხავს ჩემგან ჩაწერილს,
ჩემის სიმართლით მოღალატეს დაინახავენ...
ა ს ლ ა ნ ი — (შემოდის). დიდო მეფეო, გიორგი გეახლათ.
შაჰის ვეზირისაგან ამბები მოაქვს, ელის ნებართვას.
მ ე ფ ე — არ მსურს ვიხილო, გამშორდეს... ისიც, ვეზირიც.
გ ი ო რ გ ი — (შემოდის). დიდო მეფეო!
შაჰის ვეზირი სიხარულით შეხვდა შენს სურვილს,
ელის ნებართვას.
მ ე ფ ე — არ მსურს, გამშორდით შენც და ისიც,
ის შენ გეახლოს, შენთანვე დარჩეს.
შორს, შორს ჩემგან!
გ ი ო რ გ ი — მეფეო ჩემო!
მ ე ფ ე — ცრუო, ორპირო!



მეფეც შენა ხარ, მმართველიც შენ ხარ!
აჰა, წერილი. (გადის).
გ ი ო რ გ ი — ლუარსაბ!

(ლუარსაბს უკან გაჰყვება. შადიმანი წინ გადაეღობება).

შ ა დ ი მ ა ნ ი — მოითმინე, ხვალეც მოასწრებ!
გ ი ო რ გ ი — რამ შეაცვალა ასე ანაზდად?
ამდენ საქმის გამზიდავი როგორ წავხდე ცუდის ენით?

(წერილს აიღებს).

შაჰის წერილი.
აქ ისეთი არაფერია,
გულწრფელმა კაცმა გაუკეთოს ბოროტი დასკვნა,
მაგრამ ეჭვიანის და მტრის ხელში ყველაფერია.
იგი ორპირი მახვილია დაუნდობელი.
უთუოდ შაჰმა გამოგზავნა წინაგანზრახვით,
რომ ეს წერილი მტრების ხელში ჩავარდნილიყო.
შ ა დ ი მ ა ნ ი — არაფერია,
განა არ იცი მაჰმადიანთა ქციანობა,
ცოტა ღვინომაც იმოქმედა, ხოლო წერილი
არაფერია. მაინც ამდენხანს რად გვალოდინე?
გ ი ო რ გ ი — უკან გავბრუნდი რომ მანიშნებდი,
ვიფიქრე, თურქი ოსმან-ბეგი აქ ბრძანდებოდა.
მასთან შეხვედრას ვერიდები, მართალი გითხრა.
და ამის გარდა
შაჰის ვეზირმა შემაგვიანა...
აუცილებლად ნახვა მსურს მეფის...
ა ს ლ ა ნ ი — ეგრე, დიახ, მეც მოვახსენე, მაგრამ არაო,
ჩვენც გაგვიწყრა და ძილად მიბრძანდა.
გ ი ო რ გ ი — ეს იგ ამბავი მაკვირვებს დიდად.
შ ა დ ი მ ა ნ ი — თქვენს ოჯახს ვფიცავ, ეს ქვეყანა გამოიცვალა.
ვინც მტერი იყო, მოყვარეა, მოყვარე — მტერი!
ვერ გამიგია, ვის ენდოს, ან ვინ მიენდოს?!
გ ი ო რ გ ი — მართალი არის.
შ ა დ ი მ ა ნ ი — რაა მართალი?
გ ი ო რ გ ი — (ფიქრებში იძირება). ვინც მტერი იყო, მოყვარეა.
მოყვარე — მტერი.
შ ა დ ი მ ა ნ ი — მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ მოყვარეს ენა აძულებს?

გიორგი — მართალია, და ეს ქართლში ადვილად ხდება.
შადიმანი — შურის ბრალია!
გიორგი — მართალი არის, დიახ, მართალი!
შადიმანი — ყველაზე მეტად შენში ის მომწონს,
რომ არ იტოვებ გულში წყენას, მალე ივიწყებ...
მე არ მინახავს შენსავით კაცი...
გიორგი — სამი ღამეა არ მძინებია.
შადიმანი — მეფის სასახლე დაღლილისათვის სავანე არის,
მაშ, სად ისურვებ მოსვენებას?
გიორგი — აი, აქ ადმე.
შადიმანი — აბა, ასლან, მაშ განუმზადონ.
გიორგი — არაფერი არა მჭირდება,
მრავალჯერ ცისქვეშაც გამითენებია.
შადიმანი — მეც აღარ ძალმიძს ღამის თევა...
ღამე მშვიდობისა, დიდო სარდალო.
გიორგი — ძილი ნებისა.
შადიმანი — ხვალ მეფესა ერთად ვეახლნეთ. (გადის).
გიორგი — გიცნობ, შადიმან, გულში ალბათ სხვა ზრახვები გაქვს,
როცა საამოდ ლაპარაკობ და ითაღლები.

(შემოდის კახაბერი ნაბადში გახვეული).

კახაბერი — გიორგი, გიორგი!
გიორგი — ვინ ხარ, რა გინდა?
კახაბერი — შენი სულთამხუთავი! (ნაბადს იხსნის). მიცან?..
გიორგი — კახაბერ!
კახაბერი — აბა, აჩქარდით.
გიორგი — მითხარ, რა მოხდა?
რამე ამბავი ხომ არ შეიტყვე?
კახაბერი — შეთქმულებმა გადაგიწყვიტეს
ფარულად მოკვლა და ეს მოკვლა მე დამავალეს.
გიორგი — შენ დაგავალეს? შენ, ჩემი მოკვლა?
სიკეთის მეტი რა მიმიძღვის, ჩემო კახაბერ?
და მერე მეფე?
დასტური მისცა?
კახაბერი — მისცა დასტური!
აი, თვით ოქროც, შადიმანმა სასყიდლად მომცა.
აქ კარზე დგანან შენი მტრები,
ნიშანს ელიან, ეს ნიშანი მე უნდა მივცე...
იქ ნოსტრიშიაც რაზმი გაგზავნეს,



რომ ამოხოცონ შენი ცოლშვილი.
ჩქარა, წავიდეთ.
გიორგი — ჩემო ძვირფასო მეგობარო, ჩემო კახაბერ! (გადაეხვევა).
კახაბერი — რა დროს ეგ არის? წამო ჩქარა.
ჩქარა, გავიქცეთ.
გიორგი — (ბრაზისაგან ანთებული). არა, ნაცალე!
ო, მუხანათნი და წყეულნი...
წადი, ნაბადი მოიტანე...
იმათ პირდაპირ შებრძოლება არ შეუძლიათ.
ისინი მუდამ სხვისი ხელით სიკვდილს სთესავენ!
უიარაღოდ ელდას დაგატეხ აი, რა გითხრა.

(ყურში უჩურჩულებს. გიორგი ნაბადს შემოისხამს და კედელთან აეტუზება. კახაბერი წვება და შემზარავი ხმით ყვირის: „მოკალ, მოკალ". გარეთ სირბილი და ხმაურობა: „მოკლა, მოკლა". ისმის შადიმანის ხმა: „ჩქარა ჩამოდით". შემოდიან შადიმან, ამილახვარი, ასლან და ზაზა მაჩაბელი).

შადიმანი — (კახაბერს წიხლით შეხვდება).
უჯიშოს შვილო, მოგკლო ბოლოს!
ჰეი, დარაჯებო! შეიპყარით ეს ავაზაკი!

(გიორგიზე უთითებს).

მეფის ერთგული მან მოკლა და მეფე თვით განსჯის.
შეიპყარით!

(დარაჯები გაუჩნდებიან ზურგსამყოფიდან. გიორგი ნაბადს იძრობს. ჯალათები შემკრთალნი უკან დაიხევენ. შადიმან ბრაზისაგან მოიკუმშება და თითებს იკვნეტს).

შადიმანი — ოჰ, ჯოჯოხეთო!
გიორგი — (წინ წამოდგება). მაშ თქვენ გინდოდათ ჩემი მოკვლა,
თქვენ, მუხანათებო?
ნუთუ გეგონათ მოკლავდით სიყვარულს,
რაც კი თითოეულს ქართველს გულში აქვს?
რა დაგიშავეთ! ის, რომ მეფე გავაძლიერე
და აღარ გაძლევთ იგი ნებას კვლავ ერთმანეთი
დასწყვიტოთ, აკლოთ, ჩვენი ხალხი აწიოკოთ?
გაყიდოთ ვერცხლზე, როგორც ამას უწინ შვრებოდით?
ო, შადიმან, გველო შადიმან!
კახაბერი — მოჰკალ, მოჰკალ.
გიორგი — ჩემს სამშობლოს სამართალი აქვს!
დაე სამსჯავროს წინაშე მან თქვენ გასამართლოს!
თქვენ კი, თავადნო,

როგორც მტრის მკერდზე ჩემი ხმალი ბრიალებს ხოლმე,
ისე შემეძლო ჩემი ძალა მეცადნა თქვენზე,
მაგრამ რო გიცქერთ, ზრაზი მომდის, გული მიკვდება,
რომ თქვენ ვერა გრძნობთ ჩვენს საშინელს მდგომარეობას,
რომ ჩვენს სამშობლოს განსაცდელი ელის ყოველმხრივ
და იჰყოლიხართ იმ მაცდურსა და გაიძვერას.
მაგრამ ჯერ ეცოცხლობ. გარეთ შევხვდებით, იქ ვნახავთ
სეირს.
გზა! თუ სიკვდილის წყრას თქვენ არ აუტანიხართ!

(ხმალამოღებული გზას გაიკვლევს და გადის).

კ ა ხ ა ბ ე რ ი — (უკან მისდევს, შადიმანს ოქროს პარკს მიაგდებს).
შადიმან, მიიღე უკან! შენი ოქრო სისხლიანია!
თქვენ, ჰეი, ჩილპით ვერაგის ხელში და მე დამგმარხავთ.
შ ა დ ი მ ა ნ ი — რა დაგემართათ? ჩქარა მდევარი! არ გაუშვათ,
ის უნდა მოკვდეს.
ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჩქარა მდევარი, ჩქარა მდევარი.
შ ა დ ი მ ა ნ ი — აიკელით მისი სახლკარი! მოჰკალით!

# ნაწილი მეორე

## მოქმედება პირველი

ფარდის წინ.

მ ი ნ ბ ა შ — თითქოს შენ ამბობდი, მალე გამოჩნდებიანო.
კ ა ხ ა ბ ე რ ი — მალე! მე რომ დამაწინაურა გიორგიმ შაჰთან მახარობლად, ნახევარ დღის სავალზე იყვნენ... მე შენზე ძალიან მინდა მალე მოვიდნენ! რაღაც გული მიგრძნობს, საქართველოშიაც მალე დავბრუნდებით.
მ ი ნ ბ ა შ — მოგენატრა შენი ქვეყანა?
კ ა ხ ა ბ ე რ ი — მომენატრა, ალი-უსეინ.
მ ი ნ ბ ა შ — განა ირანში მოწყენილი ხარ? ირანი დალოცვილი ქვეყანა არის, აგერ, გიორგი თავის ქვეყნიდან გამოაძევეს, აქ კი შეიქმნა მთელს აღმოსავლეთში სათაყვანო ადამიანად.
კ ა ხ ა ბ ე რ ი — მაინც დიდხანს დავყავით ირანში. უცქირეთ! მთაზე ჯარი დაეშვა!
მ ი ნ ბ ა შ — წინ წუღარ წავილით! აქ მოვახსენოთ შაჰის წყალობა.

(შემოდიან: გიორგი, პაატა, პაპუნა, დათო, მათე, გორჯასპი და სხ.).

მ ი ნ ბ ა შ — დიდება შენს ხმალს! დიდება შენს ვაჟკაცობას,
დიდო სარდალო!
ძვირფასო და გმირთა გმირო ადამიანო!
გ ი ო რ გ ი — მოგესალმები, ალი-უსეინ!

(ერთმანეთთან მისალმება).

მ ი ნ ბ ა შ — დიდებულმა შაჰმა მიბრძანა დავემხო შენს წინაშე და გაუწყო მისი ალტაცება. იგი, ცათასწორი, მოგიხსენიებს შენ მთელს აღმოსავლეთში უპირველეს ადამიანად და გიძღვნის მარგალიტებით შემკულს ოქროს ტახტრევანს, რითაც შებრძანდები შენგან გაბედნიერებულ ირანის დედაქალაქში, ხოლო იმ ტახტრევანს წაიღებს შაჰის წარჩინებული ამალა.
გ ი ო რ გ ი — ესრეთ დიდ პატივს არ ღირს ვარ, მინბაშ თითაშხან!
მ ი ნ ბ ა შ — ხოლო თვითეულ ქართველ მეომარს მიეძღვნა ბედ.-

ური, თვალმარგალიტით შეკაზმული. ერთხელ კიდევ ვეამბორები შენს ფერხთით მტვერს და, მაპატიე, უნდა გავცე განკარგულება!

(გადის).

გიორგი — თქვენც გაჰყევით თათამხანს!
კახაბერი — გიორგი! შენს ნახვას შაჰი ელის მოუთმენლად!
ნდობა დიდი გაქვს, განუსაზღვრელი!
გიორგი — ჩემო კახაბერ! მისი ნდობა ჩემი სიკვდილია!
ზოგი ამ ნდობას ისე ხსნის, თითქოს
გავყიდე ჩემი სინდისი, რწმენა,
თითქოს ჩემს მშობელს და ჩემს ქვეყანას
მე ვუღალატე!
თითქოს პატივი, ანგარება მამოქმედებდეს..
ახალს ვერას რამეს გაიგებდი... ჩქარა მიამბე!
კახაბერი — მე არ მინახავს ლუარსაბი. შაჰს თურმე ტყვედ ჰყავს,
როდესაც შაჰი ბრძანდებოდა საქართველოში
შადიმანს იგი მოტყუებით მოუყვანია
იმერეთიდან და დღეს აქ ტყვედ ჰყავს.
გიორგი — შადიმანს? იმ მოღალატეს?
ვაი საბრალო, სატრფიალო მეფე ლუარსაბ!
კახაბერი — შემთხვევით შევხვდი რუსთა ელჩებსაც!
როცა გაიგეს ქართველი ვიყავ,
გამენდნენ, მითხრეს: ჩვენ აქ მოვსულვართ,
რათა შაჰს ვთხოვოთ: განთავისუფლოს თქვენი მეფე ლუარსაბი!
გიორგი — ათასჯერ ვაი საქართველოსაც!
კახაბერი — რა დაგემართა? რატომ გაფითრდი?
გიორგი — განა შაჰი თხოვნას დაუგდებს?
კახაბერი — ელჩებმა მითხრეს,
რომ საქართველოს მფარველი დღეს რუსეთია!
გიორგი — ვაგლახ! თუ ეგრე შაჰს განუცხადეს!
მოსპობს, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებს!..
ჯერ კიდევ მაშინ,
როცა გაიგო თეიმურაზის
მოციქულობა რუსთ ხელმწიფესთან,
ლამობდა, იმის აქ შეეწყვიტნა
და შეეპყრო იქ, საქართველოს..
მაგრამ ვერ შეძლო.



აქ გავუწყე საზრუნი საქმე,
რომ შაჰის ჯარისა აქ ემოქმედნა
და საქართველოს დასუსტება მით ღირსებოდა.
და ახლა შაჰმა თუ ჩემზედაც ეჭვი აიღო,
რომ მე მას განგებ აქ ვაჩერებდი,
როგორღა ვიხსნი ჩემსა ქვეყანას?
კახაბერი — დამშვიდდი, ძმაო!
გიორგი — გამიგონე, საიდუმლოს შენ ერთს გაგანდობ.
და შენ იცოდე ჩემი ზრახვა სამშობლოსათვის.
ნუ უკვე იცი, რაც მოჰყვება მოციქულობას.
შაჰი უარს რისხვას დაგვატეხს,
ვიდრე ეს იყო კახეთის აგრა...
მაგრამ მეც მზად ვარ და გეგმაც მზად მაქვს!
და თუ როგორმე აღარ მომკლეს, ეს შენ იცოდე...
ნიშანს გაგძლევენ. წამო, წამო! გეტყვი ყველაფერს!

შაჰის კარავი.

ყარჩი-ხან — გასაგებია, როცა მეფის დაახლოებულს
უმხედრდებიან თავადები — ეს მოსდით შურით,
რადგან მოაკლდათ პატივი და მეფის წყალობა,
მაგრამ თვით მეფე ლუარსაბზე ასეთი გმირი,
მერე ცოლისძმა, რად მოიშორა ასე ადვილად?
ალი-უსეინ — შენ ეჭვობ რამეს?
ყარჩი-ხან — მისი და თეკლე დედოფალი ჰყავს უბედური,
სახლი დაუწვა, მოსაკლავად სდია საზღვრამდე,
ლეკებით იგი შეურაცხყვეს, გაათახსირეს.
მან ეს სასჯელი განა ბედით დაიმსახურა,
რომ ერთგულობდა თავის ხალხს და მეფე ლუარსაბს?
ალი-უსეინ — გიორგი მოურავი საშიში კაცია.
ყარჩი-ხან — საშიშია და შაჰს კი იგი დიდ პატივში ჰყავს.
ალი-უსეინ — ვნახოთ, რამდენ ხანს ეყოლება ასეთ პატივში.

(შაჰ აბას, ლუარსაბ და იმალა).

ყარჩი-ხან და ალი-უსეინ — იდიდოს სახელი შაჰინ-შაჰისა!
შაჰ-აბას — ჩემო ლუარსაბ, ნათესავო და თქვენც ვეზირნო,
ჩემნო ერთგულნო!
აბასის ტახტი და დიდება შაჰინ-შაჰისა
მარად იქნება შემოსილი ამ ბრწყინვალებით,
თუ უნდა გაქრეს, როგორც სიზმარი?

მ ე ფ ე — იდლეგრძელე, მეფეთა მეფევ, უკუნისამდე!
ყ ჲ ი ლ ა ნ ი — იდიდოს სახელი შაჰინ-შაჰისა!
შ ა ჰ-ა ბ ა ს — მსურდა მშვიდობა ყოფილიყო ჩემს სამეფოში.
მ ე ფ ე — და არის კიდეც ირანია ლომო!
შ ა ჰ-ა ბ ა ს — აბა სად არის, ჩემო ლუარსაბ,
რომ ცოცხალია თეიმურაზ კახეთის მეფე?
დაძრწის იმერეთს, რუსეთს, ოსმალეთს
და საქართველო ვეღარ მორჩა დაკიდარაბას.
მისი წყალობით რუსთა ელჩები
თავს მაბეზრებენ...
მ ე ფ ე — ირანის ლომო, მეტი სასჯელი სხვა რა მიეზღოს,
რაც თეიმურაზს და მის ოჯახს უკვე მიეზღო?
შ ა ჰ-ა ბ ა ს — მაინც ჭკუა მან ვერ ისწავლა!
ჩრდილოეთის ზვავი დარიალის კედლებს აწვება.
კასპიის ზღვაზე გადმოღვრის ლაშქრებს,
სურს საქართველო.
ხოლო ქართველი მმართველები ამ აგორებულ
ზვავის ქვეშ თვითვე თავს იმარხავენ.
მოგვართვით შარბათი! ლუარსაბს ღვინო!
აბა, რას მეტყვი, ჩემო ლუარსაბ?
ვგონებ კარგს ვიზამ, რომ ქართლ-კახეთი
ერთი სკიპტრის ქვეშ მოვაქციო!
მ ე ფ ე — შენი ნებაა, დიდო მეფევ!
შ ა ჰ-ა ბ ა ს — არეზის გაღმა ქვეყნებიც რომ მას შევუერთო?
მ ე ფ ე — მასზე უკეთეს რას ისურვებს ქვეყნის მპყრობელი!
შ ა ჰ-ა ბ ა ს — ოსმალთ ხვანთქარსაც ვაიძულო, რომ ხელი უშვას
ლიხის გადაღმა მდებარე ქვეყნებს
და ქართლის გვირგვინს დაუმორჩილო?
მ ე ფ ე — აგრე რომ მოხდეს,
სვებედნიერი იქნებოდა მისი მმართველი.
შ ა ჰ-ა ბ ა ს — და მე ამ ტახტზე ერთმორწმუნეს დავამკვიდრებდი,
რჯულით ნათესავს, ვინც მიიღებდა
ისლამის ნათელს და არასოდეს
არ გაუღებდა რუსთა მეფეს დარიალის კარს!
მ ე ფ ე — ისლამის ნათელს მრავალი ძალუძს...
შ ა ჰ-ა ბ ა ს — აი, მაშინ კი ვიქნებოდი დამშვიდებული!
მიირთვი ღვინო!
ამას თვით შენ რომ იკისრებდე, ჩემო ცოლისძმა!
მ ე ფ ე — რჯულის გამოცვლას?



შ ა ჰ-ა ბ ა ს — გავინაწილებთ ერთად შრომას სიძე-ცოლისძმა!
მ ე ფ ე — დავკარგო რწმენა და სინიდისი?
შ ა ჰ-ა ბ ა ს — ავაყვავებთ ირანსაც, ქართლსაც!
მ ე ფ ე — ღმერთო, მიწყალე!
შ ა ჰ-ა ბ ა ს — აღმოიფხვრება შუღლი, მტრობა ორ ხალხთა შორის-
ყ ჲ ი ლ ა ნ ი — იდიდოს სიბრძნე შაჰინ-შაჰისა.

(ლუარსაბი კი სდუმს).

მ ე ფ ე — მე სხვა რომელი სურვილი მაქვს, თუ არა ის, რომ
ჩემს ხალხთან ვიყო და ვზრუნავდე კეთილდღეობას.
შ ა ჰ ი — კეთილდღეობას შენ არ ზრუნავ შენის ხალხისთვის!
მ ე ფ ე — ბრძანება უსპობს ადამიანს თავისუფლებას.
შ ა ჰ ი — რჩევას იძლევა მეგობარი, თუ ბრძენი არის,
რომ არ ჩავარდეს გზად შემცდარი სადმე უფსკრულში!
მ ე ფ ე — მაგრამ შემცდარი თუ არის, არც უფსკრულია!
და მაინც უნდა გაატაროს თავის ნებაზე,
ბრძენი უწოდებს ამას უხეშ ძალმომრეობას!
შ ა ჰ ი — და თუ აშენებ შენს საკუთარს ბედნიერებას
ისე, რომ შენი მეზობელი უბედურდება?
მ ე ფ ე — ჩემის მიზეზით ვინ? რომელი?
შ ა ჰ ი — მთელი ირანი!
მ ე ფ ე — ღმერთო, მიწყალე!
შ ა ჰ ი — ღმერთი ერთია!
ის არც ჩემს ლოცვას სტოვებს ხოლმე უყურადღებოდ!
ის მეუბნება: დარიალის კარს თუ გააღებ,
შენს ტახტს საშარე იმავ დღიდან გაეთხრებაო.
მაშ, აბა, რა ვქნათ? მე სამარე და შენ სიცოცხლე?
მ ე ფ ე — დაუძლეველი ქვეყნად შენთვის არაფერია,
ხოლო შენ ვერ სძლევ შინაგან ლტოლვას,
ვერ სძლევ სულიერ ნათესაობას!
შ ა ჰ ი — ვიცი, ეგ შენი სულიერი ნათესაობა!
მიისწრაფვება ერთმორწმუნე ჩრდილოეთისკენ,
მაგრამ არა აქვს ნიადაგი არც შენს სულიერს
და არც ხორციელს ნათესაობას!
ხოლო თუ ყვავილს ნიადაგი ხრიოკი შეხვდა,
ოდნავი სიცხე გაფურჩქვნასაც აღარ დააცლის!
ასეა შენი სულიერი ნათესაობაც!

რუსეთი შენთვის ძლიერ შორს არის!
მისმენ, ლუარსაბ?

მ ე ფ ე — გისმენ, როგორც არწივს მოუსმენს
უკვე კლანჭებში შეპყრობილი უმწეო მსხვერპლი!

შ ა ჰ ი — განა უარყოფ, რომ მამაპაპით
შენც, ხალხიც, ჩემნი ქვეშევრდომნი ხართ?

მ ე ფ ე — დიახ, ვიყავით.

შ ა ჰ ი — განა დღეს არ ხართ?

მ ე ფ ე — საქართველოში მძვინვარებენ შენი სარდლები!

შ ა ჰ ი — ურჩებისათვის!
შენი ქვეყნისთვის თუ გსურს მართლა
ბედნიერება, აქ მოვლენ ელჩნი მოსკოვიდან..

მ ე ფ ე — მოსკოვიდან?

შ ა ჰ ი — აღიარე მათ გასაგონად,
რომ შენ უარყოფ რუსთა მეფის ქვეშევრდომობას!
დალიე შარბათი!
რომ შენ შეცდომაში შეგიყვანა მოუსვენარმა
თეიმურაზმა და არჩევ ჩემთან კეთილმოყვრობას...

მ ე ფ ე — პატიმრის სიტყვას არა აქვს ფასი!

შ ა ჰ ი — ჩემი ცოლისძმა ჩემთან სტუმრად ხარ!

მ ე ფ ე — მაგას მე უნდა ვამბობდე კმაყოფილებით აღსავსე.

შ ა ჰ ი — და იტყვი კიდეც..

მ ე ფ ე — იძულებით?

შ ა ჰ ი — შენის სურვილით!

მ ე ფ ე — მე ხომ აქ შენთან პატიმარი ვარ!

შ ა ჰ ი — პატიმარი! ხა, ხა, ხა! როგორ არ გრცხვენიან, როცა შენ მაგას ამბობ? გასართობად მოგიჩინე მრავალი დიდებული.. ნადირობ... თევზაობ... და პატიმარი? უადგილო ხუმრობა ხან-დახან დიდად სწყენია...

მ ე ფ ე — შეუძლებელია! შენ ელაპარაკები მეფეს, შენს თანასწორს.

შ ა ჰ ი — თანასწორო მეფევ ლუარსაბ!.. დაფიქრდი და მოიხმარე გონიერება... ჩემი განრისხება არც შენთვის არის კარგი, არც შენი ქვეყნისთვის...

მ ე ფ ე — დიახ, დიახ! მართალს ბრძანებ, თანახმა ვარ! მიბრძანე...

შ ა ჰ ი — ბრძანება არ მსურს... უნდა ისურვო შენის ნებით...

მ ე ფ ე — დიახ, ჩემის ნებით!

შ ა ჰ ი — მაგრამ რა საბუთი მაქვს, რომ შენ ხელახლად პირს არ იბრუნებ? ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, უარჰყო ქრისტეს ჯვარი და აღიარო მაჰმადის რჯული!

მ ე ფ ე — ვაღიარო მაჰმადის რჯული?

შ ა ჰ ი — შენი ქვეყნის ბედნიერებისათვის!

მ ე ფ ე — ყველაფერი წაართვი... ტახტი, სამშობლო...

შ ა ჰ ი — რუსეთის გზით!

მ ე ფ ე — წამომიყვანე და ტყვედ მამყოფებ!

შ ა ჰ ი — რუსეთს დაეხსენ!

მ ე ფ ე — ახლა ჩემს წმინდა სინდისსაც მართმევ? არასოდეს! არასოდეს! ტყვეობაშიაც მტკიცე მაქვს რწმენა!

შ ა ჰ ი — დამშვიდდი, ლუარსაბ! მე გაგახსენებ, გამოცდა მსურდა, თუ რამდენად მართლა მტკიცე ხარ... დასტურ, ღირსი ხარ ქართლის ტახტისა! მიაცილეთ ჩემს მეჯლისთან, ნახოს თვისი და ელენე, ვიდრე შორს გაემგზავრებოდეს... (ლუარსაბი გადის). ყარჩი-ხან!

ყ ა რ ჩ ი - ხ ა ნ — გისმენ, მბრძანებელო!

შ ა ჰ ი — ლუარსაბს გაიწვევ სანადიროდ, გინდ სათევზაოდ! იქიდან ცოცხალი წელარ დაბრუნდება. მისი და ლელა, ჩემი მეუღლე, კახეთის მმართველისთვის, ფეიქარ-ხანისთვის მიჩუქებია. ძმის აკვდინების შემდეგ მე იგი აღარ მირგია!

ყ ა რ ჩ ი - ხ ა ნ — იდიდოს სახელი ალაჰისა!

შ ა ჰ ი — შთამომავლობა მადლობას მეტყვის.
საქართველოში რუსთა ხელმწიფის გაბატონება
საფრთხე არის დიდი ირანის!
მომიხვევს ვაჭრებს, ჩემს სოვდაგრებს გაალატაკებს!
როგორც ეს ერთხელ მოიწია — წინს არ იკმარებს;
ქვეყნებს წამართმევს, გადამაქცევს მე თვით მათხოვრად.
ო, არასოდეს! უმალ ყველა განადგურდება!
ალაჰ მრისხანებს და მომიწოდებს
მისი მახვილით ვიყო სასტიკი, დაუნდობელი.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — იდიდოს სახელი ალაჰისა!

ყ ა რ ჩ ი - ხ ა ნ — აგერ გიორგის რაზმის სიმღერა მოარღვევს ჰაერს!

(შემოდის თალაშხანი.)

თ ა ლ ა შ ხ ა ნ — ბედნიერო ხელმწიფევ. უკვე გიორგი გვახლავთ კარზე.

შ ა ჰ ი — მობრძანდეს ჩემთან გმირთა გმირი გამარჯვებული!
მოიყვანეთ მეფე ლუარსაბიც!
დაე უცქიროს იგი მისგან დევნილს
მე რა პატივს ვცემ!
ისიც გაიგოს, რაც მოიმკო საქართველოსთვის.
ჰეი, გახსენით სასახლის ბჭენი!

ისპაანის ქუჩებზე შარბათი იდუღებოდეს და ბნელ ღამეში
ჩირაღდნები ბრწყინავდნენ მზესავით.

(შემოყავთ ლუარსაბი, შემოდის გიორგი, კახაბერ, დათო,
პაპუნა, მათე, სიმონ და ზაალა).

ყველანი — დღეგრძელი იყოს დიდი შაჰ-აბას!
შაჰი — ჩემს გულთან უპირველესო ადამიანო!
(გიორგის აყენებს, სხვებიც დგებიან).

გიორგი — შენს ძლევამოსილ ლაშქარს ვერაფერი უმაგრდებოდა,
ვერც სიმაგრენი კლდისანი და ვერც ციხე-ბურჯნი.
გზას მარტო ხმალი მე არ მიკაფავდა,
წინ მიმიძღოდა შენი რისხვა შეურისძიება
და იგი სპობდა ავღანელ ბეგებს,
თუ ბელუჯის ველურ მტაცებლებს!
ურჩი და განდგომილი ხანები სარტყელშემოხსნილნი,
კისერზე აპეურით, ამ ჟამად შენი სასახლის ზღურბლთან
დგანან
და ელიან შენგან შეწყალებას.
შაჰ-აბასი — ყარჩი-ხან! დაე ელოდონ ჩემს შეწყალებას!
ჩემო გიორგი!
ყველაზედ მეტად ჩემს გულს ახარებს, როცა ჩემთან ხარ!
გული ჩემი ნათელი არის!
შენი პაატა როგორ ლამაზად წამოზრდილა!
მოდი აქ, ჩემთან!
მამა ხარ, მამა, პირწავარდნილი!
აბა თუ მეტყვი ზეპირად შოთა რუსთაველის შაირს:
„მე გარდავსულვარ, საბერე
მჭირს, ჭირზე უფრო ძნელია!“
ჩვენ გარდავსულვართ, მომავალი შენი იქნება!
შენ ასახელებ ირანსაც და საქართველოსაც!
დედით, ბებიით მეც ქართველი ვარ
და საქართველო ჩემი მეორე სამშობლო არის!
ამიტომ მიყვარს მე საქართველო!
აბა დაბრძანდით!
მე აღსავსე ვარ სიხარულით და ნეტარებით,
რომ ჩემნი ურჩნი მოიყვანე მორჩილებაში
და მტერსაც რისხვა დაატეხე კიდით კიდემდე!
მაგრამ ვაი, რომ ამ სიხარულს ერთვის თან შხამიც,
რუსთა ხელმწიფე მოკრძალებას გრძნობდა ჩემდამი,



ერთმანეთს შორის ვსდებდით კავშირს მტკიცეს და ურღვევს,
ხელი შევიწყო ვაჭრობაში საზღვრებს იქითაც!
დღეს კი მან ჩვენგან ზურგი იბრუნა,
მას მზის ქვეყნისკენ იერიში გამიზნით მოაქვს!
საქართველო კი მოღალატედ გარდამქცევია
და მეთაური ამ ღალატის ის, აქ არის,
ვინც შენ გაზრდილი და ერთგული გამოგაცხადე!
რუსთა ხელმწიფემ მე ის მომთხოვა,
რასაც სხვა მეფე მკვდარისაც კი ვერ გამიბედავდა!
მე მან მომთხოვა ამ ქვეყნის შეუმდგომლობით,
რომ მე ვარგყო ჩემი სიცოცხლე.
ყველანი — გვიბრძანე, მზად ვართ, მბრძანებელო.
პასუხი გავცეთ შენს მტერს და დუშმანს!
შაჰი — უნდა მოესპოს რუსთა მეფეს საშუალება,
რომ საქართველოს სახელით მან ილაპარაკოს.
მაგრამ ეს რა გზით, ანუ რა ხერხით?
დიახ, მე ვიცი და მაქვს კიდეც მოსაზრებული.
მაგრამ თქვენაც მირჩიეთ!
აბა, მისმინეთ: ჩემი გეგმა ასეთი არის —
ინდოეთიდან ოსმალეთის ვრცელ საზღვრებამდე,
დღეს ჩემი ჯარი აღარ ომობს, იგი ისვენებს
და რაც ლაშქარი მომეპოვება,
სულ ყველა ერთად საქართველოსკენ, სულ ყველა ერთად
კალიასავით შეესიოს და გადაძოვოს!
ან როგორც ცეცხლი წაეკიდოს,
აქციოს ნაცრად!..
ქვა ქვაზედაც აღარ დასტოვოს!
მაშინ მათ ნაცვლად ვინღა წარსდგეს რუსთა მეფესთან?
ვინც დარჩეს ცოცხლად, გადმოვასახლებ!
როგორც მშვენიერ კახეთიდან გადმოვასახლე!
იქ დავამკვიდრებ, ვინც ისლამის რჯულს აღიარებს,
ვინც რუსთა მეფეს ზურგს შეაქცევს, მე მიერთგულებს.
აი, ეს არის ჩემი გეგმა და თქვენ რას მირჩევთ?

(მაცდური სიჩუმე).

დათო — ნეტა გიორგიმ ხმა არ დასძრას!
პაპუნა — ვაიმე, ჩემო ტკბილო იმედო!
კახაბერი — ჩვენი მახვილი ჩვენს გულშივე გადატრიალდეს...
შაჰი — რაო, გიორგი, რას ამბობენ შენი ვეფხვები?

გ ი ო რ გ ი — გეგმას გიწუნებენ, მბრძანებელო!
შ ა ჰ ი — გეგმას მიწუნებენ?
სავალალო! სამწუხაროა! შენ ამას ამბობ?
თუ ებრალებათ მოღალატენი?
ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი — გეგმას, დიდებულო, სწორუპოვარო!
შ ა ჰ ი — რა წუნი შეგაქვთ?
გ ი ო რ გ ი — წარმოიდგინე, შენსია ჯარი ერთბაშად!
განა ქართველებს აღარ შესწევთ იმდენი აზრი,
რომ თავს უშველონ მთებში გახიზნვით?
ძილეც იზამენ! გახიზნულნი თავს დაგვესხმიან...
და ვერ მიაღწევ იმას, რაც შენ გულში გწადიან!
შ ა ჰ ი — დიახ, დიახ, ეგ მართალია, მაშ როგორ ფიქრობ?
გ ი ო რ გ ი — ქართლ-კახეთს უნდა, მბრძანებელო, მახე და რკალი!
სხვაფრივ შენ შრომა მუქთად ჩაგივლის!
შ ა ჰ ი — მახე და რკალი? აბა, ეგ როგორ?
გ ი ო რ გ ი — მაშ მოგახსენებ!
დღეს ქართლის მეფეს, ახალგაზრდა სვიმონს, შენს ერთგულს,
შერთავ შენს დისწულს, ყორჩიბაშის მშვენიერ ასულს!
ამით ქართველნი დარწმუნდებიან,
რომ მტრობა არ გსურს, მოყვრობა გინდა!
ვითომ ზეიმით შაჰი უხდის ქორწილს თვის სიძეს,
და ჯერ პატარძალს გააყოლებ ჯარს მაყრიონად,
შემდეგ ისევე რომელიმე ხანს წარჩინებულს,
შემდეგ მეორეს, კიდევ მესამეს,
და მივლენ ვითომც მისალოცად — ჯარით, ზეიმით,
და აივსება სპარსთა ლაშქარით ქართლიც, კახეთიც!
აი ეს არის დაგებული იმათთვის მახე!
შემდეგ ეს ჯარი თბილისიდან გავა მუხრანში,
მოსაჩვენებლად, ვითომ აღლუმს იქ აპირებდეს,
ხოლო აქედან სხვაგვარ მიზეზს გამონახავენ
და ჩადგებიან ხეობებში, სიმაგრეებში
და მით შეჰკრავენ მთაში სავალს გზებს და ადგილებს
და საქართველოს რკალი ექნება შემოვლებული,
როს ჟამი დაჰკრავს სამედისწერო,
ხაფანგში მყოფი ქართველობა თავს ვერ გააღწევს.
მ ე ფ ე — ო, შე ბოროტო, დაბრმავებულო შურისძიებით,
გემუდარები, ნათესავო, ბატონო შაჰო,
მე შენს ხელში ვარ, დამნაშავე... მე მაზღვევინე.
შ ა ჰ ი — (აღტაცებული). უკეთესი არც შეიძლება,



შენი გეგმა უძლიერესად ჩინებულია, ჩინებული განა არ არის?
ყ ე ვ ლ ა ნ ი — იდიდოს სახელი ალაჰისა!
შ ა ჰ ი — მაგრამ ამ გეგმის შესრულებას რომელი შესძლებს?
თუ არა ისევ, გიორგი, შენ!
შენ კარგად იცი, ჩემი გული ლმობიერია,
ტყუილუბრალოდ სისხლისდაღვრა ალაჰს აწყენს.
მაგრამ არ გასჭრა მათზე თხოვნამ და არც მუქარამ.
თეიმურაზმა ამიჯანყა ქართლიც, კახეთიც,
ჩემს ჯარს წარუძღვე, დასწვი, ამოჰხვეტე!
რომ ვეღარ შესძლონ ვერც ლუარსაბმა და ვერც სხვა ვინმემ
კვლავ შესთავაზონ საქართველო რუსეთის მეფეს.
დაე მოიმკონ რაც მათ დასთესეს.
ჰეი, მომიტანეთ ჩემი ხმალი...
(ხმალს მოართმევენ, შაჰი გიორგის გადასცემს).
მიიღე ჩემგან! ამ ხმალს მარადიდ გვირგვინოსნები ატარებდნენ.
შენ ხარ ჯარის მთავარსარდალი,
ყველა დაემხოს მის წინაშე!

(ყველანი დაიჩოქებენ. ფეხზე დგას შაჰი და გიორგი. შემდეგ გიორგიც დაიჩოქებს).

ყ ე ვ ლ ა ნ ი — იდიდოს სახელი ალაჰისა!
გ ი ო რ გ ი — (ხმალს ჩამოართმევს). მზეთა მზეო, ჩემი გული ახლა აყვავდა,
იმ წუთს შევესწარ, რისი ნატვრაც ამდენხანს მქონდა.
მეც ნაქვს იქ საქმე შურისძიების.
ვფიცავ, პირნათლად შევასრულო ჩემი მიზანი!
ნებას მოვითხოვ,
ვინც მყავდნენ ომში, თან წავიყვანო!
შ ა ჰ ი — იყოს ნება შენი, მხოლოდ იმედად მე აქ ვინ დამრჩეს?
მე მინდა შენი პირმშო შვილი პაატა კარზე.
რადგან ეს არის მომავალი ჩემი იმედი!
გ ი ო რ გ ი — ჩემი პაატა? ეგ ჯერ ყმაწვილი,
გამოუცდელი მამას დაშორდეს...
შ ა ჰ ი — მინდა აღვზარდო ირანის სარდლად! თქვენ კი,
მებრძოლნო, გზას დაგილოცავთ!
და ეს დალოცვა მოხდეს დღეს ჩემთან, გაშლილ სუფრაზე!
აბა, მობრძანდით... დღეს მე ვარ თქვენი მასპინძელი!

ყარჩი-ხან! პატარძლის მზითევს და მის მაყრიონს
საქართველოში შენ გაუძღვები!
შენ იცი ჩემი საიდუმლო ყველა ზრახვანი!
დავალებათა მისაღებად ხვალ მოხვალ ჩემთან!
მ ე ფ ე — (შაჰს წინ გადაუდგება). შაჰ-აბას!
შ ა ჰ ი — შენ ხმას კი ვიცნობ, მაგრამ რატომღაც თითქოს
მესმოდეს სამარიდან.
წადი, ილოცე! და რაც კი გსურდეს, შენს ხატებს სთხოვე!
მ ე ფ ე — შენი პირობა და შენი სიტყვა?
შ ა ჰ ი — აღსრულდება.
ილოცე-მეთქი და ჭოეშზადე გასამგზავრებლად!

(გადიან).

მ ე ფ ე — გასამგზავრებლად?
ო, ვიცი! ვიცი! ალბათ ელენეც მიტომ ტიროდა!
მაგრამ რომ გხედავთ, მინდა ვიცოცხლო...

(წამოიწევა, გიორგიმ შეიკავა).

გიორგი, შენ?
შენ შემაშველე მაინც ხელი? არა! არ მინდა!
შენ ხომ მტერი ხარ, ჩემი მტერი, საქართველოსიც.
გ ი ო რ გ ი — აკი მიტომაც გამოგაძევე.
ხოლო მოყვრებმა მოგიყვანეს შენს მოკეთესთან!
საქართველოში კაცი არ დაგრჩა,
რომ მან განჭვრიტოს თუნდ ორი დღის მანძილი მაინც.
შენი ერთგული თავადები ერთმანეთს სჭამენ
და ყველა მათთვის ქვეყნის ბედი ჩალის ფასად ღირს.
თვით შადიმანმა არ დაგინდო, აქ მოგიყვანა...
შენი სკიპტრის ქვეშ თუ ცდილობდი მათ მორჩილებას,
შენ არ ინებე, მტრად გამიხდი და მოკვლაც გსურდა!
მე, შენი აზრით, ხომ მტერი ვარ საქართველოსი! (ირონიით).
აი, ეს მტერი მისდევს შაჰის უთვალავ ლაშქარს
და თუ არ გაჰყვა, ხომ ვერც ნახავს ბედნიერებას.
როცა ქალაქებს და სოფლებს ცეცხლს წაუკიდებენ...
და უპატრონო საქართველოს მოსრავენ სრულად!
ოხ, კმარა! კმარა!
შენ დაგიტირო, თუ საქართველო?
არა! არც ერთი! მაგრამ, მეფეო...
სახე შენი გაფითრებულა.



შენს თავს მხნეობას ნუ მოაკლებ...
სძლიე ყოველი!
მ ე ფ ე — შენ ჩემთვის ზრუნავ?
გ ი ო რ გ ი — შენდამი არ მაქვს სიძულვილი ბეწვის ოდენა,
გწამდეს, ლუარსაბ...
მ ე ფ ე — მე ბრმა ვიქმენ და უგუნური!
შენი და თეკლე მე ვყავ უბედურ...
ჩემი დასტურით დაგწვეს, აგიკლეს, გამოგაძევეს,
მაგრამ ჩემს პირად დანაშაულს მხოლოდ შენდამი
რად აზღვევინებ საქართველოს და ყელს რატომ სჭრი?
გ ი ო რ გ ი — ღმერთო...
მ ე ფ ე — აი, მე აქ ვარ! აჰა მკერდი! იძიე შური!
გ ი ო რ გ ი — არ მამოქმედებს მე რაიმე შურისძიება!
ნეტა შემეძლოს გავიჭრა მკერდი
და ჩაგახედო გულის სიღრმეში!
ნეტა შემეძლოს გავიხსნა შუბლი,
რომ იქ უსიტყვოდ ამოიკითხო...
მ ე ფ ე — ჩვენ შაჰმა განგებ შეგვახვედრა უკანასკნელად და ვნანობ დიდად!
ა ლ ი-უ ს ე ი ნ — (შემოდის). ლუარსაბ, გთხოვენ სანადიროდ,
მობრძანდი დღესვე!
მ ე ფ ე — სანადიროდ? დღესვე სანადიროდ?
ო, რაოდენ უბედური ვარ!
ჩემის ქვეყნიდან გადმოხვეწილნო!
ეს სამსახური გამიწიეთ უკანასკნელად!
ვინმე თქვენგანი შავ ჭნელ დღეებს თუ გადაურჩა
და კვლავ ელირსა გალიმება საქართველოში,
ანდერძს გიტოვებთ, ნახეთ თეკლე, სთხოვეთ შენდობა,
რომ ის დავსაჯე უმიზეზოდ და შეპატიოს,
ილოცოს ჩემთვის და გადასცეს შთამომავლობას,
რომ მქონდა გული და მოშხამა კაცთა სიავემ,
რომ მძიმე იყო ჩემი ტვირთი, მის ქვეშ დავეცი
და თან წავიღე სიყვარული ჩემი ქვეყნისაც.
მშვიდობით.
გ ი ო რ გ ი — მშვიდობით, ლუარსაბ!
მ ე ფ ე — შენთვის არ მითქვამს და მას არც გეტყვი,
რადგან მშვიდობა შენ არ მიგაქვს ჩვენი ხალხისთვის...
ატარე ცოდვა... და ამ ცოდვით იწოდე ცეცხლში!

უსეინ, გამომყე, თუ სიცოცხლე ნაძრახი მქონდა
შევხვდები სიკვდილს გაწმენდილის ჩემის სინდისით! (გადის).

გ ი ო რ გ ი — ჩემო სამშობლო, ჩემო ლეკვებო!

(გარშემო შემოეხვევიან კახაბერი, მაია, დათო, პაპუნა, პაატა და სხვა ქართველები).

რას მომჩერებიხართ?

კ ა ხ ა ბ ე რ ი — გიორგი, რა ჰქენ?

პ ა პ უ ნ ა — ეგ რა ითავე?

დ ა თ ო — ეგ რა იკისრე?

გ ი ო რ გ ი — ჩემი მერანი ვეშაპს ჰყავდა ტყვედ შეპყრობილი,
მისი სადავე დღეს დავწყვიტე და ჩემს ხელშია!
ან ორნი ერთად ღრმა უფსკრულში ჩავიჩეხებით,
ან ორნი გავალთ ჯურღმულიდან მზის სინათლეზე.
წადით ნადიმზე. (არ მიდიან). წადით ნადიმზე!

(თავებს ჩაღუნავენ და გადიან, როგორც მკვდრები).

კ ა ხ ა ბ ე რ ი — არც მე მესმის ეგ შენი გეგმა.

გ ი ო რ გ ი — სხვა გზა არ არის გადასარჩენად... ჩვენი ქვეყნის
გადასარჩენად!

კ ა ხ ა ბ ე რ ი — ჯარის წინ უძლეველი...

გ ი ო რ გ ი — ახლა გავჩუმდეთ!
მე გავიმარჯვებ, თუ დავმარცხდები,
სულ ერთი არის, ჩემი შვილი განწირულია!
რომ გავუმჟღავნო მე ეს პაატას,
მუდამ სიკვდილის მოლოდინში
ვამყოფო იგი,
დაიტანჯება...
შესაძლო არის მისმა ქცევამ მე გამცეს კიდეც,
შაჰი უთუოდ მას დაუწყებს ზვერვას ფარულად,
რომ მით გაიგოს რას ვმოქმედებ საქართველოში.
წადი, კახაბერ, და პაატა გამოიყვანე.
გამოეთხოვეთ უკანასკნელად.
ოჰ, ღმერთო, მომეც სულის ძალა და მოთმინება,
რომ ჩემმა გრძნობამ ნაადრევად არ გამოხეთქოს,
მანამდე, სანამ ხალხის რისხვას არ შემოვიკრებ,
რომ იგი მეხად ჩვენს მოსისხლეს თავს დავატეხო,
წამებისათვის ათიათას წამებას მივცე
და ჩვენი ბედი მოვანატრო ვაებით სავსე.



კ ა ხ ა ბ ე რ ი — აგერ პაატა!

(გიორგი შვილს შეხედავს, გულიდან კვნესა აღმოხდება, გაშლის ხელებს მიაგებს,
როგორც დაჭრილი, წავა მარბაცით).

გ ი ო რ გ ი — შვილო პაატა!

პ ა ა ტ ა — მამავ. (მკერდს შეეხიზნება).

გ ი ო რ გ ი — შვილო, ერთმანეთს შეიძლება ჩვენ ვეღარ შევხვდეთ.

პ ა ა ტ ა — და ნურც შევხვდებით.

გ ი ო რ გ ი — მოდი ჩემს გულთან. რა რიგად მინდა,
საუკუნედ ეს დღე გაგრძელდეს,
რომ არასდეს გაგეშოროს შენ მამის გული.

პ ა ა ტ ა — და მე კი ვნანობ, რომ გადავრჩი ცხარე ბრძოლებში,
თუ დღეს ანაზდად შენი ზრახვით გულს მომიკლავდი.
წყეულიმც იყოს შაჰისაგან ნდობა შენდამი.
ეწვიოს ვეშაპის უნდობლობამ და ერთად მოგვსპოს!
შენ ხალხს მოუტან სიკვდილს, გლოვას, განადგურებას,
რომლის არც იცის და ჯალათებს არც ელოდება.

გ ი ო რ გ ი — ერთხელ ოდესმე ხალხი ჩვენც იბედნიერებს...

პ ა ა ტ ა — რას დავბრუნდები, იქ ვეღარ ვნახავ:
მინდორში მეხრეს, ვენახში მეზვრეს,
გზაში მეურმეს, ნაცნობ მომღერალს...

გ ი ო რ გ ი — ვინ იცის, იქნებ... ბედმა ინებოს...

პ ა ა ტ ა — რთველს და ლხინობებს ქართლში, კახეთში.
უნდა ატირდეს მშობელი დედა.

გ ი ო რ გ ი — მშობელი მამა უკვე ატირდა...

პ ა ა ტ ა — და შემდეგ ასეც დაჰკლავენ ბავშვებს.

გ ი ო რ გ ი — ო, შვილო ჩემო... მძლავრად დაგტოვე...

პ ა ა ტ ა — ვიცი, დამტოვე, თუ გაბედე და უღალატე,
მე ვიგებ პასუხს
და შური ჩემზე შაჰი იძიებს!
ირანის შაჰთან ერთგულებით
ჩემი სიცოცხლე,
თუ ღალატი და საქართველოს თავისუფლება?

გ ი ო რ გ ი — ჩუმად, კედლებსაც ყურნი ასხიათ.

პ ა ა ტ ა — შენ შიში გიპყრობს?

გ ი ო რ გ ი — შვილო პაატა, შენს ნათელ შუბლს ვეამბორები!
ვეამბორები შენს ცოცხალ თვალებს...

პ ა ა ტ ა — არა, შენ შვილი არ გყვარებია...

გ ი ო რ გ ი — ეგ შენმა ეფერო უკეთ იცის, ჩემო ვაჟკაცო...

მაგრამ, ო, ღმერთო, ღრმად გულში მოსწვდა...
პ ა ა ტ ა — რომ დაგვეცალა ქართლის ციხეები,
ხოლო ურჩობის ძალა არ შეგწევს.
გ ი ო რ გ ი — მოდი ჩემთან უკანასკნელად.
პ ა ა ტ ა — რატომ შენთან უკანასკნელად?
შენ იქ ბრძოლაში არ დამარცხდები,
მაშ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევხვდებით,
მაგრამ შეხვედრას მე არ ვისურვებ...
რადგან იქნები ხალხის ჯალათი.
გ ი ო რ გ ი — ბიჭო პაატა, ოხ, ეს გული რარიგად მტკივა!..
პ ა ა ტ ა — შენ გულიც გტკივა?
გ ი ო რ გ ი — ჩემო პაატა!
პ ა ა ტ ა — მამავ, ცრემლები?
გ ი ო რ გ ი — ყურადღებას ცრემლებს ნუ მიაქცევ...
პ ა ა ტ ა — პირველად ვხედავ შენს თვალებზე გადმოღვრილ ცრემლებს...
სჩანს შენი ქვეყნის სიბრალული მაინც გქონია.
გულით არ გინდა დაატეხო უბედურება
და გაძულებს ჩაიდინო ვერაგი შაჰი.
გ ი ო რ გ ი — ვაი საბრალო გულუბრყვილობავ!
პ ა ა ტ ა — მაშ მართალი?
გ ი ო რ გ ი — არა, შენ უნდა იცოცხლო დიდხანს...
იქნებ შევიძლო, მაგრამ როგორ...
პ ა ა ტ ა — შენ ჩემზე ზრუნავ?
გ ი ო რ გ ი — ჩემი შვილი ხარ, ჩემი იმედი.. რომ ჩემი საქმე დააბოლოვო...
პ ა ა ტ ა — მაშ თუ გიყვარვარ,
მამაშვილობის გრძნობას გაფიცებ,
თუ კი დაგჭირდა ჩემი სიცოცხლე,
და ის სიცოცხლე შველას მისცემს ხალხს და ქვეყანას,
დე, ვიყო მსხვერპლი!.. არ დაიხიო ჩემის გულისთვის.
მე საქართველოს ვერ წარმოვშობავ,
საქართველო კი ჩემისთანას მრავალს გამოზრდის.
არ შეასრულებ?
მამი, რად სდუმხარ?
მითხარ, ჩემს თხოვნას ხომ შეასრულებ?
არაფერს ამბობ?
შენ მაინც გინდა ერთგული დარჩე?
შაჰის ერთგული?



ძია კახაბერ, მამაჩემი ვეღარ მიცვნია.
(კახაბერი სახეს იმალავს, ტირის). იტირე მამაჩემზე,
მკვდარია ჩემთვის!
წადი ზეიმზე, მე მამა არ მყავს,
ვნატრობ, არც შეგხვდე აწიერიდან.
გ ი ო რ გ ი — შვილო!
პ ა ა ტ ა — შორს ჩემგან! (გადის).
გ ი ო რ გ ი — შვილო, ვაი რომ ვეღარც შევხვდებით!
ღმერთს რა შევცოდე, რომ ჩამაგდო ამ სატანჯველში,
უძრახი მტოვებს, მე კი ცოცხალს ვგლოვობ
და ვტირი.
მაგრამ ცრემლებში რომ შემამჩნიოს...
ეხ, კახაბერ, წამო ზეიმზე.
გულში ჩავიკლათ მწუხარება და მწარე ბოღმა,
მტერს კი ვეჩვენოთ მოღიმარი, ნათელი სახით.
მოქარგულ სიტყვით შევაქციოთ და ფიციც მივცეთ,
რომ ის ყროთოს და მას უნდა სხვა შეეწიროს.
და როცა იგი ფეხს დაგვიდგამს, მადლობა ვუთხრათ
და ბოროტებაც ჩავუთვალოთ დიდ მოწყალებად.
მდგომარეობა თვით გასწავლის პირმოთნეობას
და ეს ცხოვრება უკულმართი დაგახელოვნებს
იყო ვერაგი, იყო შურის მაძიებელი,
ხოლო ამ დღეში ვინც ჩაგვქარა, მეფესაც ყიდის.
მაინც მზრუნველის სახელი აქვს მოპოვებული.
და იქნებ დარჩეს ეს სახელი მომავალშიც,
თუ არ მეფისა დამარცხებულის ფეხზე ადგომა.

## მოქმედება მეორე

თბილისის მოედანი, გალავნის ნანგრევიდან მოჩანს ხაროჯალი.

დ ა თ ო — პაპუნა, მოიცა, საით მიიპტერევ თავპირს?

პ ა პ უ ნ ა — არ იცი, გიორგიმ ქორწილის ზეიმისთვის რა დაგვავალა? მივდივარ, ძალით ხალხი ქორწილზე მოვიყვანო.

დ ა თ ო — როგორ გიხდება მოლას ფლასები და თავზე დოლბანდი!

პ ა პ უ ნ ა — მე ვიცი, შენ კი ჩოხაში ხარ გამოწყობილი!

დ ა თ ო — ეგრე მორთული ნოსტეს ორღობეში რომ გაიარო, ბავშვებს კი დააფრთხობ, მაგრამ ძაღლებს კი გაახარებ! დაგესევიან და არ შეგარჩენენ: არც თავს და არც ფეხებს! მართლა, რომელი გირჩევნია შეგრჩეს: თავი, თუ ფეხი?

პ ა პ უ ნ ა — შენ სპარსეთში სიცხე გაწუხებდა და არ იცოდი რას რომშვედი, საქართველოში რო დაბრუნდი, სიხარულმა რეტი დაგასხა და მთლად გადარეულხარ!

დ ა თ ო — მაშ, რა კი შენ ჭკვიანი დარჩი, კიდევ გეკითხები: ადამიანისთვის რა უფრო სასარგებლოა: თავი თუ ფეხი?

პ ა პ უ ნ ა — შენთვის თავიც საჭიროა და ფეხიც! თავი იმიტომ, რომ ენის დრიოზე კბილი დაადგა, ფეხი იმიტომ, რომ მალე გაქცე და ჭკვიანი თავი გადაირჩინო! მაგრამ სად არის ჭკვიანი თავი? შენთვის ღმერთს გრძელი ენა და პატარა თავი მოუცია!

დ ა თ ო — ბიჭო! ერიჰაა! ვინ სთქვა, მკვდარი ფეხს არ გაიქნევსო? ჭკვიანო! ახლა წადი და გამოიყენე თავიც და ფეხიც!

შ ა დ ი მ ა ნ ი — (შემოდის, მისდევს ჯანიძე). აბა, მიამბე კიდევ რა იცი?

ჯ ა ნ ი ძ ე — მე ის ვიცი, რომ გიორგის ძაღლები ფეხდაფეხ დამდევენ.

შ ა დ ი მ ა ნ ი — ისინი თუ გზვერავენ, შენც დაზვერე.

ჯ ა ნ ი ძ ე — დავზვერე და ბევრი რამეც შევიტყვე, მაგრამ მეშინიან.

შ ა დ ი მ ა ნ ი — სთქვი, ჩვენთვის არავის სცალიან... ყველანი სვიმონ მეფის ქორწილში ერთობიან!

ჯ ა ნ ი ძ ე — დიდი საიდუმლოებაა! დიდი! სოფლებში, დაბებში ხალხი იარაღდება.

შ ა დ ი მ ა ნ ი — ეგ ვიცი, შენ სხვა მითხარი!

ჯ ა ნ ი ძ ე — ჩვენი ხელოსნებიც დიდ თადარიგში არიან. სვიმონის ქორწილი გამოიყენეს და ხალხში შფოთს სთესავენ. გუშინ მათე თუხარელმა და თომა ქარსიძემ იარაღი წაიღეს. ისინი



შეიპყრეს კიდეც... ვინ აძლევთ იარაღს, მე ეგ არ ვიცი, მაგრამ შემიძლიან ვთქვა და დავამტკიცო კიდეც, რომ მეთაური თვითონ გიორგია.

შ ა დ ი მ ა ნ ი — მაშ გიორგია? მერე რას აპირებ?

ჯ ა ნ ი ძ ე — გიორგის ზრახვები ამ სამი კვირის წინათ შაჰს ვაცნობე...

შ ა დ ი მ ა ნ ი — მაშ შაჰმა უკვე იცის... კარგია რომ მოგიხერხებია.

ჯ ა ნ ი ძ ე — დიახ! თქვენი დავალება შევასრულე! ხოლო გუშინ უფრო დაწვრილებითი ჩვენს მარქარას ბარათი გავატანე ირანულ ვაჭართან. მისი ქარავანი უთუოდ ხვალ დაიძრება.

შ ა დ ი მ ა ნ ი — აჰა ეს ოქრო და გამშორდი!

ჯ ა ნ ი ძ ე — ოღონდ საკაძის დაღუპვას შევესწრო და თუნდ საკიორეში გადავვარდები! ჰო, ერთიც! შენ რომ დამავალე, დავგზავნე სანდო პირები და ყველგან სულ საწინააღმდეგო ხმას პოჰფენენ, რომ შაჰი გიორგიმ წააქეზა და მის ჯარს გიორგი შემოუძღვა ჩვენს მოსასპობად.

შ ა დ ი მ ა ნ ი — ეგრე, ეგრე, ჩემო გორგა!

(გადის. ჯანიძე ოქროებს ითვლის. შემოდის გორჯასპი, შემდეგ კახაბერ და ბოლოს მარქარ).

გ ო რ ჯ ა ს პ ი — გორგა! ჩემო ნათლიმამ! საით? ამდენ ხანს დაგეძებ...

ჯ ა ნ ი ძ ე — შენ რა საქმე გაქვს ჩემთან? წადი, გამშორდი!

გ ო რ ჯ ა ს პ ი — კაცო, მუდამ ნაწყენი კი არ უნდა იყო... შენ აველად სირაჯი იყავ, მინდა „ქეშნიკი" გაგისინჯო.

ჯ ა ნ ი ძ ე — არ მცალიან... მომშორდი თავიდან!

გ ო რ ჯ ა ს პ ი — ხათრს ნუ გამიტეხ...

ჯ ა ნ ი ძ ე — დღეს ქორწილში ვარ მზარეულად!

(შემოდის კახაბერი)

გ ო რ ჯ ა ს პ ი — ჰო, ახლა წადი!

კ ა ხ ა ბ ე რ ი — შეჩერდი! ვიცი, ჯანიძე შენა ბრძანდები!

ჯ ა ნ ი ძ ე — ეშმაკმა წაგიღოთ!

გ ო რ ჯ ა ს პ ი — ახლა შესძელ და წადი, ჩემო ძვირფასო და კარგო მეზობელო!

ჯ ა ნ ი ძ ე — რა გინდათ ჩემგან?

გ ო რ ჯ ა ს პ ი — ხომ გეჩქარებოდა, რატომ არ მიბრძანდები?

კ ა ხ ა ბ ე რ ი — (ჩამომჯდარი კუთხეში). მოდი აქ! ვგონებ შენ პატიოსან ადამიანის სახელს ატარებ!

ჯ ა ნ ი ძ ე — გეფიცებით, მართალი მოუხსენებიათ.
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — შენ როდის შეხვდი ნათე თუხარელს?
ჯ ა ნ ი ძ ე — ნათე თუხარელს? რა საქმე მაქვს ნათე თუხარელთან?
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — მაშ საქმე თომა ქარსიძესთან გექნებოდა!
ჯ ა ნ ი ძ ე — მე რაში მეკითხებიან ან ერთი, ან მეორე? მე ერთი საწყალი მეოჯახე ვარ...
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — როცა ისინი იარაღს არიგებდნენ, შენ იმ დროს სოფელში რა საქმე გქონდა?
ჯ ა ნ ი ძ ე — მე ისინი არც მინახავს და, თუ მართალი გინდა, არც ვიცნობ, ჩემმა მზემ, შენმა მზემ!
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — შენი ფიცი დასაჯერებელია?
ჯ ა ნ ი ძ ე — ჩემმა მზემ დასაჯერებელია.
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — არც ამ ბარათს იცნობ?
ჯ ა ნ ი ძ ე — რა ბარათს? თავი დამანებეთ!
გ ო რ ჯ ა ს პ ი — ნათლიმამ! „ჭაშნიკის" გასასინჯად უთუოდ წაბრძანდები.
ჯ ა ნ ი ძ ე — ო, შე ძაღლო!
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — რამ გაიფიქრე, რომ გიორგის შაჰთან აბეზღებ?
ჯ ა ნ ი ძ ე — არა, ჩემმა მზემ არა, შენმა მზემ... ეგ სულ გორჯასპის ოინებია... ჩემი ქერცისლები მაგან წაიღო და ახლა უნდა სულიც ამომართვას!
გ ო რ ჯ ა ს პ ი — ამოგართმევ ჯოჯოხეთიდან გამოთრეულ სულს! ჰეი, მარქარ! მოდი აქ ჩქარა! (შემოდის მარქარი).
მარქარ, უამბე კახაბერს, ვინ გადმოგცა ეგ წერილი და ვისთვის უნდა მიგეტანა!
მ ა რ ქ ა რ ი — აბა, მეზობელო, ერთი გაბედე და ერი თქვი! შე გაბერილო გუდავ!
ჯ ა ნ ი ძ ე — ვაიმე ჩემო ცოლო და შვილო!
მ ა რ ქ ა რ ი — ჰა!
გ ო რ ჯ ა ს პ ი — ჩუმად!
ჯ ა ნ ი ძ ე — კახაბერ, შენ მუხლებს შემოგევლე, მაპატიე!
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — გაპატიებ ერთის პირობით:
შენ ამ ბარათით შაჰს ატყობინებ,
თითქოს გიორგის განზრახვა ჰქონდეს,
რომ აჯანყება მოაწყოს ქართლში...
შენ ეს ვინ გითხრა,
მითხარ, განგიშვებ... და თუ არ მეტყვი, აქვე აგჩეხავთ!
ჯ ა ნ ი ძ ე — უბედურება! ჩემი სიბერე!
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — არა, შენ არ ხარ უგუნური! პირიქით დიდი ქვეყნისძირი



მორიელი მრავალფეხა ხარ! გიმეორებ: შენ აქ რასაც სწერ, მითხარ, შენ გარდა კიდევ ვინ იცის? შაჰმა მოგანდო ამის ძიება, თუ აქაურმა ქართველთაგანმა. მითხარ, განგიშვებ! არ გინდა გასცე შთამაგონებელი? წაიყვანეთ, ბიჭებო! და თუ გაქცევა დააპირა, ზურგში ხანჯალი!
ჯ ა ნ ი ძ ე — მიშველეთ, მიშველეთ!

(პირში ბაღდადს ჩასჩრიან და ჯანიძეს გაათრევენ. შემოდის გიორგი).

გ ი ო რ გ ი — მოაგვარე?
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — არავის ასახელებს! ყარჩი-ხანი მობრძანდება!
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — ჩემი უმდაბლესი სალამი, მოურავ-ბეგს!
გ ი ო რ გ ი — აგრეთვე ჩემიც, დიდო სარდალო!
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — მშვენიერ ქორწილს ვხედავ, მაგრამ მე უკვე დავიღალე. მეთერთმეტე მაყარი ყარაჯუღაი-ხანი და ალი-უსუფი გუშინ მობრძანდნენ. მე ისე გადავიღალე, მე ომში უფრო გამძლე ვარ, ვიდრე ზეიმში! გიორგი! ვგონებ ქართველები დარწმუნდნენ, რომ ჩვენ სამტროდ არ მოვსულვართ!
გ ი ო რ გ ი — ჩვენი შაჰის საბედნიეროდ, გამოზომილი ჩემი გეგმა ზუსტად სრულდება.

(შემოდიან: შადიმან, ამილახვარი, ასლან, ზაზა და ალი-უსუფი).

შ ა დ ი მ ა ნ ი — (მიესალმება ყარჩი-ხანს).
მოხარულია ჩემი გული შაჰის წყალობით!
მივედით შენთან ამ ბედნიერ ქორწინების დღეს,
რომ ერთხელ კიდევ ჩვენი გრძნობა წინ გაგიშალოთ
და ერთგულება შეგეფიცოთ სალამთან ერთად.
ჩვენ სვიმონიც ადღეგრძელოს და ჰყოს ბედნიერ!
მოგახსენებდი ალბათ თვითონ, რომ მას არ აკლდა
ჩემი ფხიზელი მზრუნველობა და მფარველობა,
როცა მას მეფედ არც კი სცნობდნენ ზოგიერთები.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — იცის ეგ შაჰმაც!
მიტომ გაფასებს ყველაზე მეტად!
შ ა დ ი მ ა ნ ი — ერთგული ხალხი ღმერთმა უმრავლოს!
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — ერთგული ხალხი ძლიერ მცირეა,
მტერი — მრავალი.
შ ა დ ი მ ა ნ ი — სადაც მტერია, მოყვარეც არის.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — შენც გაიგებდი, რომ სოფლებში ღელავს გლეხობა!
შ ა დ ი მ ა ნ ი — დიახ, დიახ! შეგიპყრიათ დამნაშავენი.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — მეთაურები?

შ ა დ ი მ ა ნ ი — ხალხს მხოლოდ ერთი მეთაური ჰყავს!
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ ი — თეიმურაზი?
შ ა დ ი მ ა ნ ი — მგელს მგლობა ერქვა!
საშიშია მტრულად შემოჩენილი მოყვარე. (გადის).

ა ლ ი-უ ს ე ი ნ ი — (რომელიც გიორგის ელაპარაკებოდა). შაჰი არც ფიქრობდა და არც საჭიროდ სთვლიდა, რომ შენც აქეთ გამოგემგზავრებულიყავ, რადგან გიორგის ფრიად ენდობოდა, მაგრამ დღეს შაჰი საგონებელშია ჩავარდნილი.
გ ი ო რ გ ი — ერთგული — ერთია, მოშურნე — ათასი!
ა ლ ი-უ ს ე ი ნ ი — არ მოსწონს ქორწილის დაგვიანება.
გ ი ო რ გ ი — მაყრები აგვიანებენ.
ა ლ ი-უ ს ე ი ნ ი — ხალხში რაღაც მზადება არის!
იარაღს არიგებენ — სჩანს, ბოროტ განზრახვით.

გ ი ო რ გ ი — დამნაშავენი შეპყრობილნი არიან. და, აქვე, თქვენი თანდასწრებით, გავასამართლებ. კახაბერ, დათოს ისინი აქ უნდა მოეყვანა!
ა ლ ი-უ ს ე ი ნ ი — შაჰი გაფრთხილებს უკანასკნელად.
გ ი ო რ გ ი — მისი წყალობით ბედნიერი ვარ! შაჰი მენდობა. მე დამაკისრა, მე ვაგებ პასუხს!
ა ლ ი-უ ს ე ი ნ ი — როდის შესრულდეს შაჰის დავალება?
გ ი ო რ გ ი — ძალიან მალე!
ჯერ ეს ქორწილი გადავიხადოთ.
თანდათან უფრო ქართველებიც დარწმუნდებიან,
რომ სამტროდ არ ვართ,
გახიზნულებიც მძიმე-მძიმედ დაბრუნდებიან
და ამის შემდეგ
სამ დღეში მუსრი გაევლება მთლად საქართველოს!

კ ა ხ ა ბ ე რ ი — მოჰყავთ პატიმრები.
დ ა თ ო — გადადგით ფეხი, თქვე აბრაგებო! აი, ესენი არიან: მათე თუხარელი, თომა ქარსიძე და მათი დამქაშები.
გ ი ო რ გ ი — უგუნურებო, ვინ არის თქვენი მეთაური?
მ ა თ ე — მე ვარ მეთაური
და მეძახიან მათე თუხარელს.

გ ი ო რ გ ი — მომწონს პირდაპირობა! მერე ხალხს შენ აღელვებ,
ვითომც ჩვენ გვსურდეს ქართლის გაჟლეტა?
და შენ იარაღს გლეხებს ურიგებ?

მ ა თ ე — დიახ, მე ვურიგებდი! დიახ, მე ვაღელვებდი!
ვარწმუნებდი კიდეც, ვითომც შენ გვიდექ სათავეში.
შემდეგ იმერეთიდან კახეთის მეფე თეიმურაზი გადმოვიდოდა



და გაგვიწევდა მეთაურობას!
რუსეთის ჯარსაც ის მოიყვანდა!

გ ი ო რ გ ი — გესმის, სარდალო, გესმის, ალი-უსეინ?
აი, რა სახიფათო მახეს მიგებს ვერაგი მტერი,
რომ შაჰის რისხვა დამატეხოს, მომსპოს თილად!
არც ახლა გჯერა, რომ მტერი მყავს, შაჰთან ის მასმენს!

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ ი — ვერაგის ხერხი ვერაგულია!
გ ი ო რ გ ი — დათო!
დაჰკიდე თუხარელი მოედანზე. დანარჩენები ისევ ჯურღმულში!

დ ა თ ო — ასრულდება!
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ ი — მომწონს სასჯელი!
მე როგორც ვატყობ ქორწილის ზეიმიც მხიარული იქნება!
აგერ, მობრძანდება ყარაჯულაი (გადის).

გ ი ო რ გ ი — დათო! მათეს მაგიერ ჯანიძე გორგა დაჰკიდე მოედანზე. (გადიან).
დ ა თ ო — თქვენ, ჰეი! მაჩვენეთ ბორკილები... ჩემს მტერს ამისთანა!
მ ა თ ე — მცხეთასთან ჩვენები მელოდებიან.
დ ა თ ო — ჩუმად, სიმონი შეგხვდებათ. იმას გაჰყევით. მე კი შენს მაგიერ მოედანზე ჯანიძე გორგას ავათამაშებ. იმის ფეხებს თამაშით დასტკბეს ყარჩი-ხანი.

(ტყვეებს გაჰყავთ. პაპუნა ხალხს მოერეკება).

პ ა პ უ ნ ა — გადმოდგით ფეხი ჩქარა, ქორწილი მიულოცეთ.
ხ ა ლ ხ ი — რა გინდათ ჩვენგან, რად არ გვასვენებთ,
ჯალათებო, საზიზღრებო!
რა დღეს მოვესწარ,
მტარვალებო!
სისხლის მსმელებო!
ურჯულო ძაღლებო!

პ ა პ უ ნ ა — სვიმონ მეფეს უსურვეთ გამარჯვება თქვე წყეულებო,
შეასრულეთ, რასაც გიბრძანებთ.

ქ ა ლ ი — ჭირი და სნება შენც და იმათაც.
— ჩვენი ჯალათები, ჩვენი მძარცველები!
— აგრემც მოსული შავი ჭირი და ყველა ერთ დღეს გაუტანიხართ.

მ ო ქ ა ლ ა ქ ე — სულთამხუთაო, გავთავდით, აღარ შეგვიძლიან...
თქვენი ქორწილი ჩვენი ტირილია. ცეცხლად შეგვერგოთ წარ-

თმეული ყოველი ლუკმა, არა ქორწილი, ცრემლი და ვაება თქვენს თანამგზავრად.

პ ა პ უ ნ ა — ჩუმად, შე ბებერო ძაღლო.

დ ა თ ო — (დაბრუნდა). ჰეი, ხალხო და მაყრიონო!
მოხუცო, ჭაბუკო და ახალგაზრდავ, თქვენთვის ნაყიდია მთელი სირაჩხანის ღვინოები, ათასი სული ცხვარი, ხუთასი ძროხა და ყველაფერი, რაც კი სოვდაგრებს მოეპოვებოდათ. ჭამეთ, სვით და იმხიარულეთ. იმღეროს ბრძენმა, იმღეროს რეგვენმაც. სვიმონ მეფეს ქორწილი აქვს, ერმა, ბერმა მოილხინოს.

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — (შემოდის). დიდი სარდლები: მოურავ-ბეგ სააკაძე და ყარჩი-ხან მობრძანდებიან! დღეგრძელი იყოს დიდი შაჰ-აბას. (სიჩუმე). ხმა ამოიღეთ, თქვე ძაღლის შვილებო! დღეგრძელი იყოს!

(ხალხს ჯოხით დაერევა)

ხ ა ლ ხ ი — ააა! წყეულიმც იყოს.

(შემოდიან ყარჩი-ხან და გიორგი. მოსდევენ კახაბერი და სხვები).

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — შაჰის სურვილით და მოწყალებით მეფე სვიმონ ქორწილდება შაჰის დისწულზე, ყორჩი-ბაშ ხანის ასულზე. შაჰმა ინება სამჯერ სამ დღეს თავის ღამეებით თბილისი ზეიმობდეს. ასე უყვარხართ თქვენ დიდ შაჰინ-შაჰს. მე იმედი მაქვს მისდამი ერთგულების დასამტკიცებლად არაფერს დაიშურებთ. ამ ბედნიერების აღსანიშნავად, ჩვენი შიკრიკები ირანში ხელცარიელნი ვერ მივლენ თქვენს მოწყალე მფარველთან, დიდ შაჰ-აბასთან. მოურავ-ბეგთან მოვითათბირეთ: ნიშნად ერთგულებისა, შაჰს მივართვათ ძღვენი: ოქრო — სამი ლიტრა, ვერცხლი — შვიდი, ცამეტი საპალნე ქართლის ფარჩა, ხოლო თხუთმეტი თუშური მატყლის შალი. ცხრა მხევალი, შავგვრემანი საროტანისა, თვითეულს მათგანს კოჭებამდე ნაწნავი სცემდეს. იდიდოს მარად დიდი შაჰინ-შაჰ. (ხალხი სდუმს). რად სდუმს ეს ხალხი? რა ჯიუტი და კერპი ყოფილა!

გ ი ო რ გ ი — დიდო სარდალო, ამ ხალხს სხვა ენით უნდა ველაპარაკოთ... მისმინეთ, მე ხომ მიცნობთ! კარგად ვიცი თქვენი ამბავი. თქვენ მეტიც შეგიძლიათ და შესძლებთ კიდეც. დიდებულ შაჰის პატივსაცემად მაგ ძღვენს დაემატოს უფრო დიდი და ღირსეული, გაცხადებთ, ქორწინების დასრულებამდე უნდა შეგროვდეს ორჯერ მეტი, რაც ბრძანა ყარჩი-ხანმა. ხომ გესმით?



ქ ა ლ ი და კ ა ც ი — ხალხის ჭირო და სნებავ. ამოსწყდეს შენი გვარი, შე რჯულის გამყიდველო, ჯალათო. რა დედამ გზარდა? ცეცხლში დაიწვეს შენი მშობელი!

დ ე დ ა — (უტეხად, მკვეთრად). ხალხო, ის დედა მე ვარ, უბედური დედა, მაგის აღმზრდელი. თქვენი წყევლა ჩემზე ასრულდეს.

ხ ა ლ ხ ი — თამარ, თამარ!

დ ე დ ა — ძუძუ გაწოვე, შვილს გეძახოდი,
ახლა წამერთვა დედის უფლება, შვილი გიწოდო,
შენ მტერზე უფრო უძლებო და დაუნდობელო!

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — ვინ არის ეგ დედაკაცი?

(გაექანებიან შესაპყრობად).

გ ი ო რ გ ი — შეჩერდით, დედაჩემია!
მოხუცის სიტყვა ყურადღების ღირსი არ არის.
იგი მე მწყევლის ჩემი ბატონის ერთგულებისთვის.

დ ე დ ა — როდესაც ცეცხლი წაეკიდეს შენს სახლს ნოსტეში,
რატომ იმ ცეცხლში მეც არ ამომწვეს,
რომ არ მსმენოდა ჩემ შვილისგან ქვეყნის ღალატი.
რომელ თილისმით მოგაჯადოვეს,
რომ ეგ მახვილი ხალხზე სამტროდ აგაღებინეს?
მარგალიტებით შემკულმა კაბამ
და ჩალმამ შენი გრძნობა დაახშო?
მტერს შემოუძეხ, რომ გაქრელო შენ მშობლის კერა?
წყეულიმც იყავ, რომ შენის ზრუნვით
ყოველ ციხეში უცხო ჯარი გამაგრებულა
და გინდა ქართლი სასაკლაოდ გარდააქციო.
წყეულიმც იყავ როდესაც ხმალი აღმართე,
მაშინ ეგ ხმალი შუა გაგიტყდეს.

გ ი ო რ გ ი — ჩააჩუმეთ დედაბერის ყეფა.

დ ე დ ა — ვერ ჩამაჩუმებთ! აჰა, შენ დედას დამადგი ფეხი,
შემდეგ ჩვენს სოფლებს შეუსიე უცხოელები!
დამადგი ფეხი. (წინ დაემხობა).

გ ი ო რ გ ი — დათო, გაათრიე! ყარჩი-ხან, ზეიმი დაიწყო!

(წინ გაატარებს ყარჩი-ხანს და მის დიდებულებს. გიორგი მოიხმობს დათოს).

დათო, ხალხი გარეკე! დათო! დედა დასტოვე!

დ ა თ ო — მომყევი, დედი.

დ ე დ ა — ვაგლახ, შენ გულო.
ნუთუ ეს არის ჩემი გიორგი, ჩემი იმედი?

გულთამხილავო! ვიღას მოგვივლენ,
რომ შველი მისცეს ხალხს მრავალტანჯულს?
დ ა თ ო — აბა, გაწმინდეთ მოედანი ტყვეებისაგან.
წადით! დაიმალენით! შაჰის წყალობა
იკმარეთ სამხიარულოდ!
აღარ გვჭირდებით, დაიმალენით
(ხალხი იშლება).
დედი, შენ დარჩი: საქმე აქვს გიორგის.
(შემოდის გიორგი).
გ ი ო რ გ ი — დათო! პაპუნა! თვალი გეჭიროთ! დედი!
დ ე დ ა — შორს ჩემგან! მე შვილი არ მყავს!
ნეტამც წამერთვას ხედვის უნარი,
რომ არ ვუმზერდე შვილს მოღალატეს!
გ ი ო რ გ ი — ჩემო ძვირფასო, სანატრელო მშობელო დედავ!
მესმის მე შენი გამწარება,
მე კარგად მესმის...
დ ე დ ა — არა, არ გესმის! მართალს ამბობენ:
შენ ჩვენი ხალხის მოღალატედ გადაქცეულხარ!
გ ი ო რ გ ი — მაგას ლაპარაკობს მხოლოდ შედიმანი!
შენ კი... აბა, თვალებში ჩამომხედე...
განა ვერ ხედავ ჩემს თვალებში იმავ გიორგის,
ვისაც შენ ზრუნვით ბავშვობისას აკვანს ურწევდი?
ვისაც უმღეროდი ტკბილად ნანას და ამ ნანასთან
ქვეყნის სიყვარულს უნერგავდი...
გთხოვ, აღსარება მათქმევინო გულს ჩამარხული...
აბა, მისმინე!
რახან გამდევნეს საქართველოდან
შაჰინ-შაჰს კარზე გულს ცეცხლი მენთო,
ვიწოდი, მაგრამ ქვაზე მეტად მე ვიყავ ცივი.
მე რომ ვიბრძოდი ყანდაარის ციხის კედლებთან,
ქართლის გოდებას იქ ვისმენდი გულის ტკივილით,
სულს ატირებდა შემზარავი აურა კახეთის,
მაგრამ რა მექნა, როცა დრო და გარემოება
ხელს არ მიწყობდა
და თვითონ ვიყავ განდევნილი საქართველოდან?
მე ვინც გამდევნა და მიმაგდო ჩვენი მტრის კარზე
დღესაც ისინი ჩემზე ამბობენ:
თითქოს მე ზღვევი პირადული მამოქმედებდეს!
მაგრამ, აბა, თუ ერთი ვინმე მისაყვედურებს,



რომ მე ვინმესთვის მაგიერი გადამეხადოს?
ამბობენ: თითქოს ჩემთვის მსურდეს განცხრომით ყოფნა,
მეფის დიდება, მისი გვირგვინი!
მაგრამ დედა ხარ და შენ იცი, რა შევიძინე,
თუ არ დავკარგე შეძენილი მამაჩემისგან,
და მე არ გავხდი მონატრული ჩემის ცოლშვილის?
მე დღეს შენთანაც მკაცრი ვიყავ და არ დაგზოგე...
დედაშვილობამ, მე ბრალში არ ვარ!
ჩემი ზრახვანი, ხსნა და შველა საქართველოსი
მე მაიძულებს ახლობელსაც, თვით დედაჩემსაც,
მოსაჩვენებლად მტრულად მოვექცე!
დღევანდელ დღისთვის მადლობელი ვარ.
ყარჩი-ხანს თუ რამ ეჭვი ჰქონდა, შენ გაუქარწყლე
და გამიწიე სამსახური ფასდაუდები.
დ ე დ ა — რატომ არ მესმის რას ლაპარაკობ?
სმენა წამერთვა, თუ გონება ჩემი მღალატობს?
გ ი ო რ გ ი — შაჰ-აბასს ბევრჯერ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი,
რომ საქართველოს მთელის ჯარით შემოსეოდა
და აქ ქვა ქვაზე არ დაეტოვა.
მრავალი წლობით ვაჩერებდი მე მის განზრახვებს.
მე იქ ვუჩენდი საომარს და საზრუნავ საქმეს,
რომ ჩვენს ქვეყანას დრო ჰქონოდა დასასვენებლად.
მაგრამ როდესაც საქართველოს მეფე-მთავრებმა
გამოიყვანეს მოთმინებიდან...
დ ე დ ა — მაშინ იკისრე ვერაგი საქმე
და შემოუძღვე უცხოელებს ჩვენს ასაკლებად?
გ ი ო რ გ ი — მე ჯარს შემოვყევ იძულებით, წინაგანზრახვით,
რომ აქ საფლავი გავუთხარო ჩვენს მესაფლავეს
და სამუდამოდ საქართველო ვანთავისუფლო.
დ ე დ ა — შენ ჩვენი ხალხი ანთავისუფლო? გამიმეორე!
ნუთუ სიზმრად ვარ?
გ ი ო რ გ ი — არა! ცხადად გიორგის ხედავ!
ის აპირებდა კალიასავით შემოსეოდა უცბად, ერთბაშად.
მაგრამ მე შევძელ და ჩემი გეგმა წინ მივაგებე,
რითაც მე მისი ძლიერი ჯარი დავაქსაქსინე ხეობებში
რომ დაქსაქსულზე გაგვემარჯვა უფრო ადვილად!
დ ე დ ა — შენ შემოგევლე, მაპატიე ჩემი ეჭვები!
ჩემო სიცოცხლევ, შუბლით ნათელო,
შენ, მკლავმაგარო ვაჟკაცო ჩემო!

გაიხარებენ მამიშვნის ძვლები საფლავში.
გაიხარებენ! აბა მიცქირეთ!
ვერავის ნახავთ ჩემზე უფრო ბედნიერ დედას!
შვილი ვიპოვე, მოამაგე ჩემი გიორგი!

დ ა თ ო — ჩუმად, ვიღაც მოდის.

კ ა ხ ა ბ ე რ ი — (შემოდის). მე ვარ! გიორგი, რაც დამავალე...
აგერ მოდიან! მუხრანბატონიც ჩვენი მომხრეა!

მ უ ხ რ ა ნ ბ ა ტ ო ნ ი — მე უკვე მზად ვარ ჩემის ჯარით და ველი შენს ბრძანებას. აჰა, ჩემი მარჯვენაც!

გ ი ო რ გ ი — დიდო, კეთილო და მაღალო ადამიანო! თქვენც, ჩემო მეგობრებო! ჯანდიერ, რევაზ, სიმონ, ძალიან დიდი სიფრთხილე გვმართებს.., დათო...

დ ა თ ო — საშიში არაფერია, ილაპარაკეთ.

გ ი ო რ გ ი — დღეს საქართველოს ხალხს თქვენი იმედი აქვს! ჩემი ცოლისძმა, ზურაბ ერისთავიც, დავითანხმე და ჩვენთან არის. ის მოგვაშველებს ჯარს არაგვიდან, თქვენ მოედებით ქართლის სოფლებს და ამცნობთ ყველას, რომ მე აღვმართე სპარსელებზე ჩემი მახვილი.
ან ახლა, ან არასოდეს!
ვადა ყველასათვის შვიდი მარტი.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — შვიდი მარტი!

გ ი ო რ გ ი — შვიდი მარტის გარიჟრაჟი! ტყე ამ დროს უფრო შეფოთლილია. ჩვენს ჯარს დამფარავს.
ამ დროს მე მაღალ სამრეკლოზე კაცს დავაყენებ
და როცა ზარებს დააგუგუნებს,
იგი იქნება იმის ნიშანი,
რომ თქვენ ბანაკში შემოდიხართ ყოველ კუთხიდან!
რაც შეიძლება მეტი ყიჟინა, ბუკთა ყვირილი.
ეს უნდა მოხდეს ელვის სისწრაფით.
მტკიცედ გახსოვდეთ: გაბედული მოგებულია!
გახსოვდეთ: შიში ვერ იხსნის სიკვდილს!
ძმებო, შევფიცოთ!
ვინც განზე გადგეს, ვინც გვიღალატოს
იგი კრულ იყოს საშვილიშვილოდ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — იგი კრულ იყოს საშვილიშვილოდ!

დ ე დ ა — ჭაბუკნო ღვთისა ოქვენს წმინდა ფიცს დედებს გადავცემ და იბრძოლებენ ძმებთან, მამებთან და ქმრებთან ერთად!
დამილოცნიხართ წმინდა საქმისთვის.
გვიშველე ღმერთო, რათა განიბნენ მტერნი ჩვენი უკუუნისამდე.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ამინ!

## მოქმედება მეხუთე

ბანაკი. ელავს და ქუხს.

ხ მ ე ბ ი — დარაჯებო, იფხიზლეთ! დარაჯებო, იფხიზლეთ!

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — მეფე სვიმონ მართლაც უსუსური ბავშვი ყოფილა, რამდენიც არ ველაპარაკე, ვერაფრის გზით ვერ მივახვედრე შაჰის საიდუმლო განზრახვას. მას რომ ჩვენი საიდუმლოება აშკარად გავაგებინოთ, შეიძლება იყეფოს კიდეც!

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — მართალს ბრძანებ, დიდო სარდალო!

(ქუხს).

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — რა საშინელი ღამეა! უთუოდ ჩვენთვის ბედნიერი დილა გათენდება!

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — ალაჰი არ მოგვაკლებს თავის წყალობას!

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — მაგრამ მე მაინც რაღაც მაშფოთებს... თითქოს გულზე ლოდი დამწოლოდეს... და სულს მიხუთავდეს. რაღაც იდუმალი ღელვა მიტანს. გიორგი აჭიანურებდა განზრახვის შესრულებას, მაგრამ მე ვაიძულე დაჩქარება. ხვალ აიშლება ჩვენი ჯარი! ასევე მოიქცევიან მთელს ქართლ-კახეთში! შაჰი მრისხანებს, რომ ამდენ ხანს მისი გეგმა ვერ შევასრულეთ! სამს დღეში უნდა აღმოიფხვრას მთლად საქართველო! სად არის გიორგი? დღეს არც სვიმონ მეფეს ეწვია!

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — მითხრა: ბანაკში ვიქნებიო, ვგონებ დარაჯებს არჩევს და მეომრებს ამხნევებს.

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — მას ჩემი გული მაინც არ ენდობა! მაგრამ რა ვქნა, რომ შაჰი მიპრძანებს?!

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — წადი, მოისვენე. სვიმონ მეფეს არც ერთი სიტყვა...

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — ალაჰი გფარავდეს.

(შედიან კარვებში. შემოდიან: კახაბერ, დათო და დარაჯები).

კ ა ხ ა ბ ე რ ი — აბა, ფხიზლად, ხვალ გვიჟრაჟებს ჩვენთვის ბედნიერი დღე. ყარჩი-ხანს მყუდროება არავინ დაურღვიოს. დათო, შენ აქ იდარაჯებ. მომსვლელი მოვიდეს. წამსვლელი არც ერთი, მოკვდი და ერთმანეთს ალარავინ შეახვედრო.

დ ა თ ო — თუ არ დავკრა, ოხრად დარჩეს ჩემი ციხე-გალავანი. კახაბერ, ლამის გული საგულედან ამოხტეს. მითხარ, რა ამბები მოდის?

კ ა ხ ა ბ ე რ ი — ამბებს დილაზე გაიგებ.

დ ა თ ო — დილამდე როგორ გავძლო?..

ქ ა ხ ა ბ ე რ ი — გამიშვი დარაჯად.
დ ა თ ო — პაპუნა მაინც არ დაბრუნებულა სამგორიდან?
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — პაპუნა მინდობილ საქმეს თვითონ მოაგვარებს, თქვენ, დარაჯებო, დაწინაურდით.
დ ა თ ო — ქახაბერ, მოიცა, ხვალ დანიშნული დღეა, ძნელია გადავრჩე, რომ შენთან ერთად... თუ ვერ გადავრჩი... დასხედით და ჩემს შესანდობარზე მრავალჟამიერი იმღერე. (გადაეხვევა) მშვიდობით.
ქ ა ხ ა ბ ე რ ი — გაბედული — მოგებულია.

(ჰკოცნის ქახაბერს, ქახაბერი და მცველები გადიან. რჩება დათო)

დ ა თ ო — პრიალო ხანჯალს რას გაქვევ,
თუ არ ეკვეთა მტრის გულში? (წევს).
ოქროვ, ავდრის შემდეგ მზე უფრო ბრწყინვალეა.
ავდრიან ღამეს მოსულხარ,
ავდრიან ღამეს წახვალო.
ერთხელაც გამითენდება.
მოხვალ, მხიარულს მნახავო.
შესდექ, ო, გიორგი, შენ!
გ ი ო რ გ ი — ჩემო დათო, ჩემო დათო!
როგორ გუნებაზე ხარ?
დ ა თ ო — მოუთმენლად განთიადს ველი, მაგრამ ზეცამ შავი ზეწარი მოიხურა და ქუშიანივით აბყელებს.
გ ი ო რ გ ი — საით წავიდა ქახაბერი?
დ ა თ ო — პირდაპირ.
გ ი ო რ გ ი — ერთმანეთს ალბათ შევხვდებით. (გადის)
დ ა თ ო — დავასწრო და შევებრძოლე.
ვიდრე მიჰქრის ქარავანი,
რომ არ დავკრა, ოხრად დარჩეს
ჩემი ციხე-გალავანი.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — (შემოდის). ჰეი, მანდ ვინ ხარ?
დ ა თ ო — არც დიდი, არც პატარა.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — დათო, შენ? რას მიედებ-მოედები?
დ ა თ ო — არაფერს.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — როგორ სარდალივით გამოჭიმულხარ?
დ ა თ ო — ო, ბუმბული! ბუმბული ხომ არაფერია, მაგრამ სანამ ქარი მოიტაცებდეს, თავისი თავი მძიმე ჰგონია, — როცა მოიტაცებს, ჰგონია თვითონ მიფრინავსო. ორივე შემთხვევაში დარწმუნებულია, რომ თვითონ არის, რაც არის



და რატომ მე არ ვიყო დარწმუნებული, რომ დღეს დარაჯი, ხვალ მთავარსარდალი შევიქნები.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — შენ მუდამ ასეთი ოხუნჯი იყავ. ნეტავი მალე გათენდებოდეს.
დ ა თ ო — სულაც ნუ გათენდება.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — რას ბოდავ?
დ ა თ ო — საბრძნეს. შენ გინდა მალე გათენდეს, მე კი გეუბნები: ბავშვმა ბევრიც იჩხავლოს, ვაშლი დროზე ადრე მაინც არ დამწიფდება. შენის დასტურით და გიორგის განკარგულებით ღამე სიარული აკრძალულია.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — მართალია! დარაჯები ხომ ყველგან დგანან?
დ ა თ ო — ყველგან და ძალიან ფხიზლადაც, გნებავს შევუძახებ და როგორც მგელს, ისე შემოგესევიან. დარაჯებო, იფხიზლეთ!
ხ მ ე ბ ი — იფხიზლეთ, იფხიზლეთ.
დ ა თ ო — გესმის? მე შენს მყუდროებას ვდარაჯობ. წინათ აქ ვინც იდგნენ, ღალატისათვის თავები მოჰკვეთეს. ახლა თავიანი მე დავრჩი და მიტომ გიფრთხილდები.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — საშინელი ღამეა, რატომღაც ძილი გამიფრთხა... თითქოს რაღაც გუგუნი მესმის. მიწისძვრა არის, თუ მეხთა ტეხა? უთხარ გიორგის, ჩემთან მოვიდეს.

(ყარჩი-ხანი გადის).

დ ა თ ო — დიახ, ჩვენი ღამის ტეხა, თქვენთვის — მეხთა ტეხა. მალე გიორგისთან შენ თვითონ მიგაცილებ.
ა ლ ი-უ ს ე ი ნ — (შემოდის). შენ, ჰეი, ვის ელაპარაკებოდი?
დ ა თ ო — შენისთანას. ეგ ერთი კითხვა იკმარე და გაბრუნდი უკან, თორემ ძალიან ქუხს და შეიძლება მეხი დაგეცეს.
ა ლ ი-უ ს ე ი ნ — მე რომ მეხი დამეცეს, შენც თან ჩაგიტანს.
დ ა თ ო — არა, მეხი მაღალ ხეს ეტანება. შენ მაღალი ხარ და უთუოდ დაგეცემა.

(შემოდის შადიმან ნაბადში გახვეული).

შ ა დ ი მ ა ნ ი — უსეინ ჩემო, ფრიად საჭირო საქმე მაქვს.
ა ლ ი-უ ს ე ი ნ — ასე უდროოდ რას გაერეჯიხარ, დიდო თავადო?
დ ა თ ო — ჯანდაბას. ჩემს ხელში ხართ.
ა ლ ი-უ ს ე ი ნ — მიდექ უკან.
შ ა დ ი მ ა ნ ი — უთუოდ უნდა ვნახო ყარჩი-ხანი, უთუოდ. ალი-უსეინ, ჩემი ხალხის ჭირმა და გარამმა აქ მომიყვანა. სააკაძეს სურს სასაკლაოდ გარდაქციოს ქართლიც, კახეთიც. ჩქარა

ყარჩი-ხანს შეატყობინე, რომ ეს სისხლის ღვრა თავიდან ავიცილოთ.

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — რა მოხდა, თავადო?

შ ა დ ი მ ა ნ ი — დღეს გარიყრაყზე ნიშანს მისცემენ და საქართველოს ყოველ კუთხიდან მოურავისგან გაბრიყვებული ხალხი თავს დაესხმის თქვენს ბანაკს, თქვენს ჯარს.

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — რას ბრძანებ, თავადო?

შ ა დ ი მ ა ნ ი — იმ ულმერთოს არ ებრალება ქართველი ხალხის უმანკო სისხლი.

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — ვერაგი, მუხანათი! შენ ეგ ვინ გითხრა? საიდან იცი?

შ ა დ ი მ ა ნ ი — წინაპართ საფლავს გეფიცები და გეფიცები ამ ჩემს ჭაღარას, ხალხის ზრუნვაში გათეთრებულს, რომ მას გულში დიდიხანია სათანაილის გეგმა ჰქონია, ირანის განადგურება.

ა ლ ი-უ ს ე ი ნ — ჩქარა, ყარჩი-ხანს შევატყობინოთ.

(წასვლას დააპირებენ, მაგრამ დათო თავს დაესხმის და ორივეს აპატიმრებს).

დ ა თ ო — ჰეი, ბიჭებო, შეიპყარით!

(შემოდის გიორგი ორი დარაჯით).

გ ი ო რ გ ი — რა ამბავია?

დ ა თ ო — ორი დიდი თხუნელა დავიჭირე!

გ ი ო რ გ ი — ამ დროს თქვენ ორნი, რისთვის?

შ ა დ ი მ ა ნ ი — როდის იყო, რომ მე ანგარიშს შენ გაბარებდი?

დ ა თ ო — შენ დაგისმინა, გაყლეტას გიპირებენო.

გ ი ო რ გ ი — გაათრიეთ, ორივენი ჩაკეტეთ ბნელში.

(შადიმანი და უსეინი გაჰყავთ).

პ ა პ უ ნ ა — დათო, დათო!

დ ა თ ო — ვინ ხარ?

პ ა პ უ ნ ა — (შემოდის). გიორგი, სამგორზე შემხვდა მინბაშ თათაშხანი, ის შენთან მოდის...

დ ა თ ო — გიორგი, ხომ არ გაგვცეს? ამ დროს თათაშხანი!

გ ი ო რ გ ი — გამოატარე!

(შემოდის მინბაშ თათაშხან მხლებლებით).

გ ი ო რ გ ი — მოხარული ვარ შენის ნახვით — მინბაშ თათაშხან!

თ ა თ ა შ ხ ა ნ — მოკითხვას უთვლის მოურავ-ბეგს დიდი შაჰ-აბას!



გ ი ო რ გ ი — ფრიად მახარებს, რომ გავხდი ღირსი მოგონებისა!
ვეამბორები ნის ფერხთა მტვერს.

თ ა თ ა შ ხ ა ნ — შაჰი არ არის ძველს გუნებაზე!

გ ი ო რ გ ი — ბოროტი ენა კაცს ჩააგდებს საგონებელში!

თ ა თ ა შ ხ ა ნ — შაჰი ღმერთს მომხდარ ამბებს უწევს ანგარიშს.
მეფე სვიმონის ქორწილი რატომ გაჭიანურდა?

გ ი ო რ გ ი — რადგან მაყრებმა დაიგვიანეს!

თ ა თ ა შ ხ ა ნ — რატომ არ იცის ფეიქარ-ხანმა შაჰის განზრახვა?

გ ი ო რ გ ი — საჭირო დროზე იგი გაიგებს!

თ ა თ ა შ ხ ა ნ — რად დაპატიჟა ჯანიძე გორგა?

გ ი ო რ გ ი — მიზეზს მე თვითონ მოვახსენებ, როცა შევხვდები.

თ ა თ ა შ ხ ა ნ — იგი თუ სასჯელს მიეც, თუხარელი როგორ გადარჩა?

გ ი ო რ გ ი — ჩვენში სამია თუხარელი, ხოლო მეოთხე აღარ არსებობს!

თ ა თ ა შ ხ ა ნ — რა საქმეს აწყობ შენს ცოლისძმასთან — ნუგზარის ძესთან,
მუხრანბატონთან, ქსნის ერისთავთან?

გ ი ო რ გ ი — ქართლის სამსახურს, სჩანს, სამსახურს შაჰ-აბასისას!

თ ა თ ა ხ შ ა ნ — სჯერა შაჰ-აბასს! ნიშნად შენი ერთგულებისა,
ალმოსავლეთის მნათობი მზე გიძღვნის საჩუქარს.

(ამანათს გადასცემს).

დღეგრძელი იყოს სპასალარი მოურავ-ბეგი!
რომელ კარავში ვნახავ ყარჩი-ხანს?

გ ი ო რ გ ი — აჩვენე!

პ ა პ უ ნ ა — აგერ, მობრძანდი!

თ ა თ ა შ ხ ა ნ — მე თვითონ წავალ. (გადის მხლებლებით).

გ ი ო რ გ ი — სჩანს გაუგია შაჰს ზოგი რამე,
მაგრამ არ არის დარწმუნებული
და ამ საჩუქარს მიტომ მიგზავნის, გული მომიგოს,
რომ ქართველობა მეტად ვაწამო, ავაწიოკო!
ეს გადაწყდება დღეს განთიადზე.
მე შენს საჩუქარს... (ზიზღით ხსნის).
ააჰ, პაატას თავი!
მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო!.. იმან დამასწრო.
ჩემო ბიჭუნა, ჩემო პაატა! (გულში ჩაიკრავს, შედის კარავში).

დ ა თ ო — ვაი, საბრალო მამავ! ო, ჩაკვდი გულო...

პ ა პ უ ნ ა — საჩუქრად მაშას პაატას თავი?

როგორც ბატკანი შევწირეთ მსხვერპლად!
პ ი თ ე — ეჰ, უბედურო ჩვენო პაატა!

(გიორგის უცქერიან და მათი გამომეტყველებით იგრძნობა გიორგის მოქმედება კარავში).

გ ი ო რ გ ი — (შემოდის). ოოო, შვილო პაატა!
რად ამირჩიეთ სხვის სანუგეშოდ
და დამტირებლად ჩემი იმედის?
უკანასკნელად მახსოვს შვილთან გამოთხოვება!
მას უხაროდა, თუ თავისუფალს ნახავდა მხარეს,
მთაზე მეცხვარეს,
რთველს და დღეობებს
ქართლში... კახეთში...
ის ვეღარ ნახავს... გამოესალმა ყველაფერს ამას!
შვილი დავკარგე... იმედი მაქვს ვპოვო სამშობლო,
მაგრამ, ვაი, თუ ვერ გავზომე შესაძლებლობა,
რომ დასძრან ტვირთი მრავალ ბრძოლით მოქანცულებმა!
ანდა, ვაი, თუ ვისაც ვენდე არ მომეშველოს,
მაშინ მშვიდობით, ჩემო ნატვრავ, ჩემო იმედო!
წამოვა ღვარი ურდოების, წალეკავს ქვეყნებს!
აღარც სამშობლო, აღარც შვილი, არც ქართველობა!
მეც დამარცხებულს, მკვდარსაც კი არ მომასვენებენ.
ჩემს წმინდა ზრახვებს ათასნაირ ლაქას მოსცხებენ
და ნამდვილ ქართველს ჩემს სახელსაც შეაძულებენ!

(დაიჩოქებს).

გულთამხილავო! შენ ხომ იცი, შველა მწადიან
მონად ქცეულის, უბედურის, განწირულისთვის!
ჩემთვის პირადად მე არა გთხოვ კეთილდღეობას,
მათ მიეც ძალა, ვისაც ჩემი შვილი შევწირე,
ვისთვისაც მინდა შეიწიროს თვით ჩემი გულიც!
განთიადია!
რატომ არ ისმის ზარის გუგუნი?
დღევ ბედნიერო, ხალხის გლოვად ნუ შემეცვლები!
მზეო, რამდენჯერ ამოსულხარ ჩემთვის ბრწყინვალე,
მაგრამ დღეს უფრო მეტად მწყურიან შენი სხივები!
ქვეყნის მნათობო, ამობრწყინდი საქართველოსთვის.

(ყარჩი-ხან და მინბაშ შემოდიან შეიარაღებულნი).

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — აისხით იარაღი! სად არიან ჩემი დარაჯნი?



გ ი ო რ გ ი — შენი დარაჯი მე გახლავარ, დიდო სარდალო!
შენ სიცოცხლეზე მე ვაგებ პასუხს შაჰის წინაშე!
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — აგებ შენ პასუხს!
წეღან აქ რაღაც ხმაური იყო!
გ ი ო რ გ ი — ცა ჰრისხანებდა,
სხვაფრივ მბრძანებელს მყუდროებას ვერ დაურღვევენ!
დღევანდელ დილას ჩვენ ავიშლებით.
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — ვიცი, რომელ ჯარითაც აიშლებით!
გ ი ო რ გ ი — შენ ვგონებ ღელავ, ყარჩი-ხან ჩემო!
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — ჩემზე მეტად, ვგონებ, შენ ღელავ!
ჩემს მყუდროებას ის უფრო არღვევს,
რომ საჩუქარი მოურთმევია შენთვის შაჰ-აბასს...
გ ი ო რ გ ი — საჩუქარი?
ოჰ, საჩუქარი! დრო ვერ ვიხელთე მეჩვენებინა...
დროს გამოვნახავ... როცა მზე უფრო ამოანათებს —
ოჰ, ღმერთო ჩემო, რად იგვიანებს გამოდარება?
ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — ეს დღე არასდროს გამოიდარებს!
მარად სიბნელედ ეს დღე ქართველებს გარდაექცევათ!
ცბიერო, წაგიხდა ზრახვა!
აჰა, შაჰის წერილი!

(წერილს უსვრის).

გ ი ო რ გ ი — ვიცი, გწერს იგი, თავი მომკვეთო და ძღვნად მიართვა,
მაგრამ, ვაი, თუ შებრუნდეს ბედი და შენი თავი მას მე მივართვა.
მივართვა აი, ეს საჩუქრებიც, რომლებსაც ახლა მე ფეხით ვთელავ.

(ქუდს და სპარსულ კაბას გაიძრობს, გამოუჩნდება ჯაჭვის პერანგი).

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — შეიპყარით ეს მოღალატე!

(ამ დროს მოისმის ზარის გუგუნი, ყიჟინა, ომის ხმაური).

ყ ა რ ჩ ი-ხ ა ნ — ღალატი, მუხანათობა!
გ ი ო რ გ ი — აჰა, ნიშანი უკვე გუგუნებს!
ყარჩი-ხან, დადგა დღე აღსასრულის!
გესმის, ეს ჩემი ჯარი ყიჟინებს!
შირაქის ველზე მკვდრების ჩონჩხებს ხორცი შეესხამთ.
ტირიფონაზე წამებულნი უკვე ამდგარან.

მათ წინ მიგორავებს ბატკის თავი
და მოითხოვენ მტერი ვინმე! აბა, გაუსწორდით!

შემოიჭრებიან მტრები. ქართველები ხმალამოღებულნი მიუხდებიან და უკან აბრუნებენ მტრებს. შემოდიან მებრძოლები: მეციხოვნენი, კახაბერი, დათო, ბაბუნა, ვათე, სიმონ, გურამაშვილი და სხვა მეომრები.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დღეგრძელი იყოს ჩვენი გიორგი!
საქართველოსთვის იყოს მუდამ გამარჯვებული!
გ ი ო რ გ ი — მტერი დაეცხო თქვენის მარჯვენით!
რა კი მთავარი ძალა უკვე დამსხვრეულია.
უნდა დაიმსხვრას განაპირა ხეობებშიც,
და საქართველო გაიწმინდოს დამპყრობელთაგან!
მხოლოდ წუთის ხანს პატივი ვცეთ ჩვენს გაწირულებს,
ვინც ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის სისხლი დაღვარეს.
ვისაც უმანკო ზვარაკივით თავი მოჰკვეთეს!
თავდადებულებს ხსოვნა მარადი.
ყ ვ ე ლ ა ნ ი — თავდადებულებს — ხსოვნა მარადი!

(ერთწუთიანი დუმილი)

დ ე დ ა — ჩვენი ხელები და ჩვენი გულები
იყოს ერთად განწყობილად თანამავალნი
და ჩვენ ორივეს ვხვდებით გულმტკივნეულად!
გ ი ო რ გ ი — წავიდამ. ძმებო. ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა!
საქართველოს ბედნიერებისათვის, მომავლისათვის,
სინდისისათვის, თავისუფლებისათვის უნდა ვიბრძოლოთ
უკანასკნელი სისხლის წვეთამდე!
ყ ვ ე ლ ა ნ ი — ვაშა!

(ფარდა ნელ-ნელა იხურება)

დ ა ს ა ს რ უ ლ ი